ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

„ქართული ოცნება“ 3300-მა ახალგაზრდამ დატოვა

გვ.3

პარასკევი, 23 აგვისტო, 2013 №199 (6200) ფასი: 30 თეთრი

სანდრო ბრეგაძე: „ხუხაშვილს სურს, ივანიშვილის ხელისუფლების ბოკერიად იქცეს“

ხუხაშვილს სასამართლოს წინაშე ვუპასუხებ

გვ.2

გელა ნიკოლაიშვილი: „ცეესკოს ქმედებამ ცეკას დადგენილება მომაგონა“

გვ.3

გვ.4

რატომ ხდება თამაზაშვილის საჩივრის განხილვა დაჩქარებული წესით?!

„ბარამბოს“ საწყობიდან ვადაგასული არომატიზატორი ამოიღეს

გვ.4

პრეზიდენტი ეკა გიგაურს, კახა კოჟორიძეს და ნინო ლომჯარიას ცესკოს თავმჯდომარეობას სთავაზობს

მიხეილ სააკაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც პრეზიდენტის მიერ გამოქვეყნებულ წერილშია ნათქვამი, ის მზად არის, ნინო ლომჯარიასთან, ეკა გიგაურთან და კახა კოჟორიძესთან შეთანხმების საფუძველზე წარადგინოს მათი ან მათ მიერ შეთავაზებული ნებისმიერი პირის კანდიდატურა.

„ჩვენ დავანახვეთ ყველას, საქართველოს შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს შესწევს ძალა, ჩაატაროს დემოკრატიული, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები. ამაში, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საარჩევნო ადმინისტრაციამ. სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციებისადმი ნდობა განაპირობებს მთლიანად არჩევნებისადმი ნდობას. შესაბამისად, ცესკოს ახალი თავმჯდომარის არჩევა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია.

მინდა განვაცხადო, რომ ჩემი, როგორც პრეზიდენტის, სურვილიც და ვალდებულებაცაა, რომ კონსულტაციების პროცესი ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით გაიმართოს, რომლებსაც საარჩევნო პროცესზე დაკვირვების გამოცდილება და საზოგადოების ნდობა აქვთ. მე მინდა პირდაპირ შევთავაზო „სამართლიან არჩევნებს“ – ნინო ლომჯარიას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ – ეკა გიგაურს და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ – კახა კოჟორიძეს, რომ მზად ვარ, წარვადგინო პირადად ნებისმიერი მათგანის კანდიდატურა ან ნებისმიერი პირი, რომელიც მათ ერთიან, შეთანხმებულ, კანდიდატად იქნება წარმოდგენილი.

მზად ვარ, მომავალ კვირაში, ყოფილი თავმჯდომარის გადადგომის კანონიერად ძალაში შესვლის შემდეგ, გავმართო კონსულტაციები მათთან და ასევე სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერ სხვა წარმომადგენელთან“ – ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

ნიუსპრესი

ნანა კაკაბაძე: „ცენტრალური საარჩევნო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებ“

გვ.6

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი არავის გაურიგდება“

გვ.5

სააკაშვილის რეჟიმი — ნაცისტების სადისტური სისტემა

ISSN 1987-9385

4 ტელეკომპანია „იბერიის“ დამფუძნებელი მზადაა, მე-9 არხის ჟურნალისტებისა და ტექნიკური რესურსის მილების შესაძლებლობა განიხილოს

3 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებას აფასებს

9 ნოდარ გრიგალაშვილი: „არაკაცების პასუხად“

2 ვასილ მაღლაფერიძე: „ტელევიზია საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია“

სანდრო ბრეგაძე: „ხუხაშვილს სურს, ივანიშვილის ხელისუფლების გიგა ბოკერიად იქცეს“

შორენა გონგლაძე

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერის სანდრო ბრეგაძის და გია ხუხაშვილის დაპირისპირება კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში შედის. ბრეგაძე სრულ აცხადებს მზადყოფნას, პრემიერის მრჩეველს გია ხუხაშვილს სასამართლოში შეხვდეს. როგორც ბრეგაძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, ხუხაშვილს კლასიკური მაფიოზური დაჯგუფების ტიპის მმართველად ქცევა სურს.

– გია ხუხაშვილს ბევრად მეტი პასუხისმგებლობის აღება სურს საკუთარ თავზე, ვიდრე ეს მას ავალია. ის ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ პირველ ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება სწორედ მან მოუტანა და არა ივანიშვილმა. ხუხაშვილმა პასუხი უნდა გასცეს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც რკინიგზასა და საქართველოს ფოსტაზე მის ზეგავლენას უკავშირდება. საუბარია იმაზეც, რომ კანცელარიაში ხუხაშვილის ნებართვის გარეშე დამლაგებელსაც არ იყვნენ. არსებობს ეჭვი, რომ ხუხაშვილმა კეზერაშვილთან კოჰაბიტაციის შედეგად ხელში ჩაიგდო ნახევარმილიარდიანი მოგების მქონე ბიზნესი, რომელიც სომხეთის ნავთობით მომარაგებას უკავშირდება. მას სურს, იქცეს რუხ კარდინალად და ივანიშვილის ხელისუფლების გიგა ბოკერიად. დღეს ვიგებთ, რომ თურმე პირველი ოქტომბრის არჩევნები ხუხაშვილის დამსახურება ყოფილა, – აცხადებს ბრეგაძე. მისივე თქმით, ხუხაშვილი ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ პირველ ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება სწორედ მან მოუტანა და არა ივანიშვილმა.

„თუ მაინც აპირებს ხუხაშვილი ჩემ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას, მზად ვარ, სასამართლოს წინაშე ვუპასუხო“, – აცხადებს სანდრო ბრეგაძე.

ბრეგაძემ ხუხაშვილს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ჩანახატიც მიუძღვნა. სადაც ბოლოს წერს, რომ „ეს სატირული ჩანახატი კი დავწერე, მაგრამ ბოლოს ვიფიქრე ხუხაშვილი ხომ მთელ პრესასა აკონტროლებს და ამას ვინ გამომიქვეყნებს-თქო? აბა, ვეცდები და თუ ვინმემ გამოაქვეყნა, ეტყობა არც ისე მაგარი ყოფილა ჩვენი კარდინალი სახელად ხუხა!“

ბრეგაძის შემოქმედებას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ, თუმცა არა იმის დასამტკიცებლად, რომ ხუხაშვილი არ არის მაგარი.

– როგორც მაცნობეს, დიდი და

ძლევამოსილი ხუხაშვილი ძლიერ აღშფოთებული ყოფილა ჩემით, სიმართლის თქმა როგორ გაბედაო, თურმე ცეცხლს უშვებს პირიდან და დრაკონივით გადაწვით ემუქრება ყველას და ყველაფერს. სასამართლოში ჩივილიც გადაუწყვეტია (რაზე აღბათ თვითონ არ იცის), არადა, მე 10 თბილისელთან ერთად ველოდი და მინდოდა რომ შევხვედროდი, თუმცა ეტყობა მიხვდა, რომ ჩემთან ვერც 10 თბილისელით ვერ გაქაჩავდა, ვერც 100 ქუთაისელით და ვერც 300 სპარტელით, ამიტომ ძველბიჭობა ეგრევე სასამართლოთი შეცვალა (არადა, როგორ არ უხდება ასეთი საქციელი დონ-ის ტიტულს???). მოკლედ, კლასიკური უთავო „ძველი ბიჭის“ დარად მოიქცა (ისე თუ ვერ უქაჩავ, ესე მივუდგებიო) და ქუჩის მაგივრად დონ ვიტო სასამართლოსკენ აპირებს დაძვრას, არადა, რა მაგარი შეხედულება ჰქონდათ ჩემს უბნელ „ბირჟავიკებს“ ხუხაზე მაშინ, როდესაც მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადა და რად გვინდა სასამართლო, აგერ 10 თბილისელ კი ბიჭს მოვიყვან და იმათ გავარჩევინოთ საქმეო! იმაზეც კი არ იფიქრა, თუ რას იფიქრებდა მასზე მისი სათაყვანებელი ქუჩა და ის 10 თბილისელი ქუჩის ბიჭი, რომლითაც 2 თვის წინ მთელს საქართველოს აშინებდა. სასაცილო დონ კორლეონე გვყავს, სასაცილო და ღრმად არასერიოზული. მე მხოლოდ იმ ჭკვიანი კაცის მიკვირს (რომელსაც არც გამოცდილება აკლია, არც ვაჟკაცობა) ეს რომ მრჩევლად დაისვა და ჭკვიანი, სერიოზული თუ მცოდნე ჰგონია და ქვეყანაში ძირითად საკითხებს აწყვეტინებს. დეპოში ვართ გია ბიძია!!! დეპოშიიიი!!! გაიღვიძე და ნუ იმუქრები, თუ ჩემი და ხარ!!! ახლა კი დესერტად ჩემს მცირე ჩანახატს მოგართმევ შენზე და იმედია „ისიამოვნებ“ ხუხაშვილის ქვეყანა!!

როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, იყო ერთი ტრადიცია, სკოლა სკოლაზე რომ ვიჩხუბებდით, ჩხუბის შემდეგ ბიჭები შევიკრიბებოდით და რომელიმე ავტორიტეტთან ავდიოდით, რათა მას საქმე გაერჩია მტყუან-მართალი დაედგინა და ბოლოს შევერიგებინეთ. ძირითადად ეს ავტორიტეტები ე.წ. კანონიერი ქურდები ან მათთან დაახლოებული ე.წ. პრისტუპნიკები იყვნენ და მათი სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო. დროება იცვლება და ტრადიციებიც ტრანსფორმაციას განიცდის, მოკლედ, ამას წინათ ბავშვი დავტოვე სკოლასთან და შემთხვევით ასე მე-9 კლასელთა ჩხუბს შევესწარი და ჩხუბის მერე ერთ-ერთმა (ალბათ ხუმრობით) თქვა, მოდი, ახლა, ძმაო, ხუხაშვილთან ავიდეთო. ავიდნენ თუ არა ხუხაშვილთან, არ ვიცი, მაგრამ დიდი ხუხა რომ უკვე ყველა სფეროს უალტერნატივო ავტორიტეტია, ეს ცხადზე ცხადია. რა სფერო გინდა – ეკონომიკა? აგერაა, ბატონო, ხუხაშვილი, შიდა პოლიტიკა? აგერაა ხუხაშვილი. საგარეო პოლიტიკა? აგერაა ხუხაშვილი. სპორტი? აგერაა ხუხაშვილი. ენერგეტიკა? აგერაა ხუხაშვილი. ქუჩური გარჩევა? აგერაა, ძმაო, ხუხაშვილი და ა.შ. თვით პრემიერიც კი ნაბიჯს არ დგამს ძლევამოსილი ხუხაშვილის გარეშე, პარლამენტარები თვალებში შესციცინებენ, ხოლო მინისტრები შინით აღსავსე თვალებით შეჰყურებენ გიას. თანამდებობის მოსურნე კარიერისტებისათვის ხუხაშვილთან შეხვედრა ნამდვილ ოცნებად, ქართულ ოცნებად ქცეულა და თუ

მოწყალე თვალით გადმოხედა რომელიმე მათგანს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯეკპოტი მოიგო და მინისტრობა თუ არა, მინისტრის მოადგილეობა გარანტირებული აქვს, ამიტომ წაუსვიათ ვაზელინი კარიერისტებს თავზე და ჯიქურად მიიწევენ გიასკენ, გიაც აფაცებს ამას და ვისაც ყველაზე სქელი ფენა აქვს ვაზელინისა დახმარების ხელს უწოდებს, აი, დაახლოებით ისეთს დონ ვიტო კორლეონე რომ უწვდიდა დამწყებ პოლიტიკოსებს. ბიზნესმენები ხომ საერთოდ ხუხაშვილის სფეროა, ლეგენდარული პიქსელის შენობა, საოცნებო ხუხას კაბინეტი, სადაც პადრეს სამოსელში ჩაცმული ხუხა ელოდება მასთან აღსარების ჩასაბარებლად რიგში ჩამდგარ ბიზნესმენებს, რომის პაპს არ ეყოლება ამდენი სულიერი შვილი, რამდენიც გიას ჰყავს ბიზნესმენებში, მას ხომ თითქმის ყველა ფულიანმა აღსარება ჩაბარა, ყველაფერი მოუყვა და ზიარებაც მიიღო, ზიარება და ალბათ ხვდებით, რის საფასურად. ცალკე თემაა, დასაჭერი ყოფილი მაღალჩინოსნები, ზოგიერთი სადისტები თუ კაცისმკვლელები, მათთვის ხომ ხუხა ერთგვარ მშველელად ქცეულა და სამომავლოდ მისგან ინდულგენცია თუ იყიდეს სამომავლო დანაშაულებიც ნაპატიები აქვთ, აბა, ვინ წარმოიდგენდა, ან ვის აქვს ორი თავი ხუხას გარდა, რომ უდესიანისთვის, ახალაიებისთვის, მეგის ქარდავასთვის, სოსო თოფურიძისთვის და სხვა კაციჭამიებისთვის ერთგვარი მფარველობა გაეწია და ისინი სისტემის უცოდველ მსხვერპლებად გამოეცხადებინა? აქვს ვინმეს ქვეყანაში იმდენი უფლებამოსილება, რომ თვით სააკაშვილიც სისტემის მსხვერპლად გამოეცხადებინა??? გარწმუნებთ, არც პრემიერს, არც პარლამენტის თავმჯდომარეს, არც არც ერთ მინისტრს და თვით პატრიარქსაც კი არ აქვს თავის თავზე იმდენი უფლების მიცემის საშუალება, რომ პირსისხლიანი ჯალათები მსხვერპლებად წარმოგვისახოს და რამეთი გაამართლოს და ხუხაშვილს კი აქვს, თურმე ჰქონია. მასზე ხომ უკვე ლეგენდები დადის – ხუხაშვილმა ის მინისტრი დააჩოჩებინა, ხუხაშვილმა ის პარლამენტარი არარაობიდან ლიდერად აქცია, ხუხაშვილმა კოსმოსში ხომალდი გაუშვა, ხუხაშვილი ყველაზე ძლიერია, ხუხაშვილი დაუმარცხებელია, ხუხაშვილი ყველაზე სწრაფად დარბის, ხუხაშვილს ყველაზე დიდი სიმძიმის აწევა შეუძლია, ხუხაშვილი ამირანს და პრომეთეს ეძებს კავკასიონზე, რათა მათ ცეცხლი გამოართვას და გონება გაგვინათოს, ხუხაშვილი ხომ ჰგონია, წმინდა გონებაა, რომელიც სამყაროს მართავს და ა.შ. ასეთი ტიპის ქათინაურებს ჩვენი ხუხა თავმდაბალი ღიმილით ისმენს, იფერებს და თავის ძლევამოსილებაში დარწმუნებული წინ მიიწევს, 1 ოქტომბრის შემდეგ ხომ მისთვის ასრულდა ყველაზე მეტად ქართული ოცნება??? მისი ოცნება ხომ ეს იყო??? ხომ მონუსხა მთელი მთავრობა და საზოგადოება??? ხომ დაარწმუნა, რომ ყველაზე მაგარია??? ხოდა, მიშა კი არა, ხუხაშვილი ყოფილა, ბიძიკოებო, მაგარი და 9 წელი გაბითურებულები ხომ მიშა მაგარიას გვამღერებდნენ ნაცები, ახლა ხუხა მაგარიას სიმღერა დავიწყეთ და ვინ იცის, ესეც 9 წელი არ გარძელდეს, თორემ მაშინ ნაღდად დავიღუპებით, ხუხაშვილი მაინც გადარჩება, ის ხომ ბევრს უკვდავი გონია!!!!!!!!

ვასილ მაღლაფერიძე: „ტელევიზია საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია“

შორენა გონგლაძე

პუბლიცისტის და ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ყოფილი თანამშრომლის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, „მეცხრე არხის“ გადარჩენის ერთადერთი გზა სააქციო საზოგადოებაა. ამის შესახებ მაღლაფერიძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– მოსახლეობის და მათ შორის ჟურნალისტების ინტერესში შედის არხის სააქციო საზოგადოებად გადაქცევა. ტელევიზია საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ იყო პოლიტიკური პროექტი და მან თავისი ფუნქცია უკვე შეასრულა – აცხადებს მაღლაფერიძე.

ვასილ მაღლაფერიძის შეფასებით, ქართულ მედიასივრცეში მიმდინარე პროცესები საყურადღებო და საგულისხმოა. როგორც მაღლაფერიძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, „მაესტროს“ დამფუძნებლის მამუკა ღლონტის განცხადებები საყურადღებოა.

– ყველანი ყურადღებით ვაკვირდებით ტელემედიაში მიმდინარე პროცესებს. ფაქტია, რომ ჩვენს რეალობაში ტელევიზიები ხშირად იქცევიან პოლიტიკის ნაწილებად. ყურადღება მისაქცევია მამუკა ღლონტის გაცხადებები, რომ ხელისუფლების ზოგიერთი ფრთა ცდილობს ხელში ჩაიგდოს ტელეკომპანია „მაესტრო“. მოქმედი ჟურნალისტების ფუნქციაა საზოგადოებას აცნობონ, რა დგას ამის უკან? მე თვალი არ მიმიდევნებია ხუხაშვილის ბოლო განცხადებებისთვის, მაგრამ მამუკა ღლონტის განცხადებები ყურადღება მისაქცევია. ამიტომაც ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა მივადევნოთ თვალი ვინ და რა დგას ამის უკან – აცხადებს მაღლაფერიძე.

ზაზა ოქუაშვილი „მე-9 არხის“ შესაძენად მოლაპარაკებებს იწყებს

ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ შეძენის სურვილი აქვს და ამ მიზნით არხის მფლობელთან მოლაპარაკებებს იწყებს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოქუაშვილმა ტელეკომპანიის ყიდვის გადაწყვეტილება მიიღო „ინტერპრესნიუსს“ „მე-9 არხის“ გენერალურმა დირექტორმა ლუბა ელიაშვილმა დაუდასტურა. მისი თქმით, ამის შესახებ თავადაც აქვს ინფორმაცია.

ელიაშვილის განმარტებით, ტელეკომპანია „იბერია“ იბრუნებს სიხშირეს, რომელიც მას უკანონოდ წაართვეს.

„ოქუაშვილს უბრუნდება კუთვნილი, უკანონოდ წართმეული ლიცენზია და მას პირველ რიგში, თანამშრომლები სჭირდება და შემდეგ – აპარატურა. მოგეხსენებათ, ბიზნესმენია და ფული აქვს. „მე-9 არხს“ შეიძენს ისეთს, როგორიც არის“, – აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ელიაშვილმა.

მისივე განმარტებით, ეს არის წინადადება და ახლა ის ადამიანები, ვინც ამ საკითხებს წყვეტენ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდებიან.

ლუბა ელიაშვილის თქმით, კიდევ არაერთი წინადადება არსებობს, თუმცა მან დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „იბერია“ ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს ეკუთვნოდა. იგი ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. ამ წლების განმავლობაში ზაზა ოქუაშვილი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ მაუწყებლობა რამდენიმე დღის წინ შეწყვიტა. არხის მფლობელები მზად არიან, ტელეკომპანია მესამედ ფასად გაყიდონ.

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ შესაბამისობის დეკლარაციის თანახმად, არხის დირექტორი ლუბა ელიაშვილია, ხოლო კომპანიის 100 პროცენტს შპს „აქციეტი“ ფლობს. ამასთან, შპს „აქციეტის“ 80%-ს ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე ფლობს, ხოლო 20%-ს – კახა კობიაშვილი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გელა ნიკოლაიშვილი: „ცეესკოს ქმედებამ ცეკას დადგენილება მომაგონა“

ნონა ცაბაძე

სამოქალაქო საინიციატივო ჯგუფს, რომელმაც რამოდენი დღის წინ ცენტრალურ საარცევნო კომისიაში შეიტანა მოთხონა რეფერენდუმის ჩატარების ნებართვის თაობაზე, ცსკომ უარი უთხრა. საინიციატივო ჯგუფი ცსკოს გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს. „ახალი თაობა“ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთ ერთ წევრ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა:

– ბატონო გელა, როგორც ცნობილი გახდა ცსკომ უარი გითხრათ რეფერენდუმის ჩატარებაზე. თქვენი აზრით, რატომ გეთქვათ ამ მოთხოვნაზე უარი?

– დავიწყებ იმით, რომ სამართლებრივად არანაირი გამართლება არა აქვს ამ უარს, იმიტომ რომ კანონში არის სპეციალური ჩამონათვალი, რა საკითხებზე შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება და იქ არანაირად, მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება იმ საკითხზე, რომელიც ჩვენ შევიტანეთ. ანუ მოსახლეობის გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, სურთ თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მათი არგუმენტი იყო ის, რომ პარლამენტის დათხოვნას, არეგულირებს სპეციალური კანონი და ჩამონათვალია კონსტიტუციაში, რა შემთხვევაში შეიძლება პარლამენტის დათხოვა და იქ არ არის მითითებული რეფერენდუმი. ჩვენ ხომ არ შეგვიტანია განცხადება იმის თაობაზე და კითხვა არ დაგვისვამს იმის თაობაზე – გსურთ თუ არა პარლამენტის დათხოვა. ჩვენი კითხვა ფორმულირებული იყო ასე – გსურთ თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომ ჩატარდეს საქართველოში 2014 წელს? ეხლა, როდესაც 200 ათასი კაცი გამოხატავდა ამის სურვილს, მერე უკვე პრეზიდენტის გადასაწყვეტი იყო დანიშნავდა თუ არა რეფერენდუმს, მაგრამ ქართველი ხალხის ნებას გავიგებდით, სურს თუ არა ჩვენს საზოგადოებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. სწორედ ამის საშუალება არ მისცეს საქართველოს მოსახლეობას. ჩვენ არ ვითხოვდით იმას, რომ პარლამენტი დაითხოვეთო, ეს უკვე მერე კანონს უნდა დაერეგულირებინა. ჩვენ უბრალოდ ხელმოწერების შეგროვების უფლებას ვითხოვდით.

– იმის თქმა გინდათ, რომ ცსკომ არაკანონიერი გადაწყვეტილება მიიღო?

– სრულიად არაკანონიერი და არა ადეკვატური პასუხი გაგვცეს. ჩვენ რომ გვკითხა ახლა რომელი საათიაო და იმათ ეპასუხათ კარგი ამინდიაო, აი დაახლოებით ესეთი პასუხი გაგვცეს.

– რატომ გააკეთეს ეს?

– სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ცსკოში წარმოდგენილია ორი პოლიტიკური ძალა, ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა, ეს ორივე ძალა წარმოდგენილია პარლამენტში და აქედან გამომდინარე ამ პოლიტიკურ ძალას არ სურს ძალთა სხვანაირი გადანაწილება რომ დაფიქსირდეს ახალ პარლამენტში. მათ რეალურად იციან, რომ ახალი არჩევნების შემთხვევაში, მათ ნამდვილად არც ერთს ექნება ის 40%, რომელიც დაიწერეს და არც მეორეს ექნება დანარჩენი პროცენტი ხმებისა, რომელიც მართლა მისცა ხალხმა თავის დროზე.

– ანუ ამ ძალების მხრიდან დაიბლოკა ეს გადაწყვეტილება?

– რა თქმა უნდა, აბა სხვა ძალები ცსკოში არც არიან და მხოლოდ ეს ორი ძალაა. უბრალოდ, მე გამაკვირვა იმ ერთსულოვნებამ, რომელიც მათ აჩვენეს, ყველამ მხარი დაუჭირა და ამან მომაგონა ცეკას დადგენილებები და პოლიტბიურო და უზენაესი საბჭოს სხდომები, სადაც არცერთი წინააღმდეგი არ იყო და განსხვავებული აზრი არ არსებობდა.

– რა ბერკეტები რჩება საინიციატივო ჯგუფს?

– ჩვენ ხუთი დღის ვადაში გავასაჩივრებთ ამას, როგორც კანონი იძლევა ამის საშუალებას, საქალაქო სასამართლოში და შემდეგ კიდევ ხუთ დღეში, სასამართლო ვალდებულია ჩვენ გაგვცეს მოტივირებული პასუხი

– წინააღმდეგ შემთხვევაში არა გაქვთ უფლება რეფერენდუმის ჩატარების?

– არა. სხვა შემთხვევაში, რამდენი ხელმოწერაც არ უნდა შეაგროვო, მაინც არანაირი იურიდიული ძალა არ ექნება. აქედან გამომდინარე, აზრიც არა აქვს. ეს უბრალოდ სოციოლოგიური გამოკითხვა იქნება.

– გამოდის, რომ მოთხოვნის მიუხედავად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ვერ ჩატარდება?

– ამ ეტაპზე ასეა. თუ არ შეიქმნა რაიმე არაორდინალური ვითარება და ვთქვათ, თუ ისეთი პრეზიდენტი არ მოვიდა ქვეყანაში, რომელიც თვითონ დანიშნავს რეფერენდუმს, მაშინ რეალურად არ ჩანს სხვა გზა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს.

ირაკლი ალასანია: „საქართველო დაინტერესებულია, რომ სოჭის ოლიმპიადა უსაფრთხო გარემოში ჩატარდეს“

შორენა გონგლაძე

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, მან გარანტია მიიღო, რომ საქართველოს დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხი, რუსეთ-აშშ-ის დიალოგის ნაწილი მუდმივად იქნება.

ამის შესახებ აშშ-ში ვიზიტად მყოფმა ალასანიამ აშშ-ის თავდაცვის მდივანთან ჩაკ ჰეიგელთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– მივიღე ყველანაირი გარანტია იმისა, რომ საქართველოს დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხი მუდმივად იქნება რუსეთ-აშშ-ის დიალოგის ნაწილი, ვიდრე რუსეთის ფედერაცია არ შეეგუება იმას, რომ მან უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. საქართველო დაინტერესებულია, რომ სოჭის ოლიმპიადა ჩატარდეს უსაფრთხო გარემოში. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე როგორც სხვა ჩვენი რეგიონალური პარტნიორები, მიესალმებიან საქართველოს ნაბიჯებს, რომ კოორდინაციაში ვიყოთ კონტრტერორისტულ საკითხებზე რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთის ფედერაციასთან – განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მდივანმა ჰეიგელმა აღნიშნა საქართველოს მიმდინარე წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების ძალებში და მადლობა გადაუხადა მინისტრ ალასანიას იმ მსხვერპლისთვის, რომელსაც ქართველი ჯარისკაცები და მათი ოჯახები იღებენ – ნათქვამია შეხვედრის შესახებ პენტაგონის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„თავდაცვის მდივანმა ჰეიგელმა შეაქო საქართველოს ძალისხმევა გაიზარდოს სამოქალაქო ზედამხედველობა შეიარაღებულ ძალებზე, რადგან ეს წარმოადგენს თავდაცვის რეფორმის კუთხით დემოკრატიული პროგრესის მკაფიო მაგალითს“.

თავდაცვის მდივანმა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ძალისხმევის მიმართ აშშ-ის მხარდაჭერა გამოთქვა და ხაზი გაუსვა, რომ ამ მიმართულებით პროგრესისთვის ეფექტურ გზას სამართლიანი არჩევნების ჩატარება და დემოკრატიული მიღწევების განმტკიცება წარმოადგენს. ორი ლიდერი შეთანხმდა განაგრძონ აშშ-საქართველოს თანამშრომლობის გაფართოვება თავდაცვის სფეროში – აცხადებს პენტაგონი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეხვედრის შესახებ გავრცელებული პრესრელიზი იმის ხაზგასმით იწყება, რომ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ეს საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და მისი ამერიკელი კოლეგის პირველი შეხვედრა იყო პენტაგონში.

– შეხვედრაზე მხარეებმა უწყებებს შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ორი ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი შეთანხმდა, რომ ამერიკა-საქართველოს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. აშშ-ის თავდაცვის მდივანმა გამოხატა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და ხაზი გაუსვა, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარება და დემოკრატიული პროგრესი ხელს შეუწყობს ამ პროცესს – აცხადებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელიც ასევე აღნიშნავს, რომ აშშ-ის თავდაცვის მდივანი მიესალმა საქართველოს წვლილს ავღანეთის მისიაში და საქართველოს თავდაცვის უწყების მცდელობას, რომ გაძლიერდეს შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი.

„ქართული ოცნება“ 3300-მა ახალგაზრდამ დატოვა

შორენა გონგლაძე

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ახალგაზრდები მასობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით ტოვებენ. ამის შესახებ განცხადება „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ალექსანდრე კობაიძემ, იაგო წიტაიშვილმა და ნიკა მემანიშვილმა გააკეთეს.

მათი თქმით, მხოლოდ თბილისის მასშტაბით კოალიციის რიგები 3300 ახალგაზრდამ დატოვა.

– კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა დამოკიდებულება მათი ახალგაზრდული ფრთის მიმართ თავიდანვე არასწორი იყო. თავიდანვე ეს ახალგაზრდები აცხადებდნენ, რომ თანხები, რომლებიც მათთვის იყო გამოყოფილი, არასწორად გადანაწილდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა თავიანთ თავს უნდა დააბრალონ ეს ყველაფერი. მხოლოდ ბოლო შემთხვევაზე მოგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მოსახლეობას შეხვდა. კუს ტბაზე სადაც შეხვედრების შემდეგ კონცერტი გაიმართა კონცერტის დასრულების შემდეგ, ღამის პირველ საათზე, ეს ახალგაზრდები ფეხით გამოუშვეს, კონცერტის შემდეგ დაახლოებით 1000-მდე ახალგაზრდას ქალაქის ცენტრამდე ფეხით ჩამოსვლა მოუწია. ვისაც ფული არ ჰქონდა, კუს ტბიდან გლდანამდე ჩავიდა, – აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ნიკა მემანიშვილი:

– კოალიციის მიმართ ახალგაზრდების უკმაყოფილება ჯერ კიდევ არჩევნებამდე შეინიშნებოდა. დღეისთვის „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულ შტაბებში იმ ადამიანებიდან, ვინც ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ სანაგვეზე გასასტუმრებლად იბრძოლა მხოლოდ 5% დარჩენილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალგაზრდას უსამართლობაზე განსაკუთრებული პროტესტის გრძნობა უჩნდება, ეს გასაკვირი არაა. უკმაყოფილების ერთადერთი მიზეზი ის გახდა, რომ შტაბებიდან სისტემატურად ქრებოდა მათი კვებისთვის თუ სხვა საჭიროებებისთვის განკუთვნილი თანხები. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, სხვადასხვა ღონისძიებების დროს რეგიონებში გადაადგილებისთვის ას კილომეტრზე გათვალისწინებული იყო ათი ლიტრი ბენზინის ფული, მაგრამ შტაბებში რვა ლიტრი რიგდებოდა და ორი ლიტრი სადღაც ქრებოდა. ეს ერთეული შემთხვევა არაა და სანამ ბიძინა ივანიშვილი ტკბილ სიზმრებშია, გარკვეული ადამიანები მისი ფულით საკუთარ კეთილდღეობას იწყობენ. რაც შეეხება კუს ტბაზე გამართულ კონცერტს, ახალგაზრდებს არ მოეწონათ გიორგი მარგველაშვილის უცნაური განცხადება, ყველა ახალგაზრდას დავიმახსოვრებ და ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში შესაბამის პატივს ვცემო. ანუ ვიცი, რომ ახალგაზრდების ნაწილმა კოალიცია დატოვა, მაგრამ ახლა ვინც გვერდით დამიდგება, ამაგს არ დავუვიწყებო. სწორედ ამ დღეს მოხდა ის ამაზრზენი ფაქტიც, რომელმაც ახალგაზრდების განსაკუთრებული განაწყენება გამოიწვია. კონცერტზე დასწრების მსურველ ახალგაზრდებს გადაუნაწილეს კუს ტბის ასახვევამდე ტაქსებით მისასვლელი თანხა და აქედან დანიშნულების ადგილებამდე სამარშრუტო მიკროავტობუსებით გადაიყვანეს, თუმცა არავინ დაინტერესებულა, იქიდან რით წამოვიდოდნენ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებას აფასებს

საპარლამენტო უმცირესობის წევრის აკაკი მინაშვილის ინფორმაციით, დღესდღეობით, ციხეები კრიმინალური ავტორიტეტებისა და ქურდების მიერ, სასჯელაღსრულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იმართება.

აკო მინაშვილის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულებას, ე.წ. „რეზბალნიცის კანონიერი ქურდი“ ტარიელ ფოცხვერია, იგივე ტარასა მართავს.

ქსნის ციხეს კი, მურმან ტვილდიანი იგივე „ხალვა“, ირაკლი მალანია, იკო ნოხაძე, კახა გურგენიძე და ედგარ მამედოვი მართავენ.

,,ეს არის სქემა, იმის შესახებ თუ როგორ ხდება კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ციხეების მართვა ციხის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ეს არის ობობას ქსელი, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დამკვიდრდა, ეს არის ქსელი რომელიც გამეფებულია ციხეებში და რომელიც ქვეყანაში კრიმინალის ზრდას, მათ შორის ისეთი მძიმე კრიმინალის ზრდას იწვევს, როგორიც არის მკვლელობები, დაყაჩაღება და სხვა მძიმე დანაშაულები. ამის მოწმენი ყოველდღე ვართ. მთავარი მოქმედი გმირი ამ საქმეში ტარიელ ფოცხვერიაა. ქსნის ციხეში, საერთო რეჟიმს ლაშა ქებურია „უყურებს“, კარცერს – ზაქრო ჯანგულაშვილი, სასადილოს – ჯაბა ხოსბერუაშვილი და ავთანდილ თავაძე, ხოლო სამედიცინო ნაწილს – გიორგი ილდანი.

ე.წ. ტუბზონას კრიმინალური ავტორიტეტი არმაის გრიგორიანი, იგივე „მაისა“ მართავს. რაც შეეხება, გეგუთის კოლონიას, მას ლაშა კვანტალიანი აკონტროლებს“– განაცხადა აკო მინაშვილმა.

ნიუსპრესი

ბიძინა ივანიშვილი: „ლამის აქეთ დამამადლეს ის 10 მილიონი, რაც მე ჟურნალისტებისთვის დავხარჯე“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მისთვის, როგორც მთავრობის მეთაურისთვის, საკუთარი არხის ქონა ძალიან უხერხული იყო და ჟურნალისტები „მე-9 არხის“ დახურვას გაგებით უნდა მოეკიდონ.

პრემიერის თქმითვე, მას არხისთვის არასდროს არანაირი დაკვეთა არ მიუცია.

„ძალიან უხერხულია ჩემთვის, რომ მედიასაშუალებების პატრონი ვიყო, რამეთუ მე ქვეყნის მთავრობის მეთაური ვარ. ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ. ძალიან ვცდილობ, რომ ყველა ჟურნალისტს და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს მაქსიმალურად პასუხისმგებლობით მოვეკიდო და თითოეულის ინტერესი მაქსიმალურად გავითვალისწინო. მაგრამ ჟურნალისტების მოქმედება ჩემთვის ძალიან გულსატკენი აღმოჩნდა. ლამის აქეთ დამამადლეს ეს ათი თვე და ის ათი მილიონი, რომელიც მე მხოლოდ ჟურნალისტების გულისთვის დავხარჯე. მე სხვა არაფერი მიზანი არ მქონია და „მე-9 არხისთვის“ არაფერი დაკვეთა, არც ადრე და მითუმეტეს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ მიმიცია.

წარმოიდგინეთ, როგორი აჟიოტაჟი ატყდებოდა არხი არჩევნების შემდეგ რომ დამეხურა. ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ჟურნალისტების რეაქცია კი არაპროფესიონალური იყო და ძალიან კარგად მესმის ისიც, რომ იქ ძალიან ბევრი არაპროფესიონალი მუშაობდა. ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება და არხი დახურეს. პროფესიონალები, ვინც თავის პროფესიას პატივს სცემს, ასე არ მოიქცეოდნენ, როგორც ისინი მოიქცნენ, რომ განცხადების მერე ადგნენ და არხი მიახურეს. თუკი ჰქონდათ განწყობა, რომ არხს უამრავი მყიდველი ჰყავს, რასაც მე ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ, რაღასთვის დახურეს, გაეგრძელებინათ საქმიანობა. გარდა ამისა, მაყურებელსაც ხომ უნდა სცენ პატივი“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ნიუსპრესი

რატომ ხდება თამაზაშვილის საჩივრის განხილვა დაჩქარებული წესით?!

შორენა კოწოწაშვილი

სამართლიანობის აღდგენის პროცესს რომ სერიოზული ხარვეზები აქვს, ამაზე დღეს უკვე ბევრი ლაპარაკობს. თუმცა საზოგადოების ნაწილში ჯერ კითხვებს აჩენს ის ფაქტი, რომ მმართველი გუნდის მაღალჩინოსნებთან, მათ ახლობლებთან დაკავშირებული საქმეები, სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად მიიწევს წინ.



ამ ნიშნით განსაკუთრებით ხმაურიანად გამოიყურება ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, გენერალ თამაზ თამაზაშვილის საქმე, რომელზე ბრალდებულებსაც სასამართლომ გირაო შეუფარდა.

ჩვენ დავუკავშირდიღ თამაზ თამაზაშვილის ადვოკატ ლილი გელაშვილს და ვთხოვეთ განემარტა, რატომ მოხდა, რომ დაჩქარებული წესით ხდება თამაზაშვილის საჩივრის განხილვა და ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენა, ფაქტობრივად, თამაზაშვილის საქმით დაიწყო.

– ქალბატონო ლილი, როგორ შეაფასებდით სამართლიანობის აღდგენის პროცესს და რამდენად სამართლიანია იმ ადამიანების პრეტენზიები, ვინც ამბობს, რომ მმართველი კოალიციის წევრები თავიანთი ახლობლების და ნათესავების უფლებების და ინტერესების დაცვა-აღდგენაზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე რიგითი მოქალაქეების, ვინც ეს ხელისუფლება მოიყვანა.

– იცით რა არის, მე ვხედები თქვენი კითხვის არსს, საით მიგყავთ საუბარი, მაგრამ მე ამ თვალსაზრისს ვერ მივიღებ, რომ ხელისუფფლების ხელმძღვანელი პირები მხოლოდ თავიანთი ოჯახის წევრების და ახლობლების უფლეების დაცვაზე ზრუნავენ. მაშინ მე დავსვამ კონტრშეკითხვას: სხვა რომელი საქმე იცით, რომელიც იქნა გამოძიებული ხელისუფლების წარმომადგენლების და მთავრობის წევრთა ოჯახის წევრების მიმართ ან შეწყდა წარმოებული დევნა?! სხვა რომელი საქმეა გამოძიებული? ამიტომ ვხედები, რომ მხოლოდ თამაზ თამაზაშვილის საქმეზეა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი. მესმის, რომ საზოგადოებაში ეს განცდაა და ისიც კარგად მესმის, რატომაც არის. ამ ადამიანებისაც მესმის და ვუთანაგრძნობ. იმიტომ, რომ ჩვენ განყენებულად არა ვართ ამ საზოგადოებისაგან და ჩვენ დანარჩენი საზოგადოების ადვოკატებიც ვართ. მე კონკრეტულ შემთხვევაში, გარდა თამაზ თამაზაშვილის საქმისა, ძალიან ბევრი საჩივარი მაქვს პროკურატურაში შეტანილი სხვა პირთა უფლებების აღდგენის, სამართლიანობის აღდგენისა და უფლებების დაცვის მიზნით. მაგრამ დღემდე მთელ რიგ საქმეებზე შედეგი არ არის დამდგარი. შესაბამისად, მე ხალხის ამგვარ დამოკიდებულებას ვუერთდები, მაგრამ თუკი თამაზაშვილის საქმეზე იტყვიან, მხოლოდ შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის საქმე გამოიძიესო, ეს სამართლიანი არ იქნება.

– რატომ მიდის თამაზაშვილის საქმის გამოძიების პროცესი სხვებთან შედარებით უფრო აქტიურად?

– აქტიურად მიდის მხოლოდ ერთი ნიშნით, კარგია, რომ ამის განმარტების საშუალება მომეცით. მთავარ პროკურატურაში შეტანილი საჩივრებიდან, რომელთა შორისაც არის საჩივრები გახმაურებულ საქმეებზე, უმრავლეს შემთხვევაში, შედეგი ვერ დადგა იმიტომ, რომ ეს იყო გარკვეულ დროში გაწელილი პროცესი და თანაც, მთელ რიგ საქმეებზე, მტკიცებულებები უკვე განადგურებული იყო. მე არ ვამართლებ, მაგრამ ვუგებ პროკურატურას, როდესაც ზოგიერთ საქმეზე ბოლომდე ვერ მოხდა საქმის გამოძიება და საბოლოო ეტაპამდე ვერ მიიყვანეს იმიტომ, რომ საქმის დაწყება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის მთავარი. საქმე სასამართლოში რომ წავიდეს, მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა შეიქმნას. კონკრეტულად, ჭირს ამ მტკიცებულებების მოპოვება ზოგან სუბიექტური, ზოგან ობიექტური მიზეზების გამო. უმრავლეს შემთხვევაში დროის დიდი ინტერვალის გამო, მოწმეების არარსებობის გამო და ა.შ. თამაზაშვილის საქმე მხოლოდ აი, ამ ნიშნით იქნა დაჩქარებული, რომ პრინციპში თვითონ გამოძიების ეტაპზე და სასამართლოს ეტაპზეც, როცა თამაზაშვილი და მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ბოლო დაკავებული იყო. ეს არის ის ადამიანი, რომელიც დაკავებული იქნა სწორედ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის მერე. მას ბრალი წარედგინა 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით – იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარების ბრალდებით. ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოძიება. პრინციპში, ეს ადამიანი გათავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან ერთი წლის შემდეგ, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ. ყველა მტკიცებულება, ყველა დარღვევა, რომელიც საქმეში იყო, ყველა უკანონობა, ფალსიფიცირება, ფაქტობრივად, სულ ახლახან იყო სააშკარაოზე გამოტანილი. ეს ყველაფერი ჩვენ სისხლის სამართლის საქმეში გვედო. სამართლიანი სასამართლოს პირობებში დღეს ახალი არაფერი თქმულა. იმ სასამართლოს უნდა გამოეტანა ის გადაწყვეტილება, რა გადაწყვეტილებამდეც დღეს გამოძიება მივიდა. თუმცა ეს არ ეხება თამაზ თამაზაშვილის განაჩენს. მოგვიანებით ვიტყვი, კიდევ რა პროცედურებია ჩასატარებელი შემდგომში ჩვენის მხრიდან. ის, რაც დღეს პროკურატურამ გამოიძია, ეს ყველაფერი შავით თეთრზე ჯერ კიდევ გუშინ იდო სისხლის სამართლის საქმეში. უბრალოდ, ამის ამოღება, დაკითხვა იმ ხალხის, ვინც ეს ჩაიდინა, რომლებიც უკვე ცოცხალი თავით უარყოფდნენ იმ უკანონობას.

– რას გულისხმობთ?

– მე ვგულისხმობ იმას, რომ თამაზაშვილის დაკავების საფუძველი არ არსებობდა; რომ არ იყო ოპერატიული ინფორმაცია; რომ გამოძიების დაწყების ბარათი და პატაკი დაკავების შემდეგ შედგა, რითაც მოხდა დოკუმენტების ფალსიფიცირება. აი, ამ ყველაფერს ჩვენ 2011 წლის 11 ოქტომბრიდან ვდავობდით და ყველა ეს მტკიცებულება უკვე საქმეში იდო. უბრალოდ, როდესაც ამაზე კითხვას ვუსვამდი იმ დეტექტივ-გამომძიებელს, რომელმაც ეს საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა, აი, იმ რეჟიმში და იმ პირობებში ისინი ამას უარყოფდნენ. ეს მტკიცებულებები უკვე სახეზე იყო – არც წაშლილი იყო, არც – დაკარგული. უბრალოდ, ჩვენი საჩივრის შეტანის შემდეგ, როდესაც საქმის ხელახალი გამოძიება წამოვიწყეთ, ეს გამოძიებას თავისით არ დაუწყია, მინდა სრული კატეგორიულობით გითხრათ, რომ არ დაუწყია თვითონ ირაკლი ღარიბაშვილს. ეს მოხდა მხოლოდ ჩემი კონსულტაციის საფუძველზე. იმასაც გეტყვით, 1 ოქტომბერს იყო არჩევნები და ჩვენ საჩივარი მთავარ პროკურატურაში შევიტანეთ ზამთარში. იმიტომ, რომ გარკვეული პერიოდი თვითონ თამაზაშვილი თავს იკავებდა, რომ მისი საქციელი სწორედ ამ ნიშნით არ ყოფილიყო ხალხის მიერ აღქმული. კიდევ იდგა მეორე საკითხი: თუ ხელისუფლებაში მოსული ადამიანები საკუთარ უფლებებს ვერ დაიცავენ, და უკანონობაზე განგაშსს არ ატეხენ, სხვის უფლებებს დაიცავენ?! აი, სწორედ ჩემგან ასეთი კონსულტაციის შემდეგ მიღებულ იქნა ჩემსა და თამაზ თამაზაშვილს შორის გადაწყვეტილება, ირაკლი ღარიბაშვილი ან სხვა ვინმე აქ არ ჩარეულა, რომ მე შემეტანა საჩივარი და გამოაშკარავებულიყო ის ყველაფერი, რასაც სულ ცოტა ხნის წინ ვდავობდით.

– ანუ გინდოდათ თამაზაშვილის საქმე სამაგალითო ყოფილიყო?

– რა თქმა უნდა. თუმცა მინდა გითხრათ, რომ გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის. სასამართლო ეტაპი ახლა დაგვიდგა. ექვსი პოლიციელი, რომელიც თამაზაშვილის საქმეზე იყო დაკავებული ორი თვის წინ, მათ მიმართ თანამშრომლობის შედეგად პროკურატურა შევიდა სასამართლოში შუამდგომლობით აღკვეთი ღონისძიების შეცვლაზე და მათ მიერ დასახელებული სხვა მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც უკვე გახმაურდა, მათაც მისცეს გამოძიებას ჩვენება, აღიარეს დანაშაული და შესაბამისად, მათ მიმართაც აღკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი დადგა. აი, მხოლოდ ეს განიხილა სასამართლომ. ჯერ გადაწყვეტილებები არ არის მიღებული და გამოძიება არ დასრულებულა. აქვე მინდა გითხრათ, რომ გენერალი თამაზაშვილი ამ საქმეში დაზარალებულია. სასამართლომ უნდა იმსჯელოს დაკავებული პირების, რამდენმე დღის წინ გათავისუფლებული პოლიციელების და გამომძიებლების მხრიდან თამაზაშვილის დაკავების მიმართ წარმოებულ უკანონობაზე, ანუ მათ ბრალზე უნდა იმსჯელოს. მათ მიმართ დამდგარი განაჩენი ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის იქნება საფუძველი – ახალი არსებითი გარემოება, რომ სასამართლოში შევიტანო საჩივარი და მოვითხოვო გაუქმდეს თამაზაშვილის მიმართ გაუქმდეს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

– დღეს როგორ მოქმედებს თამაზ თამაზაშვილი? მახსოვს, ის ჟურნალისტის წინააღმდეგაც გეგმავდა სარჩელის შეტანას.

– თამაზაშვილს არავის მიმართ არ ჰქონია პირადი ბოღმა, თუნდაც იმის გამო, რომ უკანონოდ იყო დაპატიმრებული და სასჯელი საშინელ პირობებში მოიხადა. ის, როგორც გენერალ მაიორი, ე.წ. მატროსოვის ციხეშიც კი არ გადაიყვანეს. საზოგადოებას ახსოვს როგორი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა თამაზაშვილი, ყოველდღიურად ხდებოდ ამისი სახელის დისკრედიტება. ყველაფერ ამის მიუხედავად, თამაზაშვილისთვის ერთი პრიორიტეტი გამოიკვეთა: დადგენილიყო სამართლებრივად, რომ ის იყო უდანაშაულო, რომ იარაღი ჩაუდეს და რომ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით დევნის საფუძველი იყო. აი ეს უნდა დადგენილიყო, რის გამოც ის იყო დაკავებული და არა ის, რომ ისინი, ვინც მის მიმართ დანაშაული ჩაიდინა, კარგად ყოფილიყო დასჯილი. ანუ ვიმეორებ, არავის დასჯა მას არ უნდოდა, მას მხოლოდ სახელის რეაბილიტირება უნდოდა. მისი პრიორიტეტი იყო, რომ ხალხს გაეგო, რომ იარაღი ჩაუდეს და რომ პოლიტიკური ნიშნით დაეპატიმრეს. კონტრ-შეკითხვას დავსვამ: თუ აქ ირაკლი ღარიბაშვილის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის ინტერესები იკვეთებოდა, ეჭვი არ გეპარებათ, რომ თუ ღარიბაშვილი ასე იყო დაინტერესებული და თავის თანამდებობას იყენებდა თამაზაშვილის საქმეში, არ შეეძლო უფრო მკაცრად დაესაჯა ისინი, ვინც უკანონობა ჩაიდინა? მთელი სახელისუფლო მასმედია, მართლმსაჯულების ყველა ორგანო, პროკურატურით და სასამართლოთი დამთავრებული, მობილიზებული იყო მოეხდინა თამაზაშვილის სახელის დისკრედიტაცია.

– დაბოლოს, ქალბატონო ლილი, დღეს საპარლამენტო უმრავლესობაც და უმცირესობაც საუბრობს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ. როგორც ადვოკატი, როგორც იურისტი იზიარებთ ამ პოზიციას? მართლაც პოლიტიკური ინტერესების განხორციელების გარეშე მუშაობს დღეს მოსამართლეთა კორპუსი?

– სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, სასამართლო დამოუკიდებელია პროკურატურისგან. გახსოვთ, ადრე პროკურორი რა შუამდგომლობითაც არ უნდა შესულიყო, სასამართლო უმტკიცებდა. დღეს პროკურატურა ნამდვილად არ ერევა სასამართლოს საქმეებში და ნამდვილად არ აძლევს დირექტივას. მაგრამ აქ არის მეორე საკითხი: არის თუ არა ეს სასამართლო სამართლიანი სასამართლო? მართალია დღეს სასამართლო არის დამოუკიდებელი, გუშინ კი იგივე სასამართლო აპრიორი უკანონო გადაწყვეტილებებს იღებდა. შესაბამისად დღეს იგივე მოსამართლეები ვერ იქნებიან სამართლიანი.

„ბარამბოს“ საწყობიდან ვადაგასული არომატიზატორი ამოიღეს

მერი ნამორაძე

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოში მოღვაწე მწარმოებლები კარგა ხანია გააფრთხილა იმის შესახებ, რომ მზად უნდა ყოფილიყვნენ როგორც გეგმური, ასევე არაგეგმური შემოწმებისათვის. ამჯერად სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები გეგმური ინსპექტირებისათვის ბევრი მომხმარებლისათვის საყვარელ კომპანია „ბარამბოს“ ეწვივნენ, რომლის საწყობიდან 25-ლიტრიანი 48 კასრი დანიური წარმოების ვადაგასული არომატიზატორი, საკვებდანამატი ამოიღეს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ნაყინის წარმოებაში.

აღნიშნული პროდუქცია ვადაგასული იყო – ვარგისიანობის ვადა 2011 წელს ამოეწურა და, კანონმდებლობის შესაბამისად, განადგურებას ექვემდებარება. სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა ამოღებული პროდუქცია დალუქეს და უახლოეს დღეებში გაანადგურებენ.

კომპანია „ბარამბო“ საწყობიდან

ვადაგასული არომატიზატორის ამოღების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მაშინვე გამოეხმაურა და განმარტა, რომ ის ტკბილეულის მწარმოებელი, ხარისხზე ორიენტირებული, „აისო“ სერტიფიკატის მფლობელი ბრენდია, რომელიც საკუთარ მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას სთავაზობს. საწარმოში მუდმივად ხდება ნედლეულის ვადიანობის მონიტორინგი. რაც შეეხება „ბარამბოს“ საწყობიდან სურსათის ეროვნული სამსახურის მიერ ამოღებულ გერმანული წარმოების ვადაგასულ არომატიზატორს, მის დიდ ნაწილს ვადა უკანასკნელი თვეების განმავლობაში გაუვიდა. საწყობში გამოყოფილია ადგილი სპეციალურად ვადაგასული ნედლეულისთვის, სადაც ხდება ვადაგასული საკვებდანამატების დაგროვება, რადგან მათი ჩამოწერა გარკვეულ პროცედურებსა და დროს მოითხოვს. შესაბამისად, საწარმოში ვადაგასული ნედლეულის განადგურება პერიოდულად ხორციელდება. კომპანია „ბარამბომ“ ზემოთ აღნიშნულ თემაზე ოფიციალური წერილი გაგზავნა შემოსავლების სამსახურშიც, რათა შესაბამისი პროცედურების დაცვით მომხდარიყო განადგურება. კომპანია „ბარამბო“ არის უმაღლესი ხარისხის ქართული ტკბილეულის მწარმოებელი და არასდროს დაუშვებს რაიმე სახის, ვადაგასული დანამატით აწარმოოს პროდუქცია, საფრთხე შეუქმნას და დაკარგოს ის უამრავი ლოიალური მომხმარებელი, რომელიც დაარსების დღიდან ენდობა ჩვენს ხარისხს. ინფორმაციისთვის, კომპანიის პარტნიორია ისეთი მსოფლიო ბრენდი, როგორიც არის „ბარი კალებაუტი“ და სხვა მრავალი ლიდერი ნედლეულის მსოფლიო მომწოდებლები სხვადასხვა მიმართულებით, – აცხადებენ კომპანიაში.

2013 წლის იანვრიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გეგმური ინსპექტირება განხორციელდა 365 საწარმოში. პროფილის მიხედვით შემოწმდა ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო; საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მარკეტები, საკონდიტროები, ნაყინის წარმოება, მზა კერძები და ასე შემდეგ. გეგმური ინსპექტირებისას კრიტიკული შეუსაბამობა ორ ბიზნესოპერატორთან, საკონდიტრო და აგრარულ ბაზარში აღმოჩნდა, რომლებიც დაჯარიმდნენ ათას-ათასი ლარით და საწარმოო პროცესი შეუჩერდათ შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

რაც შეეხება არაგეგმურ ინსპექტირებას, იანვრიდან ივნისის ჩათვლით 110 საწარმოში განხორციელდა და კრიტიკული შეუსაბამობა სამ ბიზნესოპერატორთან აღმოჩნდა. მიცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით გადამოწმდა 361 საწარმო. მათგან რეკომენდაციების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა 136 ბიზნესოპერატორი და მიეცა ახალი გონივრული ვადა.

მოკლედ, სურსათის ეროვნული სააგენტო მანამდე არ „მოასვენებს“ მეწარმეებსა და ბიზნესოპერატორებს, ვიდრე მისაღებ პირობებს არ შექმნიან და მომხმარებელთა უფლებებს მაქსიმალურად არ დაიცავენ.

ტელეკომპანია „იბერიის“ დამფუძნებელი მზადაა, მე-9 არხის ჟურნალისტებისა და ტექნიკური რესურსის მიღების შესაძლებლობა განიხილოს

ბოლო დროს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „იბერია ტვ“ აცხადებს, რომ ამჟამად 2004 წელს „იბერიისთვის“ ჩამორთმეული სამაუწყებლო ლიცენზიის დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს და ტელეკომპანია „იბერია ტვ“ გეგმავს მაუწყებლობის აღდგენას.

„იბერია ტვ“-ს დამფუძნებელი გამოთქვამს სურვილს და მზადყოფნას, რომ ქართულ სამაუწყებლო სივრცეს დაუბრუნდეს კიდევ ერთი დამოუკიდებელი და კვალიფიციური ჟურნალისტებით დაკომპლექტებული ტელეკომპანია და ამისათვის მზად არის განიხილოს ტელეკომპანია მე-9 არხის ჟურნალისტებისა და ტექნიკური რესურსის მიღების შესაძლებლობა.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „იბერია“ ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს ეკუთვნოდა. იგი ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. ამ წლების განმავლობაში ზაზა ოქუაშვილი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცნობისთვის: ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ მაუწყებლობა რამდენიმე დღის წინათ შეწყვიტა. ტელეკომპანის დახურვის გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა მიიღეს.

მედიანიუსი

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი არავის გაურიგდება“

სააკაშვილის რეჟიმი — ნაცისტების სადისტური სისტემა

თამარ ნინიძე

ინტერვიუ მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის დირექტორ პეტრე მამრაძესთან

– მზადდება ნიადაგი იმისათვის, რომ ბაჩანა ახალაია ციხიდან გაათავისუფლონ. თქვენი აზრით, რა რეაქცია ექნება საზოგადოებას ამ ფაქტზე?

– პირველი, ამ სასამართლოს პირობებში ამის გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლება, შეგახსენებთ წულუკიანის განცხადებას – „ჩვენ ვაკავებთ, კუბლაშვილი უშვებს, ჩვენ ვაკავებთ, კუბლაშვილი ისევ უშვებს“. ლაპარაკია სულ რამდენიმე მოსამართლეზე, კუბლაშვილი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავად არჩევს რომელ მოსამართლეს, რა საქმე მისცეს, აძლევს მნიშვნელოვან საქმეებს სწორედ იმ რამდენიმე მოსამართლეს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ყურმოჭრილი მონაა და ასრულებს რეჟიმის ნარჩენების დავალებებს. მეორეც, ბაჩო ახალაია ერთ-ერთი სიმბოლოა სადისტური რეჟიმისა, როგორებიც არიან ელიტური კორუფციის სიმბოლოები, თვითონ სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები, უგულავა და სხვები, ასევე არიან სადისტური რეჟიმის სიმბოლოები მერაბიშვილი, ადეიშვილი, სოსო თოფურიძე, დათა ახალაია, მეგის ქარდავა და სხვები – ყველას ვერ ჩამოვთვლით. ვარდების რევოლუციამდე სააკაშვილი ამბობდა, როცა ადამიანის პრესტიჟი ისეა შელახული, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია, მაშინ მოსამართლეს მტკიცებულებაც კი არ სჭირდებაო. ასეთი სიმბოლო წამებისა და სადისტური მოპყრობისა არიან ძმები ახალაიები. დამისახელონ თბილისსა და საქართველოში ერთი შემთხვევა მაინც, რომ ყოფილიყო ვინმეზე მყარი სტაბილური საზოგადოებრივი აზრი და მერე არ გამართლებულიყო. ამას წინათ სამოც წელს გადავაბიჯე და მსგავსი შემთხვევა არ ვიცი. სასამართლოს მიერ ახალაიას გამართლებისა და შემდეგ რომელიმე თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში (სააკაშვილს უფლებამოსილება ნოემბერში შეუწყდება და ეს შეიძლება მოასწროს), ამას მთელი საზოგადოება აღიქვამს, როგორც სისუსტეს, „კობიტაციას“ ანუ რეჟიმთან გარიგებას. ეს იქნება ივანიშვილის მთავრობისთვის კიდევ ერთი ძალიან ძლიერი დარტყმა.

– საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ყოფილმა მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძემ ამას წინათ განაცხადა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას პრეზიდენტად ნინო ბურჯანაძე გაჰყავს. ახალაიას გათავისუფლება ამას უკავშირდება, ბურჯანაძე კობიტაციის წინააღმდეგია.

– ნიკო ვაშაკიძეს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც სააკაშვილის რეჟიმის უპირობო მსახურს. მან ეს სამინისტროდან წასვლის შემდეგაც არა ერთი თავისი კომენტარით დაასაბუთა. რაც შეეხება მის ფრაზას – პირადად ივანიშვილი არ არის ის ადამიანი, რომელმაც შეიძლება ორმაგი თამაში ითამაშოს. მან პირადად შეარჩია მარგველაშვილი კანდიდატად და შემდეგ დანარჩენებმა მხარი დაუჭირეს. ივანიშვილი ყველაფერს იზამს, რა თქმა უნდა, მხოლოდ კანონის ფარგლებში, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი და სამართლიანი და რომ სამართლიანად გაიმარჯვოს მარგველაშვილმა. მაგრამ ამას წინათ განვაცხადე: რა თქმა უნდა, ბურჯანაძეს დარჩენილ დროში რადიკალური გაანცხადებებით შეუძლია გარკვეული ქულების მოგროვება. ბურჯანაძე აცხადებს, გავხდები თუ არა პრეზიდენტი, სააკაშვილი წავა ციხეში, ხალხს ამის სჯერა. ის ასევე აცხადებს, რომ ნაცმოძრაობის დამნაშავეებმა რაც გაიტაცეს მილიარდები და რაც ქონება წაართვეს მოქალაქეებს, დააბრუნებინებს ყველაფერს და ამით გადაწყდება ოთხმოცი ათასამდე ოჯახის პრობლემა, რომელიც ახლა ბინას კარგავს, ბანკებსაც ჩამოშლა არ დაემუქრება. ხალხის ნაწილს ამის სჯერა, თუმცა არჩევნების შემდეგ ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს მსგავსი უფლებები არ ექნება. მარგველაშვილი გუნდის წევრია. ეს გუნდი ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც დარჩება უმრავლესობაში და მას ერთადერთს შეუძლია, ისაუბროს გუნდის სახელით ამ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. მე ვფიქრობ მაინც, რომ თუ ოცნება არ დაუშვებს უხეშ შეცდომებს და, თუ ივანიშვილი გამოიყენებს თავისი ნდობის რესურსს, მარგველაშვილი პირველსავე ტურში გაიმარჯვებს.

– თუმცა მარგველაშვილზეც არის პრეტენზიები, ერთადერთი ნაბიჯი, რაც მან გადადგა მინისტრობის დროს – ეს იყო უფასოდ სახელმძღვანელოების დარიგება, სხვა რადიკალური რეფორმისტული გადაწყვეტილება არ ყოფილა. რატომ უნდა დაუჭიროს საზოგადოებამ მას მხარი არჩევნებზე?

– მე ვიცნობ გიორგი მარგველაშვილს, ხმას მივცემ მას, თუ დარჩენილ დროში რაიმე უხეში შეცდომა არ იქნება დაშვებული პირადად მის მიერ ან ოცნების მიერ. ხმას მივცემ მხოლოდ იმის გამო, რომ ის ივანიშვილის კანდიდატია, და მე მხარს ვუჭერ ივანიშვილს, როგორც ადამიანს, რომელმაც პირადად გადაარჩინა საქართველო. შარშან ოქტომბერში მოაცილა საქართველოს სააკაშვილის სადისტური სისტემა, საშუალება მისცა ერს, რომ შეუდგეს ნორმალურ ცხოვრებას. ახლა ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული. ივანიშვილს რომ სხვა კანდიდატურა წარმოედგინა, მე იმ სხვას მივცემდი ხმას, ვინაიდან ის იქნებოდა ივანიშვილის კანდიდატურა. მაშინ, როდესაც ჯერ კანდიდატები არ იყვნენ გაცხადებული, იყო ანონიმური გამოკითხვები, ივანიშვილის კანდიდატს მისცემთ ხმას თუ სააკაშვილის კანდიდატს და დიდმა ნაწილმა მაშინ ივანიშვილის კანდიდატს დაუჭირა მხარი.

– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაეცა განვლილ ოქტომბერთან შედარებით. რით ხსნით ამას და რა არის ამის მიზეზი?



– პროცენტულად ვერ შევაფასებ, რადგან სხვადასხვა გამოკითხვა სხვადასხვა შედეგს იძლევა, მაგრამ ამას წინათ ვკითხულობდი, რომ პირადად ივანიშვილს ჯერ კიდევ სამოცი პროცენტი აქვს. ის, რომ რეიტინგი ეცემა, აშკარაა. ყოველდღე ვესაუბრები ადამიანებს, თბილისშიც ვხვდები ადამიანებს, რეგიონებშიც, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი და ანალიტიკოსი, ამით დაინტერესებული ვარ და ნდობა და სიყვარული ოცნების მიმართ აშკარად იკლებს. პირველი მიზეზი გახლავთ ჭარბი მოლოდინი. ადამიანები გაცილებით მეტს ელოდნენ, ვიდრე შეეძლო, გაკეთებინა „ქართულ ოცნებას“. მეორე მიზეზი ის არის, რომ იყო კონკრეტული დაპირებები და დასანანია, რომ ვერ შესრულდა, ფასები საწვავზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა. ადამიანები ამას ელოდებოდნენ. მესამე მიზეზი სამართლიანობის აღდგენის ტემპებია. ადამიანებს არ ესმით – ამდენი მასშტაბური დანაშაულის ჩადენილი მთელი ერის თვალწინ; სამას ათასამდე პრობაციონერია; ბევრს საპროცესო გარიგება დაადებინეს, ქონება წაართვეს. ძალიან ბევრ ოჯახს შეეხო ეს უბედურება, ხოლო ნათესავი ან მეგობარი ყველას ჰყავს გაუბედურებული. უცხოეთის წამყვანი ორგანიზაციები, თავად ჰამერბერგი წერდნენ, რომ საქართველოში ისეთი რეჟიმია, რომ ადამიანები მზად არიან, დაიბრალონ ნებისმიერი აბსურდული ბრალდება, გააფორმონ საპროცესო გარიგება და მთელი ქონება დათმონ, ოღონდაც თავი აარიდონ ციხეებში სასტიკ მოპყრობასა და წამებას. უცხოეთმაც კი მოგვიანებით და არასრული მასშტაბით მაინც გაიგო და განაცხადა, რომ ეს ხდებოდა. ამ ფონზე, რა აქვს ახალ მთავრობას აქტივში სამართლიანობის აღდგენის მხრივ? ძალიან ცოტა! გუნავა გარეთ გამოდის და ინიშნება გუბერნატორად. ახალაია მართლდება – სადისტური სისტემის სიმბოლო მართლდება წამების მუხლში! არ მინდა, უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო, ადამიანების განწყობაზე ვსაუბრობ. საზოგადოებისთვის ეს ადამიანები არიან სიმბოლოები უდიდესი დანაშაულისა. ყველაზე რბილი შეფასება, რომელიც მომისმენია, არის ის, რომ ახალ მთავრობას დასავლეთისა და ამერიკის ეშინია, ამიტომ ვერ ბედავს ბოროტმოქმედების დაპატიმრებასა და დასჯას. გარდა ამისა, საუბარია იმაზე, რომ გარიგებაა იმის გამო, რომ ნაციონალებმა დიდი ფული წაიღეს და ახლა ზოგიერთებმა დაიბრუნონ ეს ფული არა ხალხისთვის, არამედ საკუთარი გამდიდრებისთვის. ხალხი ამბობს ამას. ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს ადამიანი არავისთან არანაირ გარიგებაზე არ წავა, არასოდეს დაარღვევს კანონს. მას მართლა უნდა, რაც შეიძლება მალე დატოვოს პრემიერის პოსტი. ა.წ. აპრილში „ლე მონდში“ წავიკითხე მისი ინტერვიუ: დავრჩები, თუ ამის აუცილებლობა იქნება, მაქსიმუმ 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე, ისე კი, მირჩევნია, ახლავე წავიდეო. ის არის ყველაზე დიდი ქველმოქმედი საქართველოს ისტორიაში, გაცილებით დიდი, ვიდრე სარაჯიშვილი და ძმები ზუბალაშვილები. ივანიშვილის ყველაზე დიდი ქველმოქმედება იყო ის, რომ გადადგა ეს ნაბიჯი და მოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციისთვის დახმარება გაეწია, ეს ადამიანი არავის გაურიგდება, ეცდება, კანონი ყოველთვის აღსრულდეს. სულ სხვაა კოალიციის შემადგენლობა. მაშინ ივანიშვილს მოუწია იმ მასალასთან მუშაობა, რომელიც გარშემო ჰყავდა, კოკასა შიგან რაც იდგა, ის წარმოდინდებოდა, სხვა, ცხადია, არაფერი. შედეგად კოალიციაში მოხვდნენ ის ჯგუფები, რომლებიც ბარიერსაც კი ვერ გადალახავდნენ ივანიშვილის გარეშე. ივანიშვილს მხარში დაუდგნენ არა იდეებისა და პრინციპების გამო, არამედ იანგარიშეს, რომ სხვაგვარად პოლიტიკურ სამარეში ჩავიდოდნენ. გავაკვირვებ მკითხველს, ზოგიერთი მათგანის პოლიტიკური წარსულის მიუხედავად, მადლობელი ვარ, რომ მაშინ დაუდგნენ გვერდით ივანიშვილს. მაშინ ხომ ივანიშვილის გამარჯვება სულაც არ იყო გარანტირებული, რეპრესიები კი სახეზე იყო. უმრავლესობაში, პარლამენტში, არიან შესანიშ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ნოდარ გრიგალაშვილი: „არაკაცების პასუხად“

სსრკ-ს არსებობის დროში ჭორების გავრცელების სპეც. განყოფილება არსებობდა, რომელიც დაკავებული იყო ამაზრზენი კომპრომატების გავრცელებით იმ რეჟიმისთვის არასასურველი პირების მიმართ. ეს „სახელოვანი“ ტრადიცია დღესაც გრძელდება. ინფორმაციის მომრავლების საშუალებებს და, განსაკუთრებით, ყვითლად მორაკრაკე „წყაროებს“ თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ ეს პატარა საქართველო სამყაროს ყველაზე დიდ ჭორბიუროდ არის გადაქცეული. ინტერნეტის მეოხებით ყოველ დილით მწყობრში დგება ავმოენეთა მთელი არმია. იგინება დიდი და პატარა, ქალი და კაცი, საქართველო იგინება. ტყუილი და ცილისწამება ღამის ნორმად და ცხოვრების ჩეულებრივ წესად იქცა. ამ მხრივ, შეუდარებელია ღვაწლი 80 წელს გადაცილებული ძველი ბოლშევიკის, ძველი სუკის ნომრიანი აგენტის, ერთკაციანი აკადემიის „აკადემიკოსის“ იაკობ (იაშა) ახუაშვილისა. ამ ახუაშვილმა, რაღაც კომპლექსით შეპყრობილმა, ღამის არის მთელი ქართველობა ან ნასომხარად, ან ნაოსარად გამოაცხადოს.

რაც პოლიტიკაში შევდგი ფეხი, მას შემდეგ ჩემ შესახებ ბევრი ჭორი მსმენია, მაგრამ გრიგალაშვილი ქართველი არ არისო, ასეთ ჭორს, თვით ილია ჭავჭავაძის დიდი „მოსიყვარულის“, თუმცა, ახლახან ილიას მკვლელთა პარტიაში შეშტრიკინებულ გურამ ყორანაშვილის თავშიც კი არ გაუთენებია ღამე. არადა, ამ ახუაშვილმა, რამდენიმე წლის წინათ, სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად,მეც ამომშალა ქართველობის სიიდან. ჯერ სომხად გამომაცხადა, მერმე ოსად.

თავისთავად, არც სომხობაა დასაწუნი , არც ოსობა და არც იაკუტიელობა. არ არსებობენ ცუდი და კარგი ერები. არსებობენ კარგი, ცუდი და ძაღლთაპირი ადამიანები, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ყოველ ნორმალურ ადამიანს თავისი ერის შვილობა ეამაყება. სამი რამ არ არის არჩევანის საგანი,-ტკბილი ნუგბარივით რომ შეირჩიო,- სამშობლო, ეროვნება და სქესი.

სამშობლო, ეროვნება და სქესი ჩვენი არჩევანი კი არა, ჩვენი ბედისწერაა, რაც წერა-მწერალმა ჩვენს გაჩენამდე მოგვაკუთვნა. ვინც აქ არჩევანს აკეთებს, ის ბუნების წინააღმდეგ მიდის, რისი საფუძველიც ამა თუ იმ სახის კომპლექსი, გინა თუ ავადმყოფობაა.

მოკლედ, ახუაშვილმა გრიგალაშვილი ქართველობის სიიდან ამომრიცხა. მაშინ წავუყრუე ბერიკაცს, მაგრამ ამ დღეებში ეს აზრი ფეისბუკის საშუალებით ვინმე ზაზა გაბედავამ გაავრცელა. მე არ ვიცი ვინ არის ეს გაბედავა. ერთი კი ვუწყი, კაცი რომ მეორე კაცს უაპელაციოდ ცილს სწამებს და სხვის ჭორებს ავრცელებს, ის ადამის მოდგმისა არ არის, ის დარვინის თეორიის ხორციელი განსახიერებაა. მაიმუნებს უყვართ ძალიან სხვისი შეფურთხება.

მე არავისი შეურაცხყოფა არ მინდა, მაგრამ თქვე მართლა ძაღლთაპირებო,– ახუაშვილო და გაბედავა, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ რას ერჩით ჩემს მშობლებს, ჩემს წინაპრებს, ჩემს შთამომავლობას? მე თუ ქართველი არ ვარ, ან წინაპარი ვინ გამოდის, ან შთამომავალი?

ვიცი, რომ საჯარო მოხელეს თმენის ვალდებულება აქვს, მაგრამ თქვენი სიის სხვა წევრებმა ითმინონ რამდენიც უნდათ. მე ჩემი წინაპრების ჯავრს, საქართველოსთვის რომ დალიეს სული, თქვენნაირ ჭორიკანა არსებებს ვერ შევაჭმევ. ან შენს შვილს რომ ყოველგვარი საბუთის გარეშე დაუწეროს ვინმემ, გაბედავა კი არა, ბაბაიანცი ხარო, ძალიან გაიხარებ, ამხანაგო გაბედავა?

საბუთზე გამახსენდა. როცა ახუაშვილს ჰკითხა გაზეთის კორესპონდენტმა, რა იცი, რა საბუთი გაქვს, გრიგალაშვილი რომ ქართველი არ არისო, სუკის ამ ნომრიანმა აგენტმა,ქვას რომ გახეთქავდა ისეთი პასუხი გასცა-ეს თავად ნოდარმა იცისო.

მე რაც ვიცი, ახლავე მოგახსენებთ:

მამაჩემი იყო ოთარ გრიგალაშვილი.

პაპაჩემი იყო იასონ გრიგალაშვილი.

პაპის მამა იყო ანტონ გრიგალაშვილი.

პაპის პაპა იყო დავით გრიგალაშვილი.

ჩემი დიდი წინაპარი, საარქივო წყაროების მიხედვით, 1558 წელს სამცხიდან გადმოსახლდა იმერეთში, ძმებთან ერთად. ხელნაწერთა ინსტიტუციის არქივში არის წყარო, სადაც წერია მისი სახელიც – ნადირა გრიგალაშვილი. ეს ნადირა გრიგალაშვილი დაიღუპა ხმლით ხელში, საქართველოს მტერთან ბრძოლაში. XVIII საუკუნეში ნადირას შთამომავლები, აზნაური გრიგალაშვილები, იყვნენ სოლომონ მეფის ფიცის კაცები.

ჩემი დიდი პაპა, ანტონ გრიგალაშვილი, იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე.

ახლა, ჩემი სისხლის სხვა შენაკადებზე რა ვიცი, მამის მხრიდან?

დიდ ბაბუას, ანტონ გრიგალაშვილს, ცოლად ჰყავდა გელაშვილის ქალი (სოფ. ყვიბისი). მის შვილს, ანუ პაპაჩემს, იასონ გრიგალაშვილს, ცოლად ჰყავდა კაკაურიძის ქალი, სოფ. სვირიდან.

ბებიაჩემის, კაკაურიძის ქალის დედა იყო ეკატერინე მაჩიტიძე, სოფ. ობჩიდან.

ბებიაჩემის მამა, დავითი (დათიკო) კაკაურიძე დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1921 წელს, მარტში, საკუთარ სახლში, სოფ. სვირში.

იქნებ, დედის მხრიდან ვარ ახუაშვილი, ან ასეთი უბედურება?

დედაჩემი იყო ნოზაძის ქალი.

პაპაჩემი-დიმიტრი ნოზაძე (სოფ. წაბლოვანა).

პაპაჩემის მუღლე, ანუ ბებია, დედის მხრიდან, იყო ღონღაძის ქალი, სოფ. ქვიშხეთიდან.

პაპაჩემის, დიმიტრი ნოზაძის დედა (დიდი ბებია) იყო ქიმერიძის ქალი.

სამწუხაროდ, ამის იქით აღარ ვიცი.

არც ის ვიცი, რა ბინძური ტალახიდან მოზილა ღმერთმა ეს ახუაშვილი, ეს გაბედავა და მათი მსგავსი არსებანი, რომ ასეთი სიმყრალე შეუძლიათ აფრქვიონ მკვდარსა თუ ცოცხალს. ერთიც მინდა დავძინო, ქართველობა მარტო შთამომავლობით არ განისაზღვრება. ქართველობას ბიოლოგიურთან ერთად თვითშეგნების, ცნობიერების ერთობლიობა ქმნის. პირბოზი კაცები (რუსთაველის ეპითეტია), რომელთაც შეგნებულად შეუძლიათ მეორე ადამიანს ცილი დასწამონ, არც მკვდარი დაინდონ და არც შთამომავლობა, არათუ ქართველების, არც ერთი ერის კუთვნილებას არ წარმოადგენენ, უფრო მეტიც, ასეთ არსებებს ადამიანთა მოდგმაშიც არ მოისაზრებს ხალხის სიბრძნე და ამადაც გაჩნდა ქართულ ლექსიკონში სიტყვა არაკაცი.

ჩემი ბედიც ესა ყოფილა. რაღა ყველა არაკაცი მე უნდა გადამეყაროს, ამ ისედაც სვეგამწარებულ წუთისოფელში?

ბედის ირონია არ არის, რომ მე, ნოდარ გრიგალაშვილი ამ არაკაცებს იმას ვუმტკიცებდე, რომ ნამდვილად მე, ანუ ნოდარ გრიგალაშვილი ვარ. ეს პასუხიც ჩემი გვარის და მამა-პაპის ღირსების გამო დავწერე, თორემ იაშა ახუაშვილი რომ ვიყო, გინდ სომხობა დაებრალებინათ, გინდ ოსობა და გინდ ნიგერიელობა, იმაზე უარესს რაღას დამმართებდნენ, იაშა ახუაშვილობა რომ არის. რაც შეეხება გაბედავას, იქნებ დაფიქრდეს, ვიდრე სუკის ნომრიანი აგენტის შეთხზულ ჭორს გაავრცელებს, გაიკითხოს, ვის მიმართ სჩადის ამას,თორემ ბოროტება ბუმერანგივით უკან უბრუნდება ბოროტგანმზრახველს...

ნოდარ გრიგალაშვილი

ნანა კაკაბაძე: „ცენტრალური საარჩევნო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებ“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკბაძესთან

– ქალბატონო ნანა, მოდით, მედიაში განვითარებული მოვლენებით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ. რა პროცესები მიმდინარეობს დღეს მედიაბაზარზე?

– თქვენ ალბათ ტელევიზიების დახურვას გულისხმობთ... მეცხრე არხი, ინფო 9 და ახლა „მაესტრო“. საერთოდ, ძალიან ცუდი ტენდენციაა ის, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში იხურება ტელეკომპანიები და თანაც ტელეკომპანიები, რომლებსაც უფრო დამოუკიდებელი იმიჯი აქვს, ეს ძალიან ცუდია, არ არის კარგი. ჩვენ გვახსოვს ასევე, როდის დაიხურა მეცხრე არხი, წინა დახურვაზე, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი მოვიდა ხელისუფლებაში და ეს ცუდ ასოციაციებს იწვევს, რომ დღეს კიდევ გახდა საჭირო მისი დახურვა. აქედან გამომდინარე, ეს ძალიან ცუდი ფაქტია. ჯერ ერთი, მცირდება კონკურენცია ბაზარზე და ეს იწვევს უკვე მონოპოლიების გაჩენას.

– ქალბატონო ნანა, ახალი ხელისუფლების ინტერესებში შედის ეს ყველაფერი, მისი პოლიტიკის ნაწილია, თუ ისევ ზეწოლაა?

– რა ვიცი, როგორ უნდა შედიოდეს ახალი ხელისუფლების ინტერესებში, რომ მისი შექმნილი ტელეკომპანიები, მისი მხარდაჭერილი და წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენ ვიცით, სწორედ მეცხრე არხი და „მაესტრო“ იყო ის ტელეკომპანია, რომელსაც ახალი ხელისუფლება იბრძოდა, თეფშების შეძენაც კი ხდებოდა მათ მიერ, რომ ეს არხები ჰქონოდა საზოგადოებას. უფასოდ არიგებდნენ და ამაზე ლამის რევოლუცია მოხდა. გახსოვთ, როგორი ომი გამოუცხადა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ თეფშების დარიგებას, რომ სწორედ „მაესტრო“ და მეცხრე არხი არ ყოფილიყო ეთერში. დღეს, როდესაც ეს ამ ხელისუფლების ნებით ხდება, არ ვიცი, რატომ და რისთვის უნდა იყოს ახალი ხელისუფლების ნება.

– თქვენი აზრით, რამ მიიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე ბიძინა ივანიშვილი?

– გარკვეულწილად პოლიტიკამ, ოღონდ საიდან ნაკარნახევმა პოლიტიკამ, მე ზუსტად ვერ ვიტყვი. ეს არის ის, რომ თავისუფალი მედიასივრცე უნდა შევიწროვდეს და სწორედ თავისუფალი ტელეკომპანიების ხარჯზე დ არა მართვადი ტელეკომპანიების ხარჯზე. ჩვენ ალბათ მალე გავიგებთ, რა ბედი ეწევა დანარჩენ ტელეკომპანიებსაც, ვინ გახდებიან მათი მფლობელები, ან როგორ დაიწყებს ის განვითარებას. მთავარი ის არის, რომ იხურება ეს ტელეკომპანიები. რაც უფრო ნაკლებია ბაზარზე ტელევიზიები, მით უფრო მარტივია მისი მართვა. რაც უფრო მეტია, მით უფრო რთული მართვა, ხომ? ამ ტელეკომპანიებს თავისი ჟურნალისტები ჰყავს, თავისი შტატები ჰყავს და ბუნებრივია, ეს მარტივი არის იმ შემთხვევაში, როდესაც ცოტაა ტელევიზია. ალბათ ამის გამო ხდება ამ ყველაფრის დახურვა, რაც ძალიან ცუდ რაღაცაზე მიუთითებს.

– საპრეზიდენტო არჩევნებია კარს მომდგარი და ამ ფონზე, როდესაც საკუთარ ტელევიზიას ხურავ, ეს ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს, ალბათ დამეთანხმებით...

– კი, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება ამ ფონზე და საზოგადოებას მართლაც ძალიან სერიოზული გამჭრიახობა მართებს დღეს, რომ გააკეთოს სწორი არჩევანი თავისი ქვეყნისა და თავისი ოჯახის სასარგებლოდ. ჯერ კიდევ არის დრო ოქტომბრის ბოლომდე, კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთება, რისი მხარდაჭერა ხდება და რისი არა და აქედან შეგვიძლია დასკვნები ვაკეთოთ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი რაც ხდება ტელეკომპანიებში თუ ბიზნესსივრცეში, თუ ასე შემდეგ, ეს ყველაფერი მაინც ერთიანი პოლიტიკური ხაზის სხვადასხვა გამოვლინებაა და არა კონტექსტიდან ამოვარდნილი სხვადასხვა მოვლენები. ეს არის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე პროცესები. ვნახოთ, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ბევრ რამეს ახდის ფარდას, იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, საარჩევნო სისტემებში და საარჩევნო კომისიებში არაფერი შეცვლილა და გაყალბება ოქტომბერშიც ისეთივე წარმატებით იქნება შესაძლებელი, როგორც წინა პერიოდში იყო შესაძლებელი. ასე რომ, დავინახავთ, რა იქნება შედეგი და მარტივი ანალიზი იქნება გასაკეთებელი, რატომ ხდებოდა წინასაარჩევნოდაც აი, ეს ყველაფერი.

– ქალბატონო ნანა, ასევე არ შემიძლია, არ გკითხოთ სააკაშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც ნასამართლეობის მოხსნას უკავშირდება და ვხედავთ, რომ რიგები დგას პრეზიდენტის სასახლესთან. რა ხდება, ხმების მობილიზაცია სურს არჩევნების წინ თუ ხალხის მომადლიერება? რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

– ჩვენ თვითონ სააკაშვილთან, როგორც თაღლითთან, გვაქვს საქმე, ეს არის მთავარი მოვლენა. ეს ადამიანი არის თაღლითი, მთელი თავისი პოლიტიკით და თავისი შინაგანი სპობით, მას ასე უცხოვრია და ასე ცხოვრობს დღეს. ანუ იმ ადამიანებს, ვინც თვითონ აქცია უსახლკაროებად, ვინც თვითონ აქცია უკანონო პატიმრებად და ასე შემდეგ, დღეს ასევე ყველაანირი სამართლიანობის გვერდის ავლით აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. უფრო ზუსტად გააკეთა, გამოსცა ამნისტია და ამას აკეთებს იმ ფონზე, როდესაც სამი დღით ადრე უკვე არსებობდა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულება ნასამართლეობის მოხსნაზე ამნისტირებული პირებისათვის და ეს გასაგებიც იყო.

– ქალბატონო ნანა, რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებს, საუბარია, რომ ქართულ ოცნებას აქტიურად ტოვებენ მისი წევრები და სხვადასხვა პარტიებში მიდიან. რა ხდება, იმედგაცრუება მატულობს ხალხში, თუ ეს არჩევნების წინ მიმდინარე პროცესებს უკავშირდება?

– ერთიც და მეორეც. ის, რომ ნიჰილიზმი და უიმედობა ჩნდება საზოგადოებაში, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ხელისუფლება საკმაოდ უსუსური აღმოჩნდა, ეს ერთი მხარეა. ის, რომ პოლიტიკურად ახალი თემებით ხდება ადამიანების გადასვლა ქართული ოცნებიდან სხვა პარტიებში, ესეც, რა თქმა უნდა, არის და ამაშიც სწორედ ქართული ოცნების პოლიტიკაა დამნაშავე და ამის განმსაზღვრელიც. არ ვიცი, ეს მიზანმიმართულად ხდება თუ უუნარობით ხდება ვერ გეტყვით, მაგრამ ის, რომ ხდება აბსოლუტურად გაა ზრებულად, გაცნობიერებულად და ძალიან დიდი შესაძლებლობებია იმისი, რომ ეს ასე არ ხდებოდეს, მაგრამ მაინც ხდება, ეს ფაქტია.

– ქალბატონო ნანა, როგორ შეაფასებდით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას? მათ უარი გითხრეს რეფერენდუმის ჩატარებაზე, ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით...

– ის, რა პასუხიც ცესკომ გაგვცა რეფერენდუმთან დაკავშირებით იყო აბსოლუტურად აზრს მოკლებული და ასევე მათ უფლებამოსილებას აჭარბებდა ის, რაც მათ გვითხრეს. ჩვენ შევედით ინიციატივით, ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი, უნდა თუ არა ხალხს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი ასეთი პასუხი გაგვცა, ჩვენ რომ ამაზე თანხმობა ვუთხრათო, ამას უნდა მოყვესო ხელახალი არჩევნებიო და ხელახალი არჩევნები მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტი იქნება დათხოვნილი და პარლამენტი თუ იქნება დათხოვნილი, ამას კონსტიტუციით განსაზღვრული ნორმა არეგულირებსო. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვინ ეკითხება, წავიდეს ამ სიღრმეებში? ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვეკითხებით ჩვენ, გვაქვს თუ არა კანონით უფლება, ჩავატაროთ რეფერენდუმი ამასთან დაკავშირებით? შემდგომ რა პროცესები მოჰყვება ამას, ეს უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის განსახილველი თემა არ არის, იმიტომ, რომ ეს უკვე ხელისუფლების ვალდებულებაა. ვინაიდან რეფერენდუმის შედეგები არის სავალდებულო აღსასრულებლად. ხელისუფლება რა ინიციატივებით შევა და რა ცვლილებებს შეიტანს კანონში, ეს რა ცსკოს განსახილველია? მას კანონი ავალდებულებს გვითხრას, გვაქვს თუ არა ამის უფლება? რა შუა შია ეს ყველაფერი, რატომ გადადის ცსკო დაუკრეფავში და აცხადებს ამას უნდა მოჰყვეს ეს და ის. რა მათი საქმეა ამ წიაღსვლებში შესვლა? მათ უფლებამოსილება ში ეს არ შედის. მან უნდა იმსჯელოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში – გვაქვს თუ არა უფლება, ვკითხოთ ხალხს, უნდათ თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, აი, ამაზე უნდა გაგვცეან პასუხი. შემდეგი პროცესები კი მათი საქმე არ არის.

– რას აპირებთ?

– აუცილებლად გავასაჩივრებთ სასამართლოში და აუცილებლად დავაყენებთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხს, ასეთი უპასუხისმგებლო და არაადეკვატური უარის გამო.

,,რატომ იკლო ტელევიზიების შემოსავლებმა?

მერი ნამორაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ტელევიზიების შემოსავლების კლების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას და ამას 2013 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში განხორციელებულ სამთავრობო ცვლილებებს მიაწერს. როგორც ორგანიზაციაში ამბობენ, ტელევიზიების ბიუჯეტის კლება, პოლიტიკური გაურკვევლობის შედეგია, რამაც კერძო სექტორის სარეკლამო დანახარჯების კლება და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის შენელება გამოიწვია. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციის თქმით, რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ, სარეკლამო კამპანია 2013 წელს დაგვიანებით დაიწყო, რაც ზოგიერთ ტელევიზიასა და სარეკლამო საგენტოში, მფლობელებისა და ხელმძღვანელობის ცვლილებებს უკავშირდებოდა.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „მეცხრე არხმა“ არსებობის მანძილზე ვერ შეძლო მნიშვნელოვანი სარეკლამო შემოსავლების მოზიდვა და უმეტესად მფლობელის (არადეკლარირებული) შემოწირულობებით გაჰქონდა თავი. შედარებისთვის, 2013 წლის იანვარ-მაისის პერიოდში „მეცხრე არხმა“ მხოლოდ 379 333 ლარის შემოსავლები მიიღო (აქედან 312 827 ლარი სარეკლამო შემოსავალია), მაშინ როცა „მაესტრომ“ ამავე პერიოდში 1.3 მილიონი ლარის შემოსავლების (მთლიანად რეკლამიდან) მოზიდვა შეძლო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ფიქრობს, რომ წლის დასაწყისში დაფიქსირებული დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლები და შემცირებული სარეკლამო ბაზარი დამატებითი გამოწვევა იქნება „მეცხრე არხის“ ფინანსურად მდგრად ბიზნესად გარდაქმნის პროცესში.

რაც შეეხება სხვა ტელევიზიების შემოსავლების მოცულობას, ორგანიზაციის კვლევის თანახმად, 2013 წლის თებერვალ-მაისის პერიოდში კერძო ტელევიზიებმა 21 751 009 ლარის ოდენობის შემოსავლების დეკლარირება მოახდინეს, რაც წინა წლის იმავე თვეების შემოსავლებს დაახლოებით, 4.3 მილიონი ლარით ჩამოუვარდება. აღნიშნული თანხების 93% ტელეკომპანიებმა სარეკლამო შემოსავლებიდან მიიღეს. ასე გამოიყურება საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიისგან მიღებული მონაცემები, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოითხოვა. სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებს ყოველთვიურად მარეგულირებელ კომისიაში შემოსავლების დეკლარირება ევალებათ.

,,როგორც აქამდე აღვნიშნავდით, არსებობს ეჭვი, რომ ტელევიზიები, განსაკუთრებით კი „მეცხრე არხი“, რომელსაც პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ოჯახი ფლობს, მარეგულირებელ კომისიაში არასრულ მონაცემებს წარადგენენ. კერძოდ, ისინი თავიანთ დეკლარაციებში არ აღრიცხავენ მფლობელების მიერ განხორციელებულ შემოწირულობებს. ზოგიერთი ტელევიზია უფრო დეტალურ ინფორმაციას აწვდის მარეგულირებელს და შემოსავლებს რამდენიმე კატეგორიაში ანაწილებს (რეკლამა, სპონსორობა, გადაცემის განთავსება და საეთერო დროის გაყიდვა და ა.შ.) სხვა ტელევიზიები კი მხოლოდ მთლიან შემოსავალს წარადგენენ ან შემოსავლები ერთი კატეგორიიდან მეორეში გადააქვთ“, – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ კვლევაში.

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი არავის გაურიგდება“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ნავი ადამიანებიც. ივანიშვილმა იზრუნა იმაზე, რომ მეცნიერები შესულიყვნენ, ადამიანის უფლებების დამცველები შესულიყვნენ, შესანიშნავი მათემატიკოსი ივანე კიღურაძე, უფლებადამცველი მანანა კობახიძე და სხვები. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც რუსთაველის საკნებით გადაკეტვაში აქტიურად მონაწილეობდა. ეს იყო სრულიად კონტრპროდუქტიული აქცია, რომელმაც, მაშინდელი ოპოზიციის სხვა უგუნურ ქმედებასთან ერთად, გაუხანგრძლივა სააკაშვილის რეჟიმს არსებობა, რამდენიმე წელი აჩუქა მას. ამიტომ საკმაოდ რთული მომავალი გველის, ნაციონალებმა კატასტროფული მემკვიდრეობა დატოვეს, ეკონომიკური, ფინანსური სოციალური, დემოგრაფიულიც. ეს ისეთი მემკვიდრეობაა, რომლის რამდენიმე წელიწადში გამოსწორება შეუძლებელია. ამის რესურსი მთელ ერს არ გააჩნია. ცამეტ მილიარდ დოლარს აღემატება მთლიანი საგარეო ვალი. გაფლანგულია და დახარჯულია ის უდიდესი დახმარება, რომელიც საქართველომ მიიღო, და ამის შემდეგ ტრაბახობენ, როგორი ქვეყანა დატივეს. პირიქით, ნაციონალები ჰგვანან იმ ადამიანებს, რომლებიც გადახტნენ მატარებლიდან მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მატარებელი უფსკრულში მიექანება. ახლა ივანიშვილისა და მის გარშემო მყოფი პატიოსანი ადამიანების ამოცანაა, გადაარჩინონ ჩვენი ერი.

– ივანიშვილს უწუნებენ საკადრო გადაწყვეტილებას. თუ ის წავა პოსტიდან, ვის დატოვებს პრემიერის პოსტზე, როგორ დაკომპლექტდება მთავრობა?

– პიროვნებებს საქართველოში ხშირად ჭარბ მნიშვნელობას ანიჭებენ. როგორც პროფესიონალი, ვამბობ, სამასზე მეტი მინისტრი გამოიცვალა საქართველოში ამ წლებში. თუ სისტემა არ ვარგა, რას უშველის პიროვნება? შევარდნაძეს ბევრი უწუნებდა საკადრო პოლიტიკას, მაგრამ ერთმა ცნობილმა პიროვნებამ, რომელიც ადრე მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე, ასეთი კრიტიკის შემდეგ ხელი ჩაიქნია და მითხრა, შევარდნაძის პოლიტიკა არ მოგვწონს მაშინ, როცა გვხსნის და სხვას ნიშნავს, მაგრამ როცა სხვას ხსნის და ჩვენ გვნიშნავს, მაშინ მოგვწონსო. ლუი მეთოთხმეტეს ეკუთვნის გენიალური ფრაზა: მინისტრს რომ ვნიშნავ, ამით ერთ უმადურს ვაჩენ და ას მტერს ვიჩენო. ცხადია, უმადურში გულისხმობდა იმას, ვინც დანიშნა, ხოლო მტრებში – ვისაც თავისი თავი უნდოდა ამ თანამდებობაზე. ეს რთული საკითხია. იმედი უნდა გვქონდეს, რომ სწორი კადრები იქნებიან შერჩეული. რამდენიც უნდა იყვიროს სააკაშვილმა, კრიმინოგენური ვითარება დაიძაბაო, ყველა გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს ირაკლი ღარიბაშვილი.

– ნაციონალები ჯერ კიდევ სარგებლობენ მედიასაშუალებებითა და პიარტექნოლოგიებით და აშინებენ ადამიანებს, რომ შევარდნაძის პერიოდი დაბრუნდება, დაიძაბება კრიმინალური ვითარება, გაითიშება დენი, დადგება ისევ რიგები გაზის بალონების შესაძენად და სხვა. არის ამის საფუძველი?

– პირდაპირ ასევე დაწერეთ, გთხოვთ: პირველ რიგში, არ უნდა დაბრუნდეს ნაციონალების სადისტური სისტემა – ხაზინის ქურდების ავტორიტარული რეჟიმი. ეს არის ზუსტი მეცნიერული განმარტება სააკაშვილის რეჟიმისა. მეორეც, მთელმა ერმა და ახალმა თაობამ უნდა გამოასწოროს ის უმძიმესი მემკვიდრეობა – ეკონომიკური, ფინანსური და დემოგრაფიული, რაც დატოვეს ნაცისტებმა. ნაცისტური მონოპოლიების მოქმედებების შედეგად მოხდა ეკონომიკის პარალიზება. საკმარისია აღინიშნოს, რომ საკვების 80% უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ექსპერტები წერდნენ, რომ ქვეყანა, რომელსაც აქვს უმაღლესი ხარისხის აგროპროდუქტები, რომელსაც შეუძლია, მთლიანად შეინახოს თავისი თავი და ვეებერთელა შემოსავალიც ჰქონდეს ბიუჯეტში, აი, ასეთი ქვეყანა ნაცისტებმა მიიყვანეს იქამდე, რომ 80% მოხმარებული საკვებისა, სხვა საქონელზე რომ არაფერი ვთქვათ, არის უცხოეთიდან შემოტანილი და ხშირად მდარე ხარისხის. ამის გამოსწრება ძალიან რთულია. ბაზრების მოპოვებაც ძალიან რთულია. ეს უნდა ესმოდეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს. ამ უფსკრულიდან რომ შევძლოთ ამოსვლა, ამას, შეიძლება, ცხრა წელზე მეტი დრო დასჭირდეს.

ბუკებს მეორე და მესამეკლასელებიც გამოიყენებენ

მერი ნამორაძე

მიმდინარე სასწავლო წელს ყველაზე მეტად, შეიძლება ითქვას, დაწყებითი კლასების პედაგოგებს გაუმართლათ, რომლებსაც განათლების სამინისტრომ სპეციალური ბუკების ტრენინგები შესთავაზა. თუ ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება შეუუცვად ხასიათს მიიღებს არა მხოლოდ დაწყებითების, არამედ სხვადასხვა საგნების პედაგოგთათვის, სასაყვედუროც სამინისტროსა და გამოცდების ერთიანი ეროვნული ცენტრის მიმართ ნაკლები იქნება. საზოგადოებამ იცის, რომ პედაგოგები წარუმატებლად ჩაბარებულ გამოცდებში დამნაშავეებს მხოლოდ საკუთარ თავში არ ეძებენ. „დამნაშავედ“ მათ სამინისტრო და გამოცდების ეროვნული ცენტრიც მიაჩნიათ, რომელთაგან პირველი სათანადოდ არ ზრუნავს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სოციალურ დაცვაზე, მეორე კი მათ საგაკვეთილო პროცესზე ნაკლებად ორიენტირებულ ტესტებს სთავაზობს.

მოკლედ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, საქართველოს მასშტაბით პირველი კლასის ყველა დამრიგებელი სპეციალურ ბუკების ტრენინგს გადის. ტრენინგის მიმდინარეობას გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი გაეცნენ.

როგორც სამინისტროში ამბობენ, ტრენინგები ორეტაპიანია და რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, მათ შორის: ტექსტურ რედაქტორში მუშაობას; საპრეზენტაციო პროგრამას და კლასის მართვის კომპიუტერული პროგრამის ადმინისტრირებას; სასწავლო ვიდეოს შექმნას, ინტერნეტში საგანმანათლებლო რესურსის ძიებას.

2013-2014 სასწავლო წელს საჯარო სკოლები რამდენიმე სიახლით ხვდება. გაუმჯობესდა ბუკების ტექნიკური მახასიათებლები, ორჯერ გაიზარდა მყარი მეხსიერების ზომა, რაც ბუკების არა მხოლოდ პირველ, არამედ, მეორე და მესამე კლასებში გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთან, შეიქმნა ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები. თამაშების პაკეტის განახლება-შევსება მომავალშიც სისტემატურად განხორციელდება. წელს პირველად ყველა პირველი კლასის დამრიგებელს კლასთან მუშაობისათვის, ნაცვლად ბუკისა, ნოუთბუქები გადაეცემათ.

ყველა საჯარო სკოლაში დამატებითი „ვაიფაი როუტერები“ მონტაჟდება, რაც არა მარტო გაადუმჯობესებს ინტერნეტის მუშაობის ხარისხს, არამედ, მასწავლებლებს ქსელური მუშაობის საშუალებას მისცემს და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

შეიქმნა ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის ინტერაქტიული ვებპორტალი, რომლის მიზანია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული მასალების ერთიან სივრცეში თავმოყრა და სხვადასხვა კლასიფიკატორების მიხედვით საჭირო ინფორმაციის მოხერხებული ძიების უზრუნველყოფა. პორტალზე განთავსდება საგნობრივი გზამკვლევები, სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირებული აქტივობები, სანიმუშო გაკვეთილის გეგმები, დავალებათა კრებულები, სხვადასხვა სახის მეთოდური ლიტერატურა.

დაწყებითი კლასების პედაგოგები „ინტელის“ საგანმანათლებლო კურსსაც გაივლიან. „1:1 ელექტრონული სწავლების“ დანერგვის პირველი ეტაპი – აგვისტოში, ხოლო მეორე ეტაპი ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ჩატარდება. ტრენინგებში მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით სულ 2400-მდე პედაგოგი მიიღებს. გადამზადებას საჯარო სკოლებიდან ყველა ის დამრიგებელი გაივლის, რომელიც სექტემბრიდან პირველკლასელებთან იმუშავებს.

ვინ იყიდის მე-9 არხს — ახალი თავსაცემი საზოგადოებისთვის?

როლანდ ხოჯანაშვილი

„ინფო 9“-სა და „მეცხრე არხის“ შესახებ დაიწყო აჟიოტაჟი და ყველაზე მეტად არა თავისუფალი მედიაარხის დახურვაზე, არამედ იქ დასაქმებულების შესახებ საუბრობენ: თავს როგორ ირჩენენ, ახალმა მიღებულმა შრომის კოდექსმა ვერ დაიცვა ისინი და ა.შ. ზედმიწევნით საინტერესოა, რასაც „ინფო 9“-ის ტექნიკური ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი ბაკურ სვანიძე საგანგებო განცხადებას ავრცელებს: ჟურნალისტებო, პოლიტიკოსებო, არასამთავრობებო, მაყურებლებო! წაიკითხეთ ბოლომდე და ყურადღებით! „მეცხრე არხი“ და „ინფო ცხრა“ დაიხურა და რას ატეხეთ ახლა ვაიუშველებელი?

თან მაგრად მეცინება, როდესაც იქ მომუშავე ადამიანების ბედს უსვამთ ხაზს.

მით უმეტეს, ასეთი „რეჩით“: „ეს ის ჟურნალისტები და ოპერატორები არიან, რომლებმაც არჩევნების წინ მთელი ნახევარი წელი თავი დადეს, რისკის ქვეშ იმუშავეს, წარმატებული პროექტი შექმნეს, ქვებისა და ტყვიების წვიმის ქვეშ წარმოუდგენელ სამუშაოს ასრულებდნენ და ახლა სახლში უნდა დასვან?!“ იცით თუ არა თქვენ, რომ ბოლო პერიოდის „მეცხრე არხზე“ (სხვათა შორის, „ინფო 9“-ზეც), მაგრამ განსაკუთრებით – „ტვ 9“-ზე 20 პროცენტიც კი აღარ იყო იმ თანამშრომლებისა, რომლებმაც „ინფო 9“ და „ტვ 9“ (განსაკუთრებით კი – „ინფო 9“) არჩევნებამდე ნახევარწლიანი პერიოდი მართლა სიცოცხლის რისკის ფასად მხრებით ათრიეს? იცით თუ არა, რომ მართლა ქვებისა და ტყვიების წვიმის ქვეშ მომუშავე ადამიანების 80 პროცენტი, არა მხოლოდ ჟურნალისტები და ოპერატორები, არამედ მენეჯერების დიდი ნაწილიც, უკვე ბევრი თვეა „სახლში ზის“ და მათი „სახლებში დასმა“ სულაც არ ყოფილა დაკავშირებული ამ მედიაორგანიზაციების დახურვასთან?

მაშინ რატომ არ შეწუხდით „თავგანწირული ჟურნალისტებისა და ოპერატორების“ ბედით?

„მეცხრე არხზე“ ძირითადად არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე მოსული ან სულაც არჩევნების მერე ქუჩაში შემთხვევით გაცნობილი „ჟურნალისტები“, „მენეჯერები“ და „პროდიუსერები“ მიიზიდა დეკემბერში დანიშნულმა ახალმა ხელმძღვანელობამ!

ამას ემატება ჯერაც პროფესიონალად ჩამოუყალიბებელი სტუდენტი გოგო-ბიჭების ბალასტი, რომლებისთვისაც ტელევიზიაში უბრალოდ შესვლაც კი საოცნებო იყო და ამიტომ ისინი „იოლად სამართავ“ მასას წარმოადგენდნენ!

საახალწლოდ გათავისუფლებული თანამშრომლების 70 პროცენტი იყო პროფესიონალი! ხოლო მას მერე მიღებული თანამშრომლების ასევე 70 პროცენტი იყო სწორედაც შემთხვევითი ტიპები, რომლებიც ტელესაქმეში გარტყმაში არ არიან!

ეს ეხება ჟურნალისტებსაც, ტექნიკურ პერსონალსაც და ტოპმენეჯმენტსაც!

და ვის „უმუშევრად დარჩენაზე“ მოთქვამთ ახლა?

თუ ასე მტკივნეულია თქვენთვის „ჟურნალისტთა გუნდის უმუშევრად დარჩენის“ თემა, მაშინ ბევრი თვის წინ უნდა აგეტეხათ ეგ ვაი-უშველებელი!

შეეშვით ახლა ამ კეკლუცობას და პოზიორობას, თემას უფრო კარგად გაეცანით, შეეკითხეთ იმ ხალხს, ვინც მართლა ნულიდან დაიწყო „ინფო9“ და „ტვ9“, რა როგორ იყო და რა როგორ არის და მერე აკეთეთ კომენტარები!

80-პროცენტიანი ბალასტი უმუშევრად დარჩება თუ არა, ამაში დიდი პრობლემა არ არის (განსაკუთრებით ტოპ-მენეჯმენტში)! აი, იმ 20 პროცენტს კი, იმედია, მართლა ეშველება!“

როცა „ტვ 9“ და „ინფო 9“ შეიქმნა, ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს მედიასაშუალებები არ იყო კომერციულ მოგებაზე გათვლილი, მას წმინდა პოლიტიკურ-საინფორმაციო დატვირთვა ჰქონდა. „ტვ 9“-ზე მეტად „ინფო 9“-მ წინასაარჩევნო პერიოდში ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას „მოუგრიხა კისერი“: ამ მედიასაშუალების კამერის გამოჩენისთანავე შედარებით იკლებდა „ნაცმოძრაობის“ აგრესია, მოსყიდვა-დაშინების ხარისხი. თავად ინფოს მუშაკები (ჟურნალისტები და ოპერატორები) ბევრჯერ მოხვდნენ მორალური და ფიზიკური ძალადობის ქვეშ. გინების, ქვების სროლის, ალისტრახოს მობილური ჯგუფის ფონზე დღევანდელი გადასახედიდან იქნებ არც ღირდა იმ ფასად მუშაობა, რასაც იღებდნენ მედიამუშაკები? მაშინ ისინი უფრო იდეის გარშემო გაერთიანებულნი იბრძოდნენ უკეთესის მოლოდინის გამო. საბოლოოდ, მოხდა ის, რომ „ინფო ტვ“ დაიხურა, შემცირდა „ინფო 9“-ის ჯგუფები, დარჩენილების უმეტესობას დაბალ ხელფასზე მუშაობამ მოუწია, რაც შეეხება „ტვ 9“-ს, იქაც დაიწყო ხმაურიანი რეორგანიზაცია, რამაც ძირითადი ბირთვის არხიდან წასვლა გამოიწვია. არხის ჩამომყალიბებელი ივანიშვილი საკმაოდ ბუნდოვან განცხადებებს აკეთებდა (საზოგადოებრივ მაუწყებელს ჩუქნიდა ტექნიკურ ნაწილს), ხან ერთ ლარად მყიდველის გამოჩენა აჩენდა ღიმილს. მოკლედ, პრემიერს აღარ სჭირდებოდა ეს საშუალებები და უნდა ჩამოეცილებინა თავიდან არა მარტო ხარჯის გამო, არამედ იმის გამოც, რომ „ტვ 9“-მ თავისი თავი ამოწურა. ბიძინა ივანიშვილი – ეს წოდება სანამ მიეცემოდა არხს (ისევე, როგორც რამდენიმე არხმა მიიკერა მიშა-ვიზიას იარლიყი თავის დროზე), მანამდე უნდა გასხვისებულიყო. თვეების განმავლობაში ამ არხის მყიდველის არარსებობაზე წუწუნებდნენ, უცებ ვხედავთ, რომ უცნობი ინვესტორების რიგი დამდგარა.

მინდა, ერთ საკითხს შევეხო კიდევ: სოციალურ ქსელში შეიქმნა ღია ჯგუფი, რომლის მიზანიც „ტვ 9“-ის სააქციო საზოგადოებად ქცევაა. ამ ეტაპზე 4600-ზე მეტი წევრი მსჯელობს ტელევიზიის შესახებ. პრაგმატულმა ადამიანებმა გაიგეს, რომ ივანიშვილი არასდროს გაიტანდა ლოტს გასაყიდად, თუ მისი მყიდველი არ ჩანს ასპარეზზეო. მაინტერესებს, 5 ათასამდე ადამიანს როგორ უნდა შეიძინოს არხი, რომლის აქტივების ფასი ბევრად აღემატება მათ მსყიდველუნარიანობას?! საგულისხმოა ამ ჯგუფის აქტიური წევრის, ვასილ მაღლაფერიძის ნათქვამი: „22 აგვისტოს დილის სამი საათია, ჯგუფში 4603 წევრია და ამ დროისთვის ასეთი მდგომარეობაა. ვეცდები, ვუპასუხო ძირითად კითხვებს. ჯგუფში გუშინ შემუშავებული მიმართვა ბიძინა ივანიშვილისადმი ჩაბარდა კანცელარიას, მიმართვას ხელი მოაწერა, ვინც მოახერხა (დრო და ადგილი გამოცხადებული იყო), ვინც ვერ მოახერხა, საგანგაშო არაფერია, რადგან ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, საჭირო იყო რამდენიმე ხელმოწერა, რადგან ანონიმურ წერილებს კანცელარია არ იბარებს. ამჟამად ველოდებით პასუხს. გარდა ამისა, დაჟინებით მთხოვეს განმარტება ბიძინა ივანიშვილთან ჩემი საუბრის შესახებ სააქციო საზოგადოების შესახებ, რაზედაც მოგახსენებთ შემდეგს: ერთი წლის წინ, ივლის-აგვისტოში, ბიძინა ივანიშვილთან (ჯერ კიდევ არაპრემიერთან!) ერთხელ (!) ჩამოვარდა საუბარი „მე-9 არხის“ შემდგომ ბედზე. ბატონმა ბიძინამ ბრძანა, რომ ვაპირებ, ეს არხი გადავცე ჟურნალისტთა ჯგუფს და დავაფინანსო 20 წლითო (რაც შემდგომ საჯაროდ რამდენჯერმე თქვა). რაზედაც მე ვუთხარი, გარანტირებული დაფინანსება მოადუნებს ტელევიზიას და ამ ჟურნალისტებს, ხომ არ ჯობია, რომ ტელევიზია ეკუთვნოდეს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოტივირებულიც იქნება და, ამავე დროს, დაცული იქნება პოლიტიკური კონიუნქტურისგან-თქო. ეს იყო და ეს, ამ თემაზე საუბარმა გასტანა, ალბათ, 20-30 წამი, გახსოვთ ხომ აგვისტო შარშანდელი, მაშინ სულ სხვა პრობლემები გვქონდა.

რომ არ შეეხსენებინათ, არც მახსოვდა, მაგრამ, ეტყობა, სააქციო საზოგადოების მიმართ შარშანაც მიმიწევდა გული!“

საინტერესოა, ასეთი კოლექტიური მმართველობის დროს რამდენად იქნება ტელევიზია პროგრესირებადი ან ფინანსურად უზრუნველყოფილი. არავის დააავიწყდეს ის მიზეზები, რის გამოც ყველაზე დიდი კოოპერაციები ჩამოგვენგრა თავზე საბჭოურ სამყაროში. ჩვენ კიდევ, გვინდა თუ არა, საბჭოური მენტალიტეტის საზოგადოებად ვითვლებით. რამდენად გვჭირდება ამდენი ტელევიზია, ეს კითხვა დაისვა თუ არა? თუ ვინმე იტყვის, რომ „მართალი“ ტელევიზია სჭირდება საზოგადოებას, ამის ნიშნები გამოკვეთილად აქვს უკვე რამდენიმე ტელევიზიას. რად გვინდა ის, რომ სიმართლე მაინცდამაინც რამდენიმე არხმა გვითხრას?! არ კმარა 2-3 არხი იმისთვის, რომ 4– მილიონიანმა ქვეყანამ სიმართლე გაიგოს?!

უკვე ვასაძე, ხუხაშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი ჩამოითვალა, ვინც მოიაზრება იმ არხის მყიდველად, რომლის 80%-იანი მფლობელი პრემიერის მეუღლეა. კიდევ ერთი ნიუანსი, რატომ არის აპელირება მაინცდამაინც ივანიშვილზე? ან რატომ აკეთებს განცხადებებს ლუბა ელიაშვილი, რომელიც ვერ გაყიდის არხს? ნაკლებად სავარაუდოა, რომ ივანიშვილების ოჯახმა „ტვ 9“ გააჩუქოს, რადგან ასეთ ძვირ საჩუქრად თავი ვის ეღირსება და მეორეც – ეს ჩაითვლება მოსყიდვად (მგონი, ბეშუმში პატარძლისთვის ბეჭდის ჩუქებაც ყელზე დაუყენეს ივანიშვილს!).

საზოგადოება სულ პოულობს იმის საფუძველს, რომ ტყუილად არ გაჩერდეს. ამჯერად „ტვ 9“-ის სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებაზე ხარჯავს ენერგიას (ვფიქრობ, რომ ტყუილად), მერე კიდევ გამოჩნდება სხვა რამე, რაც აგვანერვიულებს. თუ სანერვიულო არაფერი გამოჩნდება, იმაზე მაინც ვინერვიულებთ, სანერვიულო რომ არაფერი გვექნება!

რესპუბლიკელებისა და ნაცების კოაბიტაცია გურჯაანში

გურჯაანის რაიონის, აწ უკვე ყოფილი გამგებელი აკაკი იგივე (ჯონი) ოსიაშვილი, რომელიც დაკავებულ თანამდებობაზე 2012 წლის დეკემბრიდან, მისი ქვსილის პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის დაცვის წევრის, ლაშა მარტიაშვილის მეშვეობით დაინიშნა, 2013 წლის 1 აგვისტოს კანცელარიაში დაბარების შემდეგ, მას თანამდებობა დაატოვებინეს. გურჯაანის გამგებლის გათავისუფლების მიზეზად რაიონში კორუფციის მაღალი დონე დასახელდა.

ბევრი კითხვებია დაგროვილი, გამგებლის რესპუბლიკელ მოადგილის, ზვიად ყვირალაშვილის მიმართაც, რომელიც არის გურჯაანის ყოფილი პროკურორის, გელა ლაზაშვილის ნათესავი. ლაზაშვილი კი გახლავთ კახეთის ყოფილი გუბერნატორის და ამჟამად მაჟორიტარ დეპუტატის,გიორგი ღვინიაშვილის ნებისმიერი დავალების უსიტყვო შემსრულებელი. რესპუბლიკელი ყვირალაშვილი დღესაც „კობიტაციობს“ გიორგი ღვინიაშვილთან. ისინი ხშირად იკრიბებიან გურჯაანის ყოფილ გამგებელთან, ამჟამად კახეთის საგანგებო სამსახურის უფროსს შოთა უტიაშვილის კუთვნილი ე. წ. „ფაზანდაზე“ და წინასწარ გაშლილ სუფრაზე, გიორგი ღვინიაშვილის მითითებებს იღებენ.

ამ ყოველივეს თუ გავითლისწინებით მარტივად აიხსნება ის გარემოება, როდესაც გამგებელ ოსიაშვილს გამოცხადებულ ტენდერებზე და სოფლის განვითარების პროგრამებში ჩართული ჰყავდა უტიაშვილის სანათესავო და სამეგობრო წრე, რა დროსაც ხდებოდა ე. წ. სახელმწიფო თანხების გათეთრება. სატენდერო კომისიის ჯგუფი საშუალებას არ აძლევდა სხვა კომპანიებს ტენდერებში მიეღო მონაწილეობდა გარდა ოსაშვილის და რესპულიკელი ყვირალაშვილის სამეგობრო წრისა. სწორედ შ. უტიაშვილმა რესპულიკელი ყვირალაშვილის მეშვეობით კომპანიები და მისი ხელმძღვანელები ჯერ გააწევრიანა რესპულიკურ პარტიაში, რათა მოეპოვებინა სათანადო ნდობა, ხოლო შემდეგ მოახერხა მათი დაახლოება და კორუფციული გარიგებების დადება..

„მედიანფო“ სანდო წყაროზე დაყრდონობით, წარმოადგენს იმ კორუფციულ სქემას, რომელსაც ახორციელებდნენ ზემოაღნიშნული პირები. ოსიაშვილის და მის მოადგილე რესპულიკელ ყვირლაშვილის სახელს უკავშირდება 2013 წ 19 ივლისს სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობისთვის გამოყოფილი დახმარების მიტაცება. წინა ხელისუფლების მიერ გადამალული 18.000 ლარიდან გამგებელმა და მისმა რესპუბლიკელმა მოადგილემ სულ რაღაც 5.000 ლარი „მოტეხეს“, ხოლო 10 ტონა ფქვილიდან 3 ტონა დაარიგეს, 7 ტონა კი „გაიმსაქმნეს“, რომ აღარაფერი ვთქვათ მაკარონზე, შაქარზე და სხვა ჰიგიენურ საშუალებებზე.

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სოფელ კახიფარისა და ჩუმლაყის მოსახლეობისთვის გამოყოფილი გვარჯილა კი კარდენახის მოსახლეობაზე გადაანაწილეს. ერთი ტომარა გვარიჯილის სანაცვლოდ 16-16 კგ. უწყალობეს.

იანვრის თვეში ყოფილმა გამგებელმა ოსიაშვილმა მხოლოდ ერთი კომპანიისთვის შექმნა ტენდერი, გამოიტანა რა მასზე 300.000 ლარი და გაამრაჯვებინა მხოლოდ რესპულიკელი ყვირალაშვილის მეგობარ დავით იმერლიშვლს. ახლადშექმნილი შ.პ.ს „კომუნალური სერვისი“ განკუთვნილი იყო ქალაქის დასასუფთავებლად, მათი მუშობის შეგედად ერთი ნაგვის ურნაც კი არ დაიდგა გურჯაანში. ოსიაშვილმა და მისმა მოადგილემ მარტო ეს არ იკმარა და 2012 წელს შექმნილ შ.პ.ს „კეთილმოწყობასა“ და შპს „კომუნალურ სერვისთან“ გააფორმეს ხელშეკრულება, სადაც ერთმა კომპანიამ მეორეს დოკუმენტალურად მიაქირავა ქონება, რომელიც რეალურად არ არსებობს. როგორც წყარო ირწმუნება, მიქირავებული 3 ნაგავმზიდი ავტომობილიდან, მუშაობდა მხოლოდ ერთი, რომელიც ამერიკის პროგრამით აჩუქეს ქალაქს, ოფიციალურად გაფორმებული 54 ნაგვის ურნაც არ გვხვდება ქალქაში, არ არსებობს ავტოფარეხი.

როგორც წყარო ირწმუნება, ოსიაშვილი საქმის კურსში იყო, როდესაც რესპუბლიკელ ყვირალაშვილის მეგობარ დავით გოგებაშვილის შპს „კეთილმოწყობას“ კახეთის გამგეობამ უსასყიდლოდ გადასცა 2 სატვირთო მანქანა, 2 მიკროავტობუსი, ექსკავატორი, მიქსერი, გრეიდერი, ნივა და ე/წ კოლხოზნიკი. ზემოთაღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელები ტენდერში მიღებული მონაწილების საფასურად გამგებელ ოსიაშვილს და რესპუბლიკელ ყვირალაშვილს გარიგების 30% უყოფდნენ.

ასევე გასარკვევია ველისციხის შ.პ.ს „გომართელი და კომპანიის“ წევრ ბექა ხალათაშვილის საქმიანობა, რომელიც ყოფილი გუბერნატორისა და ამჟამინდელი მაჟორიტარი დეპუტატის გ. ღვინიაშვილის ნდობით აღჭურვილი პირია და რომლსაც მისი გუბერნატორობის პერიოდში კახეთში ჩაჰყავდა შოუბიზნესის ცნობადი სახეები. ამჟამად ხალათაშვილი ახლო ურთიერთობაში იმყოფება კახეთის რაიონისა და საკრებულოს ხელძღვანელებთან წინასწარ, გარკვეული გასამჯელოს ფასად შედის გარიგებაში. კერძოდ, მიმდინარე წლის 28 ივლისს, თელავში ხალათაშვილის დაკვეთით გაიმართა ლელა წურწუმიას კონცერტი. ბილეთის ფასი შეადგენდა 10 ლარს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ რაიონის ტერიტოირული ორგანოს წარმომადგენლებს 23 რწმუნებულს და მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსებს ივლისის ხელფასზე დაუკავა 50-50 ლარი, ხოლო მთავარ სპეციალისტებს -10 ლარი. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნული სახით შეაგროვა დაახლოებით 2000 ლარი. მსგავსი არაერთი კონცერტებიდან შეგროვილ თანხას ბექა ხალათშვილი განაგებდა. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები შეშფოთებულნი არიან აღნიშნული ფაქტებით, რადგან მათზე ზეწოლის შედეგად ხდება ბილეთების გაორმაგებული საფასურის ხელფასიდან დაკავება.

მოკლედ იმ ძველი კახური ანეგდოტისა არ იყოს, გურჯაანელებს შორიდან რომ კოაბიტაცია ეგონათ, ახლოდან კორუფცია დახვდათ.

მედიანფო

ბატონის ციხის რეაბილიტაცია დაწყებულია

ეკა ირემაშვილი

ბატონის ციხის რეაბილიტაცია დაწყებულია. ამის შესახებ განცხადება თელავში ჩასულმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა მერაბ ბოჭოიძემ გააკეთეს.



უნიკალური ძეგლის კონსერვაციის გეგმაზე მიმდინარე სამუშაოების პირველი ეტაპის შედეგების წარდგენა-დისკუსია თელაველებთან გაიმართა. როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, თელავის ბატონის ციხის კომპლექსის რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის დაცვითა და მასში გათვალისწინებული ყველა წესის თანახმად ხორციელდება.

თელავში ადგილობრივ მოსახლეობას ბატონის ციხის კომპლექსზე განსახორციელებელი სამუშაოების პროექტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრისა და თელავის ბატონის ციხის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის დირექტორი მაკა დვალიშვილი, პროექტის კონსერვაციის კონცეფციის ავტორი ნატო ცინცაბაძე და კონსერვაციის გეგმაზე მომუშავე სპეციალისტები შეხვდნენ. სწორედ მათ წარუდგინეს თელაველებს ყველა იმ სამუშაოს მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ძეგლისთვის არის საჭირო. პრეზენტაციას ასევე ესწრებოდნენ მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებიც.

დელეგაცია, თელავის გამგებელ გივი მეტრეველთან, საკრებულოს თავმჯდომარე დიმიტრი ბოჭორიძესთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, თელავის ბატონის ციხესაც ესტუმრა და ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას.

– ბატონის ციხე თელავში წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის კომპლექსურ ძეგლს. 2010-2012 წლებში თელავის ბატონის ციხეზე ჩატარებულმა სამუშაოებმა ხუროთმოძღვრული კომპლექსი მნიშვნელოვნად დააზიანა, რადგან ძეგლის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობა მიმდინარეობდა. კომპლექსური ძეგლის ქსოვილში შეტანილი უხეში ცვლილებების გამოსწორებისა და შექმნილი მდგომარეობის ძეგლთა დაცვით პრინციპებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, აუცილებელია, დამუშავდეს თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმა, – განაცხადა მერაბ ბოჭოიძემ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმის შექმნაზე ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი მუშაობს. პროექტს აფინანსებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. დოკუმენტი წლის ბოლომდე მომზადდება, რის შემდეგაც, ისტორიული მნიშვნელობის არეალში ბატონის ციხის კომპლექსის განვითარება კანონის დაცვით განახლდება. ასევე, სპეციალისტების მიერ შემუშავებული იქნება დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება წარმოდგენილი: სახელოვნებათმცოდნეო კვლევის, გრაფიკული და ფოტოფიქსაციის, არქეოლოგიური და საინჟინრო დასკვნების, ძეგლის კონსერვაციის და სოციოლოგიური კვლევის მასალები, ინტერდისციპლინარული კვლევის ანალიზი და ძეგლის სარეაბილიტაციო სახელმძღვანელო პრინციპები.

– თელავის ბატონის ციხის კომპლექსი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ, სხვადასხვა პერიოდისა და ფუნქციის ნაგებობებს. მათ შორის, XVII–XVIII საუკუნეების გალავანს, XVII–XVIII საუკუნეების კარის მცირე ეკლესიას, XVII–XVIII საუკუნეების სობოროს, XVII–XVIII საუკუნეების საზარბაზნე კოშკს, XIX საუკუნის შუა წლების „სახაზინო სახლს“, რომელსაც სტატუსი მოეხსნა 2012 წელს და ამჟამად დანგრეულია, XVII-XVIII საუკუნეების წმიდა ნინოს ყოფილ სასწავლებელს, ისიც ამჟამად დანგრეულია, XVIII-XIX საუკუნეების სკოლას, XVIII საუკუნის აბანოს და XIX საუკუნის სამხატვრო გალერეას, რომელიც ასევე ამჟამად დანგრეულია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მსგავსი ფაქტები აღარ გამეორდეს და ბატონის ციხემ თავისი პირვანდელი სახე მაქსიმალურად შეინარჩუნოს, – აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა.

ცნობილია, რომ კულტურის სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს, გაკონტროლოს ძეგლების მდგომარეობა და არ დაუშვას ისეთი შეცდომები, რაც წინა ხელისუფლებამ დაუშვა. მარინე მიზანდარი არ მალავს, რომ წინა ხელისუფლებამ დაანგრია ის, რაც ისტორიულად გვქონდა და ახლებური რეაბილიტაციები ხშირ შემთხვევაში არ არის მოსაწონი. ამის მაგალითად მას ბაგრატის ტაძარი მოჰყავს, რომელიც იუნესკომ თავისი სიიდან ამოიღო.

თელავის საზოგადოებას, თელავის ისტორიული მუზეუმის ახალი კონცეფცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 26 აპრილს წარედგინა. ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა მსჯელობა ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ბატონის ციხის კომპლექსის კრიზისული ვითარებიდან გამოყვანის მიზნით, განხილულ იქნა მუზეუმის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ტექნიკური დავალება არსებული მშენებარე ნაგებობის ადაპტაციისათვის.

– ბატონის ციხე, გვიანდელი ფეოდალური ხანის საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია თელავში. ეს იყო კახეთის მეფეთა რეზიდენცია XVII-XVIII საუკუნეებში. კომპლექსში შედის ციხის ზღუდე ორი ალაყაფის კარით, მეფეთა სასახლე, აგებული XVII საუკუნის 60-იან წლებში, კარის ორი ეკლესია, აბანო, გვირაბი. ზღუდის შიგნით მოთავსებული იყო სახელმწიფო დაწესებულებათა შენობები, უფლისწულთა სასახლე და სემინარია, ამჟამად შემორჩენილია მისი ნაშთი. XIX საუკუნის II ნახევარში დაზიანებული კომპლექსი შეაკეთეს და ახალი შენობებიც დაუმატეს, მათ შორის სასულიერო სასწავლებელი, ე.წ. „ხაზინა“, სატუსაღო, სამრეკლო და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები, – ამბობს მერაბ ბოჭოიძე.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლის მაკა შავგულიძის თქმით:

– „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი დღემდე შემორჩენილი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში. ქალაქთელავში მდებარე კომპლექსი, თავისი არქიტექტურულ-ისტორიული მახასიათებლებით კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს. ხუროთმოძღვრული კომპლექსის შემადგენლობაში შედის: კახთ მეფეთა სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილის კარის ეკლესია, ციხის გალავანი, აბანო და სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი გვირაბი. „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა, პირობითად, ორ ეტაპად იყოფა. მშენებლობის პირველ ეტაპზე ერეკლე მეორის მემორიალური სასახლე (კახთ მეფეთა სასახლე), აღმოსავლეთის კარიბჭე და აბანოა აგებული. მშენებლობის მეორე ეტაპზე, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, გალავანი კუთხის მრგვალი ბურჯებით და დასავლეთის კარიბჭეა აგებული. „ბატონის ციხის“ კომპლექსი გეგმაში წაგრძელებულ, არათანაბარ მართკუთხა ფორმას წარმოადგენს. იგი გვიან შუა საუკუნეებში კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიყის ქვით ნაგები მაღალი გალავნითაა გარშემორტყმული, რომელიც 3 ჰექტარამდე სივრცეს ფარგლავს. ისტორიული წყაროების მიხედვით, „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი არა მხოლოდ მეფეთა საცხოვრებელი ანსამბლი იყო, არამედ მას დიდი სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა – აღნიშნული ისტორიული გალავანი მეფე ერეკლეს დროს ქალაქს შემოსევებისაგან იცავდა და მოსახლეობისათვის მტკიცე თავდაცვით საშუალებას წარმოადგენდა. კომპლექსის ტერიტორია ორ – დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილებად იყო დაყოფილი, რაც დღემდე შენარჩუნებულია. დასავლეთის ვრცელი მონაკვეთი, საფიქრებელია, რომ ციხე-გალავნის როლს ასრულებდა. მისი ფართობი 1,5 ჰექტარზე მეტია, რაც სამეფო ანსამბლის არსებობაზე მიუთითებს. ხოლო აღმოსავლეთის მონაკვეთი შიდა ციხეს წარმოადგენს, რომლის ფართობი ერთ ჰექტარს აღემატება. „ბატონის ციხის“ კომპლექსის გალავანი ჩრდილოეთის მხარეს ფერდობს მიუყვება და შედარებით დაბალია. დანარჩენი სამი მხარე ვაკეზეა გაშენებული, ამიტომ, აქ გალავნის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10-12 მეტრს აღწევს. გალავანი რიყის ქვითა და კირის დუღაბით აგებულ მაღალ, მრგვალქონგურებიან კედელს წარმოადგენს, რომელშიც სათოფურებია დატანებული. შიდა კედლებით იგი ორ არათანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი – კედლის შიდა პირზე საბრძოლო ბილიკია მოწყობილი, ამავე ხაზზეა განლაგებული სათოფეები და სალოდეები. გალავნის კუთხეებში ოთხი ცილინდრული ორ-სამ სართულიანი მრგვალი ბურჯებია განლაგებული. გალავნის კედლები სწორი კუთხეებით ფარგლავს სივრცეს. სამხრეთის კედლის შუაში კედლის საერთო ფრონტიდან წინ გამოტანილია გალავნის ნაწილი მრგვალი ბურჯებით, საზარბაზნე ბაქნითა და სასროლი ხვრელებით. „ბატონის ციხის“ ჭიშკრის კოშკი XVII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული, ხოლო გალავნის კოშკი XVIII საუკუნეში. „ბატონის ციხის“ გალავნის მშენებლობაში ერეკლესეულ წვლილზე საუბრობს ომან მდივანი, რომლის მიხედვითაც „თვით „მეფემ ირაკლიმ“ განაახლა გალავანი თელავისა“. იგივე აზრია გამეორებული პაპუნა ორბელიანთან, რომელიც მშენებლობას 1753 წლით ათარიღებს. „ბატონის ციხეში“ შესასვლელი კარიბჭეები გალავნის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარესაა განთავსებული,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

ფეხბურთის ფედერაციის უცნაური გადაწყვეტილება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართა. შეხვედრას 13 წევრი დაესწრო. განსახილველ თემებს შორის ხუთი ძირითადი საკითხი იყო.

1.საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ განცხადებისა და ს.კ. „დინამო თბილისის“ წერილის შესახებ;

2.სფფ-ის სამსაჯო ღონისძიებების გენერალური სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

3.სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების ადმინისტრაციისთვის სახელის გადარქმევის შესახებ;

4.სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების დებულებების 2013 წლის რედაქციის დამტკიცების შესახებ;

5.საფეხბურთო კლუბებში გულშემატკივრებთან მეკავშირეოფიცრების პროექტის განხორციელების ინსტრუქციების დამტკიცება;

6.სხვადასხვა.

სხდომა 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და აქედან ყველაზე საინტერესო პირველი და მეხუთე საკითხი იყო. მეხუთე საკითხზე აღმასკომმა ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, ამაზე ქვემოთ.

დავიწყოთ პირველით: აღმასკომმა საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ განცხადებისა და „დინამო თბილისის“ წერილის შესახებ იმსჯელა და გადაწყდა, რომ საკითხის განხილვა სფფ-ის იურიდიულ კომიტეტში გაგრძელდება.

საქმე ის არის, რომ ორიოდე კვირის წინ კლუბის ძველმა დამფუძნებლებმა, კერძოდ, მერაბ რატიანმა და ფიზკულტურულ-სპორტულმა კლუბმა „დინამომ“ სფფ-ში წერილი შეიტანეს, რომელშიც საფეხბურთო კლუბ „დინამოსთან“ დაკავშირებული საქმის გამოძიებას ითხოვდნენ. წერილი გენერალურმა სამდივნომ ჩაიბარა და განსახილველად აღმასკომს გადაუგზავნა.

წერილში აღნიშნულია, რომ საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ წარმოადგენს იმ კლუბის უფლებამონაცვლეს, რომელიც 1925 წელს შეიქმნა და ევროპის თასების მფლობელთა თასის გარდა, ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული, ზედიზედ 10-ჯერ კი საქართველოს ჩემპიონი გახდა. 2000-2001 წლების სეზონი კლუბმა სწორედ ამ სახელწოდებით დაიწყო, ხოლო ჩემპიონატის მეორე წრიდან მონაწილეობა უკვე „დინამო თბილისმა“ გაგაგრძო და სეზონიც ამავე კლუბმა ჩაამთავრა. როგორც ირკვევა „დინამო თბილისი“ 2001 წლის მარტში დარეგისტრირდა, არც „თბილისის დინამოსთან“ აკავშირებდა სამართლებრივი ურთიერთობა და არც ამ კლუბის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა. როგორც წერილშია აღნიშნული, იმ სეზონის საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე განაცხადი მხოლოდ საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ჰქონდა წარდგენილი, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით „თბილისის დინამოს“ ადგილი შუა სეზონში „დინამო თბილისმა“ დაიკავა. 2001 წელს შექმნილი კლუბის ხელში აღმოჩნდა ასევე „თბილისის დინამოს“ უძრავ-მოძრავი ქონებაც.

ოთხშაბათს აღმასკომმა იმსჯელა და ეს საკითხი იურიდიულ კომიტეტს გადასცა, რომელიც შეისწავლის ვითარებას, კონკრეტულ პიროვნებებს დაელაპარაკება და 15 სექტემბრამდე დადებს დასკვნას. როგორც ჩანს, ბოლოს ეს საქმე მაინც სასამართლომდე მივა.

ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანოში აღმასკომის წევრებმა სამსაჯო ღონისძიებების სამწლიანი გენერალური სამოქმედო გეგმაც განიხილეს, რომელიც უეფას კონვენციის შესაბამისად განხორციელდება.

სხდომაზე დამტკიცდა საკლუბო ლიცენზირების დებულებაც. საკლუბო ლიცენზირების ადმინისტრაციას კი სახელი შეეცვალა და მისი ფუნქციები გაიზარდა.

ამიერიდან, საკლუბო ლიცენზირებისა და მონიტორინგის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში იქნება კლუბების ფინანსური ფეირ პლეის საკითხები.

დამტკიცდა საფეხბურთო კლუბებში გულშემატკივრებთან მეკავშირეოფიცრებისთვის ინსტრუქციებიც. საფეხბურთო კლუბები და გულშემატკივრებთან მეკავშირეები კონკრეტულ სამოქმედო გეგმას წერილობით მიიღებენ.

სადისციპლინო კოდექსში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. მატჩამდე, მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდეგ, მაყურებელთა მხრიდან სტადიონზე შეურაცხმყოფელი სკანდირების დაფიქსირების შემთხვევაში, კლუბი ფულად სანქციას მიიღებს. ფაქტის განმეორების შემთხვევაში კი კლუბის ორ საშინაო შეხვედრას გულშემატკივრები ვერ დაესწრებიან. სწორედ ეს მიგვაჩნია უცნაურ გადაწყვეტილებად.

აღმასკომის გადაწყვეტილებითვე, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩს ქუთაისის „ტორპედო“ და გორის „დილა“ 25 აგვისტოს ნაცვლად, რამდენიმე კვირაში გამართავენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეხვედრის ჩატარების თარიღს მოგვიანებით გამოაცხადებს.

მატჩის გადადების სარგებლობის უფლება აქვს აგრეთვე „დინამო თბილისს“, რომელიც ევროპის ლიგის პლეი ოფში ასპარეზობს.

რევაზ არველაძე, სფფ-ის გენერალური მდივანი:

– ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო უსაფრთხოების თემა. მოგეხსენებათ, რომ მასპინძელი გუნდი პასუხისმგებელია, სტადიონზეც და მის გარეთაც დაიცვას უსაფრთხოება. ეს მთელ მსოფლიოში ასეა და ამიერიდან ჩვენთანაც ძალიან გამკაცრდება. ცხადია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ცვლილება შევა კალენდარშიც. მოგეხსენებათ, გორის „დილას“ და თბილისის „დინამოს“ ევროპის ლიგის პლეი ოფის მატჩები აქვთ ჩასატარებელი, ამიტომ 25 აგვისტოს მათი მატჩები გადაიდება. თუმცა, „დინამომ,“ შესაძლოა, მაინც ითამაშოს. ამას თავად კლუბში გადაწყვეტენ.

რომან ფიფია, თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი:

– ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დავუსვათ ვაი-გულშემატკივართა უნამუსო ქცევას სტადიონებზე. რამდენიმე გადაწყვეტილება მივიღეთ და ვფიქრობ, მომავალში მასპინძელი გუნდი ძალიან მკაცრად დაისჯება, თუკი ისეთივე რამ განმეორდა, რაც წინა ტურში „დილა“-„დინამოს“ თამაშზე მოხდა. კლუბის მეპატრონე პირადად უნდა დაელაპარაკოს ქომაგებს, რომ ასეთი უმსგავსობები აღარ ხდებოდეს. ეს განსაკუთრებით გორსა და ზესტაფონს ეხება. იქ სიტუაცია უნდა დაწყნარდეს, თუ არა, მაშინ მატჩი ან სხვა ქალაქში გაიმართება, ან ცარიელი ტრიბუნების თანდასწრებით ჩატარდება. ჩვენ, თბილისის „დინამომ“, მხარი დავუჭირეთ „დილას“ თამაშის გადადებას. გვერდში ვუდგგავართ გორელებს და ჩემს კოლეგებს მინდა მოვუწოდო, რომ ფეხბურთი არა მარტო მინდორზე თამაშია, არამედ ადამიანური ურთიერთობები და ქცევაა. ერთმანეთს მეტი პატივი ვცეთ და ამით ყველა მოიგებს.

არ გვინდა, ვინმემ იფიქროს, რომ გინებისა და საერთოდ ბილწსიტყვაობის მომხრე ვართ და მხარს ვუჭერთ უცენზურო გამონათქვამებს, მაგრამ თავად ინგლისელებმა, რომლებმაც მოიგონეს ფეხბურთი, აღნიშნეს, რომ ფეხბურთი ხულიგნების სპორტია და არ არსებობს საფეხბურთო მატჩი, სადაც სტადიონზე გინება არ არის. ეს თითქოსდა დაუწერელ კანონად იქცა ფეხბურთში და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიღებული კანონი ამიტომაც მიგვაჩნია უცნაურად.

ქართული ფეხბურთის ჩინოვნიკებს გუშინდელი „ატლეტიკო“-„ბარსელონას“ მატჩის ნახვას ვურჩევდით, სადაც მადრიდელი გულშემატკივრები ერთ ხმაში სკანდირებდნენ – პუტა ბარსელონა, პუტა კატალონია (იმედია თარგმანს არ მოგვთხოვთ).

ამისთვის ცხადია „ატლეტიკო“ პასუხს აგებს, რადგან აქ უკვე პოლიტიკურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მსაჯის გინებაზე სადმე ჯარიმა გამოეწეროთ, ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს.

ეჭვი გვეპარება, რომ ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება კონკრეტული დავალებით გამოიტანა და თუ ვინ არის ამის ავტორი, ალბათ ძნელი მისახვედრი არ იქნება.

ცალკე გვინდა, ბატონ რომან ფიფიას შევახსენოთ რამდენიმე დეტალი. „დინამო“-„ზესტაფონის“ მატჩისას ვიპ ლოჟაში მისი კლუბის ერთ-ერთი ჩინოვნიკის ძმა, „ზესტაფონის“ წარმომადგენელს უშვერი სიტყვებით რომ აგინებდა და ამას სახალხოდ აკეთებდა, ამის შესახებ რატომ არ აკეთებს კომენტარებს?

ან კიდევ, რა პასუხს სთხოვს იმ გაგიჟებულ „დილას“ გულშემატკივრებს იმის მერე, რაც მსაჯმა გააკეთა გორელთა წინააღმდეგ? თავადაც ხომ იყო ამ მატჩის მსაჯის ქმედებით დაინტერესებული, რატომ არ გაიტანა ეს საკითხი აღმასკომის სხდომაზე?

მოკლედ, კითხვა კიდევ ბევრია, მაგრამ, როგორც ჩანს – პასუხგაუცემელი, რადგან, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და ისე კერავენ.

სალომე მელია: „ევროპის ჩემპიონატისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი“

წლევანდელი წელი წარმატებულად დაიწყო და გრძელდება საერთაშორისო დიდოსტატ სალომე მელიასთვის. ჭადრაკის ფედერაციის ვებგვერდზე მოჭადრაკის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– სალომე, უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევანდელი წელი შენთვის განსაკუთრებით წარმატებულია.

– დიახ, წლევანდელი წელი ჩემთვის წარმატებულად დაიწყო. შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ტურნირში კარგად ვიასპარეზე და რეიტინგი და პირადი შედეგებიც საკმაოდ გავიუმჯობესე. წლის დასაწყისში გიბრალტარში გამართულ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ვაჟთა ღია ტურნირში ვიასპარეზე და 16 სარეიტინგო ქულაც მოვიმატე. შემდეგი წარმატება – ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ვაკანტურ ადგილზე გამართულ მატჩ-ტურნირიდან გუნდში დამკვიდრება გახლდათ. მსოფლიოს ქალთა გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გაიმართა, რეიტინგში 5 ქულის მატებასთან ერთად პირად დაფაზე ვერცხლის მედალიც მოვიპოვე. მართალია, საქართველოს ქალთა ჩემპიონატზე მხოლოდ პროგრამა მინიმუმი შევასრულე – მესამე საპრიზო ადგილი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რომ, საქართველოს

ქალთა პირველობა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ეროვნული ჩემპიონატია ბრინჯაოს მედალი ნამდვილად არ არის ურიგო მონაგარი. და ბოლოს ევროპის ქალთა პირად ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედალი განსაკუთრებულია ჩემს საჭადრაკო კარიერაში.

– ევროპის პირველობას წინ თურქეთის საკლუბო ჩემპიონატი უძღოდა, სადაც საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი მოჭადრაკე ასპარეზობდა, შენ გარდა.

– სიმართლე გითხრათ, წელს განსაკუთრებულად ვემზადებოდი ევროპის ჩემპიონატისთვის, რადგან დეკემბერში მეორედ გავხდები დედა და მანამდე მინდოდა მაქსიმალურად მემუშავა ჭადრაკზე და შესაბამისი შედეგი მეჩვენებინა. თურქეთის ლიგაზე ორი მიზეზის გამო არ წავედი: პირველი ის, რომ ბავშვს მეორე ოპერაცია გავუკეთეთ და, მიუხედავად იმისა, რომ ის ამჟამად ბერლინში მამამ წაიყვანა, ყოველ წუთს შეიძლება ჩემი ჩასვლა საჭირო გამხდარიყო . მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ამ დროისთვის ევროპის ჩემპიონატის წინ მწვრთნელთან მუშაობა მქონდა დაგეგმილი, რომელიც ინდივიდუალურად მოვიწვიე და აგრეთვე კონსულტაციებს ჩემპიონატის დროსაც მიწევდა. მიხარია, რომ ჩემი ოჯახის ხელშეწყობამ, მწვრთნელებთან ერთობლივმა შრომამ და ყველა იმ ადამიანის დახმარებამ ვინც ამ ყველაფერში ფინანსურად დამეხმარა, გაამართლა და ჩემს პირად წარმატებასთან ერთად ქართული ჭადრაკის უახლეს ისტორიაში ჩემი წვლილი შევიტანე.

– რას ელოდი ევროპის ჩემპიონატისგან?

– პროგრამა მინიმუმად მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება მქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ პროგრამა მაქსიმუმის დასახვის გარეშე ამასაც კი ვერ მივაღწევდი, ამიტომ რაოდენ ხმამაღალ განცხადებად არ უნდა ჩამითვალოთ, მედლის მოპოვება ჩემ მიერ დასახულ გეგმებში შედიოდა. ტურნირი თავიდანვე გამარჯვებებით დავიწყე. სადებიუტო მომზადების ხარჯზე მიღწეული თავდაჯერებულობა ძალიან დამეხმარა ბოლომდე პოზიციების შენარჩუნებასა და მედლის მოპოვებაში, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მწვრთნელს ვისთანაც წელს მიმუშავია და განსაკუთრებით მას, ვინც ტურნირის დროს მეხმარებოდა.

– როდის იგრძენი, რომ მედლისთვის ბრძოლა შეგეძლო?

– ანტუანეტა სტეფანოვასთან გამარჯვების შემდეგ ვიგრძენი, რომ შრომასთან ერთად სპორტული იღბალიც ჩემს მხარეს იყო და პროგრამა მაქსიმუმის განხორციელება შემეძლო. ნანა ძაგნიძესთან გამარჯვების შემდეგ კი მხოლოდ მონაპოვრის შენარჩუნება მევალებოდა.

– აქამდე შენი საუკეთესო შედეგი ევროპაზე?

– ევროპის ჩემპიონატზე წელს მიღწეული წარმატება ჩემთვის ყველაზე დიდი შედეგია, რაც ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატებში მომიპოვებია. ბევრი მედალი მაქვს მოპოვებული როგორც გუნდურ, ასევე პირად ჩათვლაში... მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიადის გუნდური ჩემპიონატებიდან, მაგრამ ინდივიდუალურ ჩემპიონატში მიღწეული წარმატება მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხოლო აქამდე ჩემი საუკეთესო შედეგი შარშან მოპოვებული მე-15 ადგილი იყო. არ შემიძლია, არ აღვნიშნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წვლილი წლევანდელი ჩემი წარმატების მიღწევაში. ევროპის ქალთა ჩემპიონატზე, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა, როგორც ყოველთვის, 3 სპორტსმენი დაგვაფინანსა – მე, ნინო ბაციაშვილი და მირანდა მიქაძე. ტურნირის წინ კი მე და ნინო ბათუმის საკრებულოსთან არსებულმა საჭადრაკო კლუბმა ჩვენ მიერ მითითებულ მწვრთნელებთან მოგვამზადა.

– ჩემპიონატში აგრეთვე შეასრულე ვაჟთა დიდოსტატის მეორე ბალი. სამწუხაროდ, ევროპირველობამდე სულ 1 თვით ადრე შეიცვალა წესი, რომლის მიხედვითაც კონტინენტის ჩემპიონატზე შესრულებული ერთი ნორმა ორ ნორმას უდრიდა.

– დიახ, ჰოანგთან 9 ტურში ყაიმის გაკეთების შემდეგ 9-დან 7 ქულით მამაკაცთა დიდოსტატის მეორე ნორმა შევასრულე, ხოლო, პირველი 2011 წელს გიბრალტარში ავიღე.

– ვინ გეხმარებოდა ევროპის პირველობის მსვლელობისას?

– ევროპის ჩემპიონატის დროს უცხოელი მწვრთნელი მეხმარებოდა. ჩემპიონატამდე ერთობლივი მუშაობის დროს მან კარგად შეისწავლა ჩემი საჭადრაკო სტილი და მოწინააღმდეგის თამაშის სტილის მიხედვით ყოველდღიურად გამზადებულ ვარიანტებთან ერთად მნიშვნელოვან რჩევებს მაძლევდა. მან, შედეგის მიღწევამდე დაინახა და ობიექტურად შეაფასა ჩემში საჭადრაკო შესაძლებლობები და შემმატა თავდაჯერებულობა პლუს საკუთარი თავისადმი რწმენა.

– მომავლის გეგმები?

– ამჟამად ნაკრებთან ერთად ევროპის გუნდური ჩემპიონატისთვის ვემზადები. როგორც უკვე გულშემატკივრებმა იციან, დეკემბერში მეორე ბავშვს ველოდები, ამიტომ, რამდენად შევძლებ ტურნირზე გამგზავრებას, ამაზე საუბარი, ალბათ, ნაადრევია... სამომავლოდ კი, იანვრიდან, ისევ აქტიურად ჩავებმები ტურნირებში.

საქართველოს თასი მინისენსაციით დაიწყო

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩების ნაწილი გაიმართა, რომელთაგან ერთს სენსაციურიც უნდა ვუწოდოთ.

„ზუგდიდმა“ საკუთარ სტადიონზე ვერ მოუგო ხობის „კოლხეთს“ – 1:1. განმეორებით მატჩში ხობელებს ანგარიშით უპირატესობა კი ექნებათ, მაგრამ, როგორ მოახერხებენ ამის რეალიზებას, მათ მარიფათზეა დამოკიდებული.

დანარჩენმა ფავორიტებმა იოლი გამარჯვებები მოიპოვეს. ლანჩხუთის „გურიამ“ შინ 5:1 გაანადგურა თერჯოლის „საპოვნელა“. გოლები შალამბერიძემ, იობაშვილმა (2), ჩიკვილაძემ და ტორონჯაძემ გაიტანეს. თერჯოლელთაგან თავი შავგულიძემ მაშინ გამოიჩინა, როდესაც ანგარიში 3:0 იყო.

სამტრედიაში 4:2 მოიგო „მერანმა“. ჰეთ ტრიკი შეასრულა კვანტალიანმა, ხოლო კიდევ ერთი გოლი შულაიას ანგარიშზეა. მასპინძელთაგან კი გოლები ბაგაშვილმა და ბოხუამ გაიტანეს.

ცხინვალის „სპარტაკმა“ შინ „ჭიათურა“ არ დაინდო – 4:1. ბურძენაძის, თუხარელისა და მეგრელიშვილის გოლებს ხაჭიპერაძემ კი უპასუხა, მაგრამ მეტრეველმა სამბურთიანი სტატუს კვო ბოლო წუთზე აღადგინა. მეტრეველს მანამდეც შეეძლო გატანა, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: შუქურა-სქური 1:0; ალგეთი-ლოკომოტივი 1:2; სიონი-სტუ 6:1.

ფიბას საქართველო გამოკვეთილ აუტსაიდერად მიაჩნია

ფიბა-ევროპის ვებგვერდზე ევრობასკეტის ორგანიზატორები ყოველთვიურ რეიტინგს აქვეყნებენ და ევროპის ჩემპიონატში მონაწილე 24 გუნდში საქართველოს ნაკრები ბოლო, 24-ე პოზიციაზეა.

– საქართველოს ნაკრები იმ გუნდთა კატეგორიას მიეკუთვნება, შინ გაცილებით უკეთესად რომ თამაშობს, ვიდრე სტუმრად. ეს ამხანაგური მატჩების დროსაც იგრძნობა, – წერია ვებგვერდზე.

სადღაც სიმართლესთან ახლოს არის, მაგრამ ჩვენს ნაკრებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი აქვს მოგებული სტუმრადაც. ამასთან, სლოვენიაში მასპინძელი მხოლოდ ერთი გუნდი იქნება, დანარჩენებისთვის კი – ნეიტრალური მოედნები.

რაც შეეხება ჩვენს თანაჯგუფელებს: რეიტინგში მესამე ესპანეთის ნაკრები. ალბათ, იკითხავთ, რატომ პირველი არაო. საქმე ის არის, რომ ესპანელები თითქმის მეორე შემადგენლობით ჩადიან სლოვენიაში.

ესპანელები მეორე შემადგენლობითაც მოახერხებენ ჯგუფიდან გასვლას, რაც შეეხება ჩვენს უშუალო მეტოქეებს: მეხუთე სლოვენია, ხოლო მე-10 – ხორვატები. სწორედ ხორვატებს უწინასწარმეტყველებენ ჯგუფიდან მესამეადგილოსნის სტატუსით გასვლას (მეორე ადგილზე სლოვენიელები გაჰყავთ). ერთია, მარცინ გორტატის დაბრუნების შემდეგ პოლონეთის ნაკრების აქციებმაც აიწია, ერთბაშად სამი საფეხურით დაწინაურდა და მე-14 პოზიციაზე აინაცვლა. ხორვატთა მთავარ კონკურენტად მათ მიიჩნევენ.

საქართველოს მსგავსად, აუტსაიდერის სტატუსით სარგებლობს ჩეხეთის ნაკრები, რომელსაც 22-ე ადგილი მიაკუთვნეს.

შედეგები

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

დინამო(ზ)-აუსტრია	0:2
შალკე-პაოკი	1:1
ლუდოგორეცი-ბაზელი	2:4
ფენერბახჩე-არსენალი	0:3
სტიაუა-ლეგია	1:1

ინგლისი. ჩემპიონატი

ჩელსი-ასტონ ვილა	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	2	2	0	0	4-1	6
2.სიტი	1	1	0	0	4-0	3
3.მანჩესტერი	1	1	0	0	4-1	3
4.ასტონ ვილა	2	1	0	1	4-3	3
5.ვესტ ჰემი	1	1	0	0	2-0	3
6.ლივერპული	1	1	0	0	1-0	3
7.საუთჰემპტონი	1	1	0	0	1-0	3
8.ფულემი	1	1	0	0	1-0	3
9.ტოტენჰემი	1	1	0	0	1-0	3
10.ნორვიჩი	1	0	1	0	2-2	1
11.ევერტონი	1	0	1	0	2-2	1
12.სტოკი	1	0	0	1	0-1	0
13.ვესტ ბრომვიჩი	1	0	0	1	0-1	0
14.სანდერლენდი	1	0	0	1	0-1	0
15.კრ.პალასი	1	0	0	1	0-1	0
16.არსენალი	1	0	0	1	1-3	0
17.კარდიფი	1	0	0	1	0-2	0
18.ჰალი	1	0	0	1	0-2	0
19.სუონსი	1	0	0	1	1-4	0
20.ნიუკასლი	1	0	0	1	0-4	0

ესპანეთი. სუპერთასი

ატლეტიკო-ბარსელონა	1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

მარიეჰამნი-ჯჯკ	4:1
ლახტი-როვანიემი	2:3
იარო-კუუპიო	2:2

აშშ. მლს

ჩივასი-დალასი	1:3
პორტლენდი-სოლტ ლეიკი	3:3

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ბაბონის ციხის რეაბილიტაცია დაწყებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რომლებიც, ამასთანავე, თავდაცვით ნაგებობებსაც წარმოადგენს. დასავლეთის კარიბჭე დასავლეთის კედლის ცენტრშია აგებული, კედლის საერთო სიბრტყიდან წინ არის გამოტანილი და ციხის კედლების მიმართ საგრძნობლად ამაღლებულია. იგი ორსართულიანი ნაგებობაა – ქვედა სართულზე ფართო გასასვლელი კარია კამაროვანი გადახურვით (ძველად აქ რკინის კარი ყოფილა შებმული), ხოლო ჩრდილოეთსა და სამხრეთ მხარეს მეორე სართულზე ასასვლელი კიბეებია განთავსებული. მეორე სართული მაღალი კედლებით შემოზღუდულ გადაუხურავ საბრძოლობა-ქანს წარმოადგენს, რომელიც სამი – სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან მაღალი მრავალქონგურებიანი კედლებით არის შემოსაზღვრული. აქ მრავლადაა დატანებული სათოფურები და სალოდეები. დასავლეთი ჭიშკრის გარე ფასადი მდიდრულადაა დეკორირებული. ისრისებური, ტრიუმფალური თაღის ორივე მხარეს ორ იარუსად კედლის ნიშები და აგურის სწორკუთხა ჩარჩოებში ჩაწერილი სახოვანი წყობაა მოთავსებული, რაც ზღუდის ყველაზე ძლიერი მხატვრულ-დეკორაციული აქცენტია. ჭიშკარი, რომელიც ზღუდის საერთო ფრონტიდან ძლიერად არის წინ გამოწეული, ორსართულიანი ჭიშკრის ერთგვაროვან გადაწყვეტას იძლევა.

ჭიშკრის აგების პერიოდად XVIII საუკუნეა ნავარაუდევი. 1982 წელს დასავლეთის კარიბჭეში გაკეთდა წყლისგან დამცავი სისტემა, რისი საშუალებითაც მასში წყალი აღარ გროვდებოდა. ბატონის ციხის აღმოსავლეთის კარიბჭე ორსართულიანი ნაგებობაა და გალავნის აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ კოშკთან ახლოს მდებარეობს. ქვედა სართული წარმოადგენს თაღოვანი გადახურვის კარის ხვრელს, რომელიც ორ ბურჯს ეყრდნობა. მეორე სართული კვადრატული ოთახია, რომელიც ოთხივე მხარეს ღიადებითაა გახსნილი. ოთახი გადახურულია შეისრული კამარით, რომელიც გაბჯენილია ურთიერთპერპენდიკულარულად მიმავალი თაღებით. ოთახის ოთხივე მხარეს არსებული სარკმლები, სამხრეთის კედელში მოწყობილი ბუხარი და აღმოსავლეთით მოწყობილი აივანი, რომელიც დაგვირგვინებული იყო თაღოვანი მაშიკულების რიგით (მისი ნაშთი იკითხებოდა კარნიზში), გვაფიქრებინებს, რომ იგი საცხოვრებელი სადგომი იყო. ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, სწორედ მას უნდა

უწოდებდეს „სალხინოს“ აღექსანდრე ორბელიანი. აღმოსავლეთ კარიბჭის არქიტექტურა და გადამხურავი კონსტრუქციის სისტემა XVII საუკუნის ხუროთმოძღვრებისთვისაა დამახასიათებელი. იგი არჩილის მოღვაწეობის პერიოდშია აგებული. აღმოსავლეთის კარიბჭე არაერთხელ ყოფილა აღდგენილი და შეკეთებული (XIX საუკუნის შეკეთება კარგად ჩანს ეზოდან, სადაც ქვედა სართულის თაღი რუსული აგურით არის გამოყვანილი). 1979-83 წლებში შესწავლილ იქნა არჩილისეული კოშკი. შესწავლის საფუძველზე, 1989 წელს გაკეთდა გეგმა, რომელიც 2001-2002 წლებში განხორციელდა. პირვანდელი სახე დაუბრუნდა არჩილისეულ კოშკს, რომელსაც აღუდგა პირველი სართული, ჩრდილოეთით მოეწყო აივანი, შეკეთდა სახურავი, შესასვლელში გაკეთდა ახალი კარი და კიბეები. აღდგენილ იქნა სასახლემდე მისასვლელი გზა და სამეფო ეზო. „ბატონის ციხის“ ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოსავლეთ მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია კახთ მეფეთა ერთსართულიანი სასახლე, რომელიც კომპლექსში დამოუკიდებლად მდგარ ნაგებობას წარმოადგენს. სასახლე გეგმაში კვადრატს მიახლოებულია. მასში განთავსებულია სწორკუთხა მისაღები დარბაზი და ხუთი მცირე ზომის ოთახი დერეფნებითურთ. სასახლის არქიტექტურული გაფორმება შეისრული თაღოვანი ღიადებით არის განხორციელებული. სასახლის უნიკალობა, გარდა მისი ხუროთმოძღვრული იერისა, უპირველესად, მისი აგების ისტორიაშიცაა. მეფეთა სასახლის აგების ისტორიასა და დათარიღების საკითხს იკვლევდნენ სხვადასხვა მკვლევარები. ერთ-ერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სასახლე კახეთის მუსულმანი მმართველის მიერ არის აშენებული და ასეთად იგი დავით იმამყულიხანს მიიჩნევს, რომელიც კახეთის გამგებლობას 1703 წლიდან შეუდგა. ამ მოსაზრების გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ დავით იმამყულიხანი ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ თავისებურებებზეც ამახვილებდა სათანადო ყურადღებას. სხვა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქართული ხუროთმოძღვრული აზროვნებისათვის სრულიად უჩვეულო და არადამახასიათებელია უცხოურის კალკირება. ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელ ეტაპზე, თუ XIX9 საუკუნის საერო არქიტექტურაში ქართველი ოსტატები გარდაქმნიდნენ უცხოეთიდან შემოჭრილ სტილს და „აქართულებდნენ“ მას, რაც სადგომების კვადრატულ გადაწყვეტასა და გვირგვინისებურად ამაღლებული კამარით გადახურვაში აისახებოდა. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი გვიანფეოდალურ ხანაში ციხეთა ვაკეზე შენებას და მათ ოთხკუთხა ფორმას კახეთისათვის, კერძოდ კი, ალაზნისპირისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს. სასახლესთან, გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არჩილის კარის ეკლესია მდებარეობს. არჩილის ეკლესიად წოდებული მცირე ეკლესია წმიდა ნინოს სახელობისაა, რომელიც აშენებულია, როგორც სასახლესთან არსებული მცირე სამლოცველო. ეკლესიამ ჩვენამდე შეკეთებული სახით მოაღწია. იგი მცირე ზომის, ქვიტკირის ერთნავიანი აფსიდიანი შენობაა. ერეკლე მეორის კარის ეკლესია გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარეობს. ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევით, ერეკლე მეორის კარის ეკლესია აშენებულია ერეკლეს მიერ 1753 წელს. დღესდღეობით, ეკლესია საგრძნობლად შეცვლილია. გადაკეთებულია დასავლეთის ნაწილი, სადაც მიდგმული აქვს დამატებით ახალი მასივი, რომელიც უფრო ვიწროა და დაბალი, ვიდრე პირველადი ნაგებობა. პირვანდელი ძველი ერეკლესეული ეკლესია აგურით არის ნაგები და იგი ჩვეულებრივ დარბაზულ, ერთნავიან შენობათა ტიპს მიეკუთვნება. ეკლესიის მახლობლად გალავნის კუთხის ბურჯზე შემდგარი სამრეკლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. იგი არატრადიციული არქიტექტურული ფორმით იქცევს ყურადღებას – წარმოადგენს არა ცალკე მდგომ ნაგებობას, არამედ მის ფუძედ გამოყენებულია ჩრდილო-დასავლეთ გალავნის კუთხის მომრგვალებული ნაწილი. ეს, ერთი შეხედვით, უჩვეულოა და არქიტექტურული თვალსაზრისით არღვევს კიდეც გალავნის ჰორიზონტალურად გაშლილ სტრუქტურას. მაგრამ საგანგებოდ შერჩეული მომრგვალებული კუთხის ფორმა ამოზრდილი სამრეკლოთი მთლიანობაში არ ქმნის ეკლექტურობის განცდას, პირიქით, თავისებურებას სძენს ხუროთმოძღვრულ იერს. აბანო „ბატონის ციხის“ ტერიტორიის ორად გამყოფ კედელზე, სამხრეთის გალავნის შეერთების კუთხეშია აშენებული. ერთსართულიანი აბანო გვიანფეოდალური პერიოდის, ძველი ქართული სტილის აბანოების სისტემაზეა მოწყობილი, იმ განსხვავებით, რომ მისი კედლები მოხატული ყოფილა. იგი ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული – შემორჩენილია მხოლოდ საბანაო ოთახი აუზით და ცხელი წყლისათვის მოწყობილი წყლის ავზი, რომლის იატაკის ქვეშ მოწყობილი იყო ღუმელი და

რამდენიმე სათავსო. აბანო რამდენიმე სადგომისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი ასეთი სადგომი უშუალოდ საბანაო ოთახთანაა დაკავშირებული. იგი საგანგებოდ ყოფილა გაფორმებული მოხატულობით. აბანო ბუხრით თბებოდა, რომელიც აბანოს ქვეშ, მიწის ზედაპირიდან ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა.

კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი გვირაბი „ბატონის ციხის“ ჩრდილო-დასავლეთ სექტორშია აგებული, რომელიც საიდუმლო გასასვლელის და ნაგებობებთან დამაკავშირებელი გზის ფუნქციას ასრულებდა. ქვიტკირით აგებული დერეფან-გვირაბიდან წყაროსთან ჩასასვლელი კიბე იყო მოწყობილი. კომპლექსის ნაწილია, აგრეთვე, ბატონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრის დაშორებით აღმართული დიდი მრგვალი საზარბაზნე ბურჯი, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებშია აგებული. ისტორიული წყაროების მიხედვით, „ბატონის ციხის“ კომპლექსში, XVII-XVIII საუკუნეებში კახთ მეფეთა რეზიდენცია იყო განთავსებული. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ მეფე ერეკლე მეორის რეზიდენცია იყო მოთავსებული და თელავის მეფეთა სახლი ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი გახლდათ. ამასთანავე, მას დიდი სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა, რაზეც, ასევე, ძეგლის ხუროთმოძღვრული სახე მიგვანიშნებს. კახთ მეფეთა სასახლე თავისი ცხოვრების პირველი ოთხი ათეული წლის მანძილზე ვეღარ ასრულებდა თავის პირვანდელ ფუნქციას. იგი, ხშირად, უპატრონოდ იყო მიტოვებული და, საფიქრებელია, რომ ზიანდებოდა კიდეც. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის ნახევრიდან თელავის სასახლეში უკვე აღდგა ცხოვრება და მეფეთა სახლმა საუკუნის დასასრულამდე ინტენსიური ცხოვრებით იცხოვრა. ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციის პატივი ქალაქ თელავმა XIX საუკუნეში დაკარგა. საქართველოში დამოუკიდებელი სამეფოს გაუქმებისთანავე ბატონის ციხის არქიტექტურულ კომპლექსსაც შეუწყდა კახეთის მეფეთა რეზიდენციის ფუნქცია. მან ვერ შეინარჩუნა ის მეორადი მხატვრული სახეც, რომელიც ერეკლე მეორის მიერ XVIII საუკუნეში ჰქონდა მინიჭებული. მის მეფობაში თელავის მეფეთა სახლი არათუ უცხოელ ელჩთა მისაღები და ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო, არამედ იგი მხარის ყველაზე მძლავრ ბასტიონად და შიშიანობის პერიოდის საიმედო თავშესაფრად იქცა. გადმოცემით, ერეკლე მეორე გაზრდილი საჭიროების დასაკმაყოფილებელად დამატებით სადგომებს აგებდა. მისი მოღვაწეობა შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში ზოგადი ქალაქმშენებლობითი პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა. ბატონის ციხე ნაწილი გახდა იმ სტრატეგიული მშენებლობისა, რომლის მიზანი ხალხის დაცვა იყო. გიულდენშტედტის მითითებით, ერეკლე მეორის წვლილი მხოლოდ სასახლის ირგვლივ კედლების შემორტყმით არ განისაზღვრა და მას თვით სასახლეშიც გარკვეული ცვლილებები შეუტანია: „სასახლე ნაწილობრივ ძველი და ნაწილობრივ ახალი ნაწილებისაგან შედგება“. ერეკლე მეფეს ამოუვსია XVII საუკუნის შენობის აივნები და ოთახებად უქცევია ისინი. ამ სადგომების გადახურვა ბრტყელია, სარკმლები – არქიტრავული, მაშინ, როდესაც ძირითადი კომპოზიციის ნაწილებში კამარები გვაქვს და ყველა ღიობი თაღოვანია. სავარაუდოდ, 1801 წელსამ სასახლემ თავისი ფუნქცია დაკარგა და დაიწყო მისი ახალი ცხოვრება, ადაპტაცია ახალ ვითარებასთან. 1802 წელს მასში ყაბარდოს პოლკის შეფი და მეთაური გენერალ-მაიორი გულიაკოვი დასახლდა. 1805 წელს იგი რუსეთის მთავრობის სახაზინო უწყებას გადაეცა. 1811 წელს შედგა დაძველებული სასახლის გადაკეთების პროექტი, მასში ყაზარმებისა და სახაზინო დაწესებულებების მოსათავსებლად, ხოლო 1822 წელს რ. ლაილს მის „დაბალ ოთახებში“ მაიორი ილინსკი დახვდა დაბინავებული, საუდიენციო დარბაზი კი თავლად ყოფილა გამოყენებული. ისტორიული წყაროების მიხედვით, 1845 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა სასახლე მოინახულა, რომელიც მას დანგრეული დახვდა. მისი ბრძანებით დაწყებული აღდგენითი სამუშაოები 1850 წელს დასრულდა. შედეგად აღდგენილ იქნა აღმოსავლეთის ნაწილის ნახევარი. 1860-იანი წლებიდან თელავის სასახლეს ახალი ფუნქცია მიენიჭა. მთლიანი შენობა წმიდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცა, სადაც 1865 წელს წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი დაარსდა. სასწავლებლის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, არქიტექტორ ზალცმანის პროექტით ძველი შენობის გადაკეთება და ახალი სართულის დაშენება განხორციელდა. 1912 წელს სასახლე და წმიდა ნინოს სასწავლებლის შენობები ერთმანეთთს დაუკავშირდა.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან „ბატონის ციხის“ არქიტექტურულ კომპლექსში თელავის ისტორიული მუზეუმია განთავსებული. კახთ მეფეთა სასახლეში ერეკლე II-ის მემორიალური მუზეუმი განთავსდა. „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე, გარდა ისტორიული ნაგებობებისა, სამუზეუმო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეის შენობა და ადმინისტრაციული ნაგებობებია განთავსებული. „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს დაექვემდებარა. ამის მიუხედავად, ძეგლი, მცირედი სახესხვაობით, მის პირვანდელ სახეს ინარჩუნებს. ძეგლის ისტორიული წყაროებით გამყარებული დეტალური არქიტექტურული ანალიზის, მათი გეგმარებითი სტრუქტურის, მხატვრულ-კომპოზიციური ღირსებების, დროისა და მოთხოვნების შესაბამისი ნიშან-თვისებების, ნაგებობათა მშენებლობის ისტორიის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ იგი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენს.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 2. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფი პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. იტალიელი კინორეჟისორი; 13. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 16. სახელმწიფო შუა აზიაში; 17. ქართველი რაგბისტი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

თარაზულად: 6. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალ-ვაჟთა ცეკვა; 10. ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. მკურნალობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 21. ყურის ექიმი; 22. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 23. ძველბერძენი დრამატურგი; 24. დედამიწის მტკიცე გარსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ნინა ნომეხში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გუდაური; 2. აჯიკა; 3. ბაიადერა; 4. ბაბაჭუა; 5. „კალვადოსი“; 9. „ნატალი“; 12. დუაიენი; 14. კომცია; 17. კასტა; 15. „პეეო“; 18. ურნა.

თარაზულად: 6. დურუჯი; 7. ფანტაზია; 8. „ნაბუკო“; 10. აჭარა; 11. „ვინჩესტერი“; 16. ბუზუკი; 18. აკროპოლი; 19. რენეგატი; 20. „მაცარელა“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წირქოლი; 2. კრევეტი; 3. ვირტუოზი; 4. ბეკინა; 5. შლიმანი; 8. „კალიარი“; 9. მარჩვიბი; 12. ტრავერსი; 13. ლეპტოპი; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. ოკრიბა; 20. ბუზუკი.

თარაზულად:6. დითირამბი; 7. სევილია; 8. კატარი; 10. ზოსტერა; 11. დაბა; 14. კვესტურა; 15. ყარაყუმი; 18. ახმეტა; 21. კეპლერი; 22. მუყაო; 23. არაგვი; 24. კისინჯერი.

პიაცაზე დაუსრულებელი ისტორია გათამაშდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ჩვენ მიერ ორგანიზებული პროექტის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების დაინტერესება თეატრით, ასევე, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათი ნიჭის განვითარების ხელშეწყობა, – აღნიშნავს ნინო ჩხაიძე.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიაა. როგორც ნინო ჩხაიძემ აღნიშნა, ეს არ არის პირველი პროექტი, რომელსაც ახალგაზრდული ორგანიზაცია „არტ ვეი“ ახორციელებს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა სემინარები თეატრის, მუსიკის, კინოსა და მხატვრობის თემებზე. მსოფლიო თეატრის დღევანდელ მდგომარეობაზე ისაუბრა თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა, მხატვრობასა და მასში დანერგილ სიახლეებზე – მხატვარმა გია ბუღაძემ, მუსიკალური სამყარო სემინარზე დამსწრე საზოგადოებას ხათუნა კერესელიძემ გააცნო, ხოლო კინოს საოცარ სამყაროში პროექტში ჩართული ახალგაზრდობა კინომცოდნე გოგი გვახარიამ ამოგზაურა.

ახალგაზრდული ორგანიზაცია „არტ ვეი“ სამომავლოდ სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ჩატარებას აპირებს.

ეკა ირემაშვილი

პრეზიდენტმა ზაურ და შამილ ქორთოშიძეები დააჯილდოვა

შორენა გონგლაძე

საოცრებების ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, ამაში ჩვენ კი არა, ეჭვი უკვე საქართველოში თავშეფარებულ ჩინელებსა და ირანელებსაც აღარ ეპარებათ, თორემ ჩვენთვის რაღა უნდა მოხდეს, რომ გაგვაოცოს. მოკლედ, თავდაცვის ინსტინქტი რომ ჩვენი გენეტიკური კოდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიან ეგ ვიცით, ეს ინსტინქტი ზოგს მეტად აქვს განვითარებული, ზოგს შედარებით ნაკლებად. ადამიანის დაბადების შემდგომ განვითარების პარალელურად ვითარდება თავდაცვის ინსტინქტიც. როგორც მეცნიერული კვლევებით ირკვევა, აღნიშნული სიმპტომი თურმე ყველაზე მეტად სამხედრო პირებს და ჩვენდა გასაოცრად, პოლიტიკოსებს აქვთ განვითარებული. სამხედროებზე გასაგებია, მაგრამ რა შუაშია აქ პოლიტიკა? პოლიტიკა ალბათ იმიტომ, რომ ყველა პოლიტიკოსს მისი პროფესიიდან გამომდინარე, მუდმივად უწევს ტყუილის თქმა, ერთი პოზიციიდან მეორეზე უპრობლემოდ გადასვლა, რასაც ისინი ლავირებას უწოდებენ და ასევე ხშირია ამნეზიის ნიშნებიც.

თავდაცვის ინსტინქტი განსაკუთრებით საფრთხის მოახლოებისას აქტიურდება, ამის მშვენიერი მაგალითია სულ ორიოდე თვის წინ მომხდარი ფაქტი, როდესაც მფრინავი ზაურ ქორთოშიძის გვარი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტერაქტის მცდელობის ბრალდებით დაკავებულ მაიკლ კადიევის და რიზვან ომაროვის გვარებს დაუკავშირდა. როგორც მაშინ ღარიბაშვილის უწყება აცხადებდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომზადების სტადიაზე ტერორისტული აქტის ჩადენის მცდელობა აღკვეთა. 2013 წლის 13 ივნისს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, რომ საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის, შს სამინისტროს სხვა ოპერატიული დანაყოფებისა და საქართველოს პროკურატურის მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის ფარგლებში გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 13 ივნისს, გამთენიისას, თბილისში დაკავებული იქნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები – მიკაილ კადიევი და რიზვან ომაროვი. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები ქორთოშიძის ბინაში გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვიანებით, შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა დაადასტურა, რომ შსს-ს მიერ ტერაქტის მცდელობისთვის დაკავებული პირები მიხეილ საკაშვილის მფრინავის სახლში ცხოვრობდნენ.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან სულ მოკლე ხანში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი გამოეხმაურა. როგორც ანდრო ბარნოვმა განაცხადა, ეს იყო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა და გამიზნული პროვოკაციული ფორმულირება, რათა პრეზიდენტის სახელი რამენაირად ტერაქტისთვის დაეკავშირებინათ. მისი თქმით, ზაურ ქორთოშიძე არ არის არც პრეზიდენტის პირადი მფრინავი და არც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უშუალო თანამშრომელი. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, იგი სდსს-ის მიერ დაქირავებული კომპანიის „თუშეთი“ მფრინავია.

– კომპანია „თუშეთი“, რომელზეც იყო საუბარი, დამოუკიდებელი კომპანიაა, რომელიც დაიქირავა სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა. გთხოვთ ყველას, წარმოიდგინოთ, რომ პრეზიდენტი შეიძლება საერთოდ არც იცნობს ამ ადამიანს, სახეზეც არ უნახავს. ეს არის მფრინავი, რომელიც დაიქირავა სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურმა,“ – განაცხადა ანდრო ბარნოვმა და დასძენა, რომ დიდი ხანია, რაც აღნიშნული სამსახური უკვე პრემიერის დაქვემდებარებაშია. მისივე თქმით, ჭორაობა დაიწყო ყვითელ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით, რომ „თალიბანის“ სახელით გავრცელებული ვიდეოები პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომუშავე პირებმა დაამზადეს. – აცხადებდა ანდრო ბარნოვი.

ზუსტად არ ვიცით, რამდენჯერ, მაგრამ პრეზიდენტმა არაერთხელ უარყო ქორთოშიძესთან ნაცნობობა. თუმცა ამას ხელი სულაც არ შეუშლია იმაში, რომ ზუსტად ორი თვის შემდეგ მფრინავები, ძმები ზაურ და შამილ ქორთოშიძეები დაეჯილდოვებინა.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია იუწყება, ქვეყნის პირველმა პირმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას გამოვლენილი მამაცობის, მაღალი პროფესიონალზმისა და უმწიკვლო სამსახურისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების სარდლობის შვეულმფრენების ბაზის ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი შამილ ქორთოშიძე წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოვდა, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საავიაციო რაზმის სატრანსპორტო ვერტმფრენების რგოლის ყოფილი უფროსი მფრინავი, ვიცე-პოლკოვნიკი ზაურ ქორთოშიძე კი – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ამასთან, მრავალწლიანი თავდადებული სამსახურისთვის, საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

ჰოსნი მუბარაქი შინაპატიმრობაში დარჩება

ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, რომელიც ციხეს სავარაუდოდ უახლოეს დღეებში დატოვეს, შინაპატიმრობაში დარჩება. ამის შესახებ „ევრონიუსი“ იუწყება.

85 წლის მუბარაქი ეგვიპტის სასამართლომ გუშინ კორუფციის საქმეში გაამართლა და ციხიდან მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

„მიღებული გადაწყვეტილება არ არის საბოლოო განაჩენი, ის მხოლოდ თავდებით გათავისუფლდა. სასამართლოს არ გამოუცხადებია ის უდანაშაულოდ. დიდი განსხვავებაა სასჯელის გაუქმებასა და თავდებით გათავისუფლებას შორის, რაც კანონით დაშვებულია“, – განაცხადა სამართლის ექსპერტმა ჰოდა ნასრალამ.

ჰოსნი მუბარაქი 2011 წელს ეგვიპტეში საყოველთაო არეულობის დროს დემონსტრანტების მკვლელობაში თანამონაწილეობის ბრალდებით დააკავეს. მან უკვე მოიხადა წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა. ეგვიპტის კანონებით, ბრალდებულის ციხეში 2 წელზე მეტი ხანი გაჩერება გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე აკრძალულია. ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი შინაპატიმრობაში დარჩება საბოლოო განაჩენის გამოტანამდე მშვიდობიანი დემონსტრანტების დახოცვაში თანამონაწილეობის საქმეში.

ამ ფონზე, ეგვიპტეში სიხლიანი შეტაკებები გრძელდება. ქვეყნის უსაფრთხოების ძალებმა მუჰამედ მურსის მომხრეთა ბანაკებს ბულდოზერებით გადაუარეს. შეტაკების შედეგად, მინიმუმ, 150-მდე ადამიანი დაიღუპა, 1 400 ადამიანი კი, დაჭრილია. პოლიციამ მურსის მომხრეთა მიმართ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. ბანაკების დარბევის შედეგად გაჩნდა ხანძარი. ხელისუფლებამ ეგვიპტეში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ევროკავშირმა ეგვიპტეს ფინანსური დახმარების მიცემა შეუწყვიტა. ევროკავშირის ქვეყნები ეგვიპტეს იარაღის მიწოდებასაც შეუჩერებენ.

აღნიშნულის შესახებ საგანგებო შეხვედრა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, გუშინ ბრიუსელში გამართეს.

როგორც ცნობილია, 2012 წელს ევროკავშირმა ეგვიპტისათვის 5 მილიარდი ევროს დახმარების გაცემა დაამტკიცა. ქვეყანაში ვითარება არმიის მიერ მოქმედ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ დაიძაბა, რის შემდეგაც კაიროს ქუჩებში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება. დაპირისპირებას ასობით ადამიანი ემსხვერპლა. ცოტა ხნის წინ მთავრობამ „ძმები მუსლიმების“ ლიდერები დააპატიმრა.

აზერბაიჯანი: სომხეთი აზერბაიჯანის მოთმინებით ბოროტად სარგებლობს

„სომხეთი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს იყენებს, კვლავ განაგრძობს დემოგრაფიული, კულტურული და ფიზიკური ხასიათის უკანონო ქმედებების ჩადენას აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აქ იგულისხმება აეროპორტის აღდგენა, ახალი დასახლებების შექმნა, საცხოვრებელი სახლების, საავტომობილო გზების მშენებლობა და სხვა“, – აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა გაეროს გენერალურ მდივან ბან კი მუნს მისწერა.

როგორც მიმართვაშია საუბარი, ამ გზით სომხეთი უხეშად არღვევს გაეროს რეზოლუციას, ჟენევის 1949 წლის კონვენციას და საერთაშორისო სამართლის სხვა დადგენილ ნორმებსა და პრინციპებს: „სომხეთი უკანონოდ ცვლის აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიის გეოგრაფიულ დასახლებებს. ამასთან, სირიიდან უკანონოდ ჩამოჰყავს სომხები აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ჩვენი მონაცემებით, ლაჩინში 24 სომხური ოჯახი ჩაასახლეს, ზანგილანში-7, კელბაჯარში კი-27 ოჯახი“.

მამედიაროვის ინფორმაციით, მალე სირიიდან ყარაბაღში კიდევ 18 სომხურ ოჯახს ჩაასახლებენ: „ეს სომხეთის რეალურ განზრახვაზე მიანიშნებს, რომელიც სირიაში არსებულ კონფლიქტს აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპაციის გასამტკიცებლად იყენებს“.

დიპლომატის აზრით, სომხეთის პოლიტიკა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას ძირს უთხრის: „იმ ფონზე როდესაც მოლაპარკების პროცესში არავითარი პროგრესი არ შეინიშნება, სომხეთის პოლიტიკის მიზანი ამ ტერიტორიების ანექსიაა“.

როგორც მინისტრი აღნიშნავს, სომხეთი განაგრძობს საერთაშორისო საზოგადოების პოზიციის უგულებელყოფას, არღვევს საერთაშორისო სამართალს და ბოროტად იყენებს აზერბაიჯანის მოთმინებას.

„ვინაიდან სომხეთთან მოლაპარაკებების გამართვას შედეგი არ მოაქვს, სტატუს კვოს შემდგომ გაგრძელებას შესაძლოა გაუთვლელი შედეგები მოჰყვეს, რაზეც სრული პასუხისმგებლობა სომხეთს აკისრია“,-აღნიშნავს მინისტრი წერილის დასასრულს.

ბრძოლა ყარაბაღისთვის ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო, რომელიც მაშინ აზერბაიჯანის გამარჯვებით და მასზე კონტროლის დაწესებით დასრულდა.

1921 წელს რუსეთმა კავკასიის სამივე სახელმწიფო: სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, ყარაბაღი სომხეთის სსრ-ს გადაეცა, რასაც დიდი საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა აზერბაიჯანში. ხოლო ერევანში ისევ საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება მიმდინარეობდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, 1921 წელს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს გადაეცა. ხოლო 1923 წელს, იგი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რეგიონად გადაიქცა და აზერბაიჯანის სსრ-ში შევიდა. ამ დროისთვის, ყარაბაღის მოსახლეობის 94%-ს სომეხი ეროვნების მოსახლეობა შეადგენდა. ავტონომიური რეგიონის დედაქალაქი შუშადან ხანქენდში გადაიტანეს, რომელსაც სომხური მხარე სტეფანაკერტს უწოდებს.

გაეროს უშიშროების საბჭო სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტის გამოძიებას ითხოვს

გაეროს უშიშროების საბჭო სირიის დედაქალაქ დამასკოს გარეუბანში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამოძიებას ითხოვს. უშიშროების საბჭომ შესაბამისი მითითებები მისცა საერთაშორისო ინსპექტორებს, რომლებიც ამჟამად სირიაში იმყოფებიან.

„საბჭოს წევრები ძლიერ შეშფოთებულები არიან ამ შეტყობინებებით. საერთო აზრი ასეთია – უნდა გარკვეს თუ რა მოხდა და განხორციელდეს ვითარების კონტროლი“, – განუცხადა ჟურნალისტებს საბჭოს დახურული სხდომის დასრულების შემდეგ გაეროში არგენტინის მუდმივმა წარმომადგენელემა კრისტინა პრესვალმა, იტყობინება „ბი-ბი-სი“. ოთხშაბათს სირიის ოპოზიციამ განაცხადა, რომ სამთავრობო ძალებმა მორიგი ოპერაციის დროს დამასკოს გარეუბანში ქიმიური იარაღი გამოიყენეს, რის შედეგადაც ათას ადამიანზე მეტი დაიღუპა. ოფიციალურმა დამასკომ ეს ინფორმაცია უარყო. 35-მა ქვეყანამ, მაშ შორის დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, საფრანგეთმა, მოუწოდეს გაეროს მთავარ ინსპექტორს სირიაში აკე სელსტრემს, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიოს აღნიშნული ინცინდენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთმა და ჩინეთმა დაბლოკეს უშიშროების საბჭოს მიერ მკაცრი რეზოლუციის მიღება, სადაც იყო მოწოდება დამასკოს მიმართ, დაუყოვნებლივ დაეშვა გაეროს ექსპერტები ქიმიური შეტევის სავარაუდო ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერიტორია გაეროს წარმომადგენელთა ადგილსამყოფელიდან 15 წუთითაა დაშორებული.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორენ ფაბიუსის განცხადებით, თუ დამტკიცდა რომ სირიის მთავრობამ ქიმიური იარაღი გამოიყენა, აღნიშნულს საერთაშორისო საზოგადოების პასუხი მოჰყვება. თუმცა, „ბიეფემისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მინისტრმა განაცხადა, რომ სირიაში ჯარების გაგზავნაზე საუბარი არ არის.

თავის მხრივ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამედ ჯავად ზარიფის თქმით, სირიის მთავრობა შეუძლებელია დამასკოსთან ახლოს მომხდარი ქიმიური თავდასხმის უკან იდგეს.

„თუ ქიმიური იარაღის გამოყენება დადასტურდა, ეს ნამდვილად ტერორისტული ჯგუფების ნამოქმედარი იქნება“, – აღნიშნულის შესახებ ირანის პირველმა დიპლომატმა მის თურქ კოლეგა აჰმეთ დავითოღლუსთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა.

არაბთა ლიგის ხელმძღვანელმა ნაბილ ალ-არაბიმ კი მოუწოდა სირიაში მყოფ გაეროს ინსპექტორებს, დაუყოვნებლივ გაემგზავრონ აღმოსავლეთ გუთაში, ადგილზე დაეკვირდნენ ვითარებას და გამოიძიონ ამ დანაშაულის შედეგები. გამოძიების დაწყებას მხარს სირიის ოპოზიციური საბჭოც უჭერს.

„ეს არის კაცობრიობისათვის სილის გაწვნა, ესაა შეურაცხყოფა გაეროსი, სირიის მეგობართა ჯგუფისა და თუნდაც იმ რეჟიმების, რომლებიც მხარს უჭერენ ასადის რეჟიმის მიერ სირიელი ხალხის ხოცვას. ჩვენ გვსურს, რომ გაეროს ინსპექტორები ჩავიდნენ და ნახონ ის ხალხი, რომელიც დამასკის გარეუბანში დახოცეს. ჩვენ გვინდა, რომ მათ ნახონ მსხვერპლი, გვსურს გამოიძიონ, ვინ გამოიყენა ქიმიური იარაღი“,-განაცხადა ხალედ სალეჰმა.

სირიის სახელმწიფო ტელევიზიამ „სრული სიყალბე“ უწოდა ცნობას, თითქოს სამთავრობო ჯარებს ოთხშაბათ დილით მომწამვლელი აირით დატენილი რაკეტები დაეშინოთ მეამბოხეებისთვის.

სირიის ოფიციოზის განცხადებით, მათ სურთ გაეროს ინსპექტორები მოსწყვიტონ იმ მისიას, რომელიც შესაძლოა, სულ მცირე, ორ კვირას გაგრძელდეს. სირიის სახელმწიფი სააგენტო „სანა“ კი აკრიტიკებს დასავლურ მედიასაც, რომელიც არასწორი ინფორმაციის გავრცელებით ხელს უწყობს სირიაში სისხლის ღვრას და მხარს უჭერს ტერორიზმს. სირიის ხელისუფლება და მეამბოხეები ერთმანეთს ადანაშაულებენ სამოქალაქო ომის დროს ქიმიური იარაღის გამოყენებაში. ორი წლის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებას სირიაში, გაეროს მონაცემებით, უკვე 100 ათასზე მეტი კაცი შეეწირა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი 23 აგვისტო

08.00 დ/ფ "აისი დედამიწაზე" **09.10** საბ. ან/ფ " ლუნი ტიუნზი ისევ საქმეშია" **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "ბეტმენი" **14.00** დ/ფ "მონტეესუმა" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**დეკემბრის ბიჭები**" (დ.რედკლიფი) **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**მხარეთა აზრი**" (ტიტ.) **00.35** დ/ფ "გონებაში"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **10.00, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **11.00, 16.00** დოკ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **4-5** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ"**მარცხნივ" მარჯვნივ**"

08.00 ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **6** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ."**დაბალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. "**ცხელი ქაღალი**" **00.15** მხ/ფ. "**სნაიპერი**" (ბ.ზეინი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "**SHORT CIRCUIT2**" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" **14.00** სერ "**ერთგულების ქალა**" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00** მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**ბანაჟი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.50** მსოფლის ხალხთა ზღაპრები **09.05,18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მოკ/ფ "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **11.00** დოკ/ფ "მთის რაინდი" **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**თეო**" **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი -მანანა დოიჯაშვილი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** დოკ/ფ "უფლისციხე" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**მწვერვალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** მხ/ფ "**ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა**"

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური ამბები" **16.00 სერიალი "ბბორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **9.05, 8.05** ახალი დილა **10.05, 13.10, 14.10, 20.00 სერიალი - "ტკბილი შხამი" 11.05, 12.30, 23.00, 0.20, 3.50** მხ/ფ **15.30** დიდი დრო (გამ) **16.10, 17.10, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00 სერიალი - "20 ათასი ქუჩა ცის ქვეშ" 5.00** ცხელი შუადღე (გამ)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6603
- ევრო — 2,2225
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6024
- 100 რუსული რუბლი — 5,0352

ამინდის პროგნოზი 23 აგვისტოსთვის

მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 23 აგვისტოსთვის

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. ** კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარ თავს დაეყრდენით. **კირჩხიბი** – სახლში კარგი ამბებია, ცხოვრება გეცვლებათ. **ლომი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, უფროსობა გწყალობთ. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **სასწორი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, კარგად მოუსმინეთ მას. **თხის რქა** – ეს დღე სწავლას დაუთმეთ, ასე აჯობებს. **მერწყული** – მშვენიერი დღეა, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **თევზები** – არ შეშინდეთ, პრობლემას ადვილად გადალახავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

პიაცაზე დაუსრულებელი ისტორია გათამაშდება

25 და 26 აგვისტოს ბათუმში ახალგაზრდული ორგანიზაცია „არტ ვეი“ და მასთან არსებული თეატრალური დასი პიაცას მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოადგენს ნიკო კილაძის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „დაუსრულებელი ისტორია“, რომელშიც ასახული იქნება მე-20 საუკუნის დასაწყისის ბათუმური ყოფა – რევოლუცია და რეპრესიები.

– ახალგაზრდა რეჟისორი ოთარ ქათამაძე ამჯერად მაყურებელს კინოს ხერხებით დადგმულ სპექტაკლს სთავაზობს. გასულ წლებთან შედარებით, მოქმედებები ვითარდება რეალურ გარემოში – სცენისა და დეკორაციის გამოყენების გარეშე. „ბათუმური ისტორიების“ გაცოცხლებაში ორმოცამდე ახალგაზრდა მოყვარული მსახიობია ჩართული, – ამბობს პროექტის კურატორი ნინო ჩხაიძე.

პროექტის ფარგლებში ქალაქის სხვადასხვა ადგილას წარმოდგენილი იქნება ჩრდილების თეატრის სპეციფიკაზე აგებული მცირე ეტიუდები, ხოლო სპექტაკლისა და ეტიუდების ჩვენებამდე გაიმართება თეატრალიზებული მსვლელობები მსახიობთა მონაწილეობით.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. თურქეთის პრეზიდენტი; 3. დიდი ფართობის, ნოყიერი სახნავი ნიადაგი; 4. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 5. ნუშისებრი ჯირკვლების ანთება; 9. ტკბილი კარტოფილი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. სამწვადედ გამზადებული ხორცის ნაჭრები; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

თარაზულად: 6. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 7. პოლონელი კომპოზიტორი, საოპერო სკოლის ფუძემდებელი; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ქართული ფირმა; 10. სამეჯლისო ცეკვა; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 13. რთული სადავო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. მსხლის ერთ-ერთი ჯიში; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ილიკო სუხიშვილი მოტოფესტივალში ჩაერთო

ეკა ირემაშვილი

ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ ქორეოგრაფი და ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი მოტოფესტივალში ჩაერთო, რომელიც საქართველოში პირველად ტარდება. თუკი აქამდე ქორეოგრაფი ქართველ საზოგადოებას თავისი ახალი პროექტებითა და ცეკვებით აკვირვებდა, ამჯერად მან გადაწყვიტა, ახალი ცეკვების ნაცვლად რუსთავში შეკრებილებს თავისი გატაცება წარუდგინოს.

სამი დღის განმავლობაში 23, 24 და 25 აგვისტოს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი მასშტაბურ მოტოფესტივალს უმასპინძლებს. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ირწმუნებიან, საქართველოში დაგეგმილ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად 1000-ზე მეტი ბაიკერი მსოფლიოს 38 ქვეყნიდან ჩამოვა.

ცნობილ ქართველ ბაიკერთა შორის, ილიკო სუხიშვილის გარდა, ასევე ცნობილი ბაიკერი გია სამყურაშვილი და იუმორისტი ნიკა გრიგოლიაც არიან. ის ილიკო სუხიშვილთან ერთად ამ ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორია. სამივე ბაიკერმა წარმატებით აწარმოა მოლაპარაკებები ევროპულ მოტოკლუბებთან და, საბოლოო ჯამში, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე ასობით ბაიკერი შეიკრიბება.

როგორც მოტოფესტივალის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, ამ ფესტივალით დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ, სამდღიან ღონისძიებებს პირადად დაესწრონ, მაგრამ, თუკი ისინი საქართველოში ჩამოსვლას ვერ შეძლებენ, მათ აქვთ საშუალება, ფესტივალის მიმდინარეობას საიტზე განთავსებული პირდაპირი მაუწყებლობით ადევნონ თვალყური.

ილიკო სუხიშვილი ამ ფესტივალისთვის განსაკუთრებულად ემზადება. გარდა იმისა, რომ ფესტივალის უშუალო მონაწილეა, ის ამ ღონისძიებებში თავისი ანსამბლის ჩართვასაც აპირებს. ილიკო სუხიშვილი, მოცეკვავეების გარდა, სამდღიან ღონისძიებებში მოტოციკლეტებსაც აცეკვებს.

ცნობილი ხდება, რომ ქორეოგრაფმა სპეციალურად ახალი ცეკვაც დადგა, რომლის პრემიერაც სწორედ მოტოფესტივალზე შედგება. რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე გამართულ ღონისძიებებში სუხიშვილების მოცეკვავეებიც ჩაერთვებიან და მოტოფესტივალი ქართული ცეკვის გარეშე არ ჩაივლის. არ არის გამორიცხული, მოცეკვავეებმა უშუალოდ მოტოციკლის ბღუილის რიტმებზე იცეკვონ.

მოტოფესტივალში მონაწილე დელეგაცია ფესტივალის დაწყებამდე ესკორტით თბილისიდან დაიძვრება და რუსთავში ჩავა. მსოფლიოს 38 ქვეყნიდან ჩამოსული ბაიკერები ფესტივალშიც ჩაერთვებიან და ქართულ კულტურასაც გაეცნობიან.

კიდევ რა სიახლეებს შესთავაზებს ილიკო სუხიშვილი მისი შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს, ეს უკვე მომავალში გახდება ცნობილი. რაც შეეხება მოტოფესტივალს, ის რუსთაველის საერთაშორისო ავტოდრომზე ჩატარების შემდეგ უკვე ბათუმში გადაინაცვლებს, სადაც ასევე სამი დღის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ბაიკერები მაყურებელს დაუვიწყარ სანახაობას შესთავაზებენ.

სალომე ქათამაძე საოპერო კონცერტზე იმღერებს

ეკა ირემაშვილი

მომღერალი სალომე ქათამაძე საკუთარი შემოქმედებაში ახალ ექსპერიმენტს ახორციელებს. „ახალი ქართული ხმის“ გამარჯვებული ამჯერად არა საესტრადო, არამედ საოპერო კონცერტში მიიღებს მონაწილეობას.

სალომე ქათამაძე საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „მსოფლიო ტალანტებმა“ მიიწვია კონცერტში, რომელიც ბათუმში ხელოვნების ცენტრში 23 აგვისტოს ჩატარდება. როგორც ფონდის ხელმძღვანელმა დავით ღვინიანიძემ განაცხადა, ეს არის საოპერო ფესტივალი, რომელსაც გახსნიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული საოპერო მომღერლები.

– საოპერო შოუში მსოფლიო ტენორებსა და ბარიტონებთან ერთად მონაწილეობას სალომე ქათამაძე მიიღებს, – განაცხადა ფონდის ხელმძღვანელმა.

ფესტივალი ბათუმის მერიის მხარდაჭერით საქართველოში პირველად ტარდება.

– ეს არის მსოფლიოში ცნობილი პროექტი და მასში ჩართული არიან მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავები. „ტენორებისა და ბარიტონების დუელი“ – ასე ეწოდება ახალ ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალს, რომელსაც ჩვენი ფონდი წარმოადგენს. პირველ საფესტივალო კონცერტზე შესრულდება ყველაზე ცნობილი საოპერო არიები და ნეოპოლიტანური სიმღერები. ჩვენს საკონცერტო პროგრამაშია პუჩინის, ვერდის, ბიზეს, როსინის, ლეონკავალოს ნაწარმოებები, – აღნიშნა დავით ღვინიანიძემ.

საპრეზენტაციო ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ალეხანდრო ოლმედო – ამერიკის „მეტროპოლიტენ ოპერის“ თეატრის სოლისტი, გეორგ ენარისი – არგენტინის „ტეატრო კოლონისა“ და რუსეთის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, ანდრეი ბრეუსი – დიდი ბრიტანეთის „კოვენტ გარდენ“ თეატრისა და რუსეთის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, არსენ სოგომონიანი – მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის აკადემიური მუსიკალური თეატრის სოლისტი, ირაკლი კახიძე – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის, საფრანგეთის ოპერისა და მარსელის აკადემიის სოლისტი, ასევე მომღერალი სალომე ქათამაძე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორი დავით მუქერია. ფესტივალის პროდიუსერი ეგორ კუროპტევია.

სალომე ქათამაძისთვის ამ ფესტივალში მონაწილეობა ახალი გამოწვევაა. ცნობილია, რომ მას გარკვეული გამოცდილება აქვს საოპერო სფეროში. თავდაპირველად მისი დედის სურვილი იყო, რომ სალომე საოპერო მუსიკით დაკავებულიყო, თუმცა საბოლოოდ მომღერალმა არჩევანი ესტრადაზე გააკეთა და არაერთ წარმატებასაც მიაღწია.

სალომე ქათამაძე არ მალავს, რომ ის ნანუკა ჟორჟოლიანის აღმოჩენაა. ერთ-ერთ კლუბში უიტნი ჰიუსტონის ჰიტის „ოლვეის ლავ იუს“ შესრულებისას ნანუკა მისით მოიხიბლა და საკუთარ გადაცემაში მიიწვია. მომღერალს ამის შემდეგ ყურადღება მიაქციეს და სხვადასხვა კონცერტებსა და ფესტივალებშიც ჩართეს. სალომე ქათამაძე მონაწილეობდა ბათუმში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ „ბათუმი გოლდენ ტალენტში“, სადაც მან მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა მოგებული თანხით – 15.000 დოლარის გარეშე დარჩა. ამის შემდეგ სალომე დაოჯახდა და საყვარელ ადამიანთან ერთად განაგრძო ცხოვრება.

სრულიად ახალი ეტაპი აღმოჩნდა მისთვის „ახალი ქართული ხმა“, რომელშიც მომღერალმა მწვრთნელად დათო ფორჩხიძე აირჩია და მასთან ერთად წარმატებასაც მიაღწია – სალომე „ახალი ქართული ხმის“ პირველი სეზონის გამარჯვებული გახდა.

წელს კი 5-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველო იურმალაში გამართულ სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე „ახალი ტალღა“ დაბრუნდა, სადაც საქართველო სალომე ქათამაძემ წარადგინა. ქართველმა კონკურსანტმა მეორე ადგილი დაიმსახურა და გამარჯვებულ კუბელ კონკურსანტს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა.

ამჯერად სალომე ქათამაძე კიდევ ერთ სიახლეს ეჭიდება და მსოფლიოში ცნობილ ტენორებსა და ბარიტონებთან ერთად ბათუმში საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

შოტლანდიელები ცხვრის დაკვლამ შოკში ჩააგდო

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ყარაგანდის „შახტირომა“ სენსაციას გამოჰკრა ხელი – შინ ყაზახებმა 2:0 დაამარცხეს გლაზგოს „სელტიკი“ და ჯგუფური ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. მართალია, სქოთები ასე იოლად არ დაყრიან ფარ-ხმალს და ყველაფერს მეორე მატჩი გადაწყვეტს, მაგრამ ყაზახთა ეს წარმატება მისასალმებელია. თუმცა...

რით მიუღწევიათ წარმატება ყაზახებს? რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კლუბის ხელმძღვანელობას მატჩის წინ შავი ცხვარი შეუწირავს.

როგორც ირკვევა, ამ ფაქტმა აღაშფოთა „სელტიკის“ ხელმძღვანელობა და ახლა ყაზახური კლუბის წინააღმდეგ უეფაში საჩივრის შეტანას აპირებენ,

როგორც სქოთები აცხადებენ, ცხვრის შეწირვით გამოწვეული ფაქტით შოკირებული დარჩენილან. ამ ყველაფერს უმოქმედია ფეხბურთელების ემოციურ განწყობაზე და ეს მთელი მატჩის განმავლობაში გაჰყოლიათ.

სწორედ ამის გამო აპირებს „სელტიკი“ სარჩელის შეტანას უეფაში და რა შედეგს გამოიღებს, ამას უახლოეს დროში გავიგებთ.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ პროფესიონალ ფეხბურთელს მსგავსი ფაქტები ფეხბურთის თამაშისას ხელს არ უნდა უშლიდეს.

მ. ჯ.